

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ
О ГРУЗИИ
FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

Теймураз Микеладзе

«Анабасис» Ксенофонта

(Сведения о грузинских племенах)

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА» Sumptibus ACADEMIAE SCIENTIARUM
GEORGIAE
ТБИЛИСИ—1967—TBILISIIS

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

თეიმურაზ შიქელაძე

ქსენოფონტის „ანაბასისი“

(ცნობები ქართველი ტომების შესახებ)

გაგომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1967

ნაშრომი წარმოადგენს ცნობილი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის „ანაბასისის“ ერთი ნაწილის ბერძნულ-ქართული ტექსტის პუბლიკაციას. ნაშრომს დართული აქვს შესავალი წერილი და კომენტარები.

ქსენოფონტმა და მისმა ათიათასმა თანამემამულემ. როგორც სპარსელი უფლისწულის კიროსის მოქირავნებმა, ძვ. წ. 401 წ. ილაშქრეს სპარსეთის მეფის არტაქსერქსე II წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. გზად მათ ქართველი ტომებით დასახლებული მიწა-წყლის გავლაც მოუხდათ. „ანაბასისი“ მთელი ამ ლაშქრობის აღწერაა, ხოლო წინამდებარე ნაშრომში გამოცემულ ნაწყვეტებში მოცემულია აღწერილობა ქართველი ტომებით დასახლებული მხარეებისა და მათი ყოფის თავისებურებებისა: ჩაცმულობისა, შეიარაღებისა, ქალაქებისა, სოფლებისა; გაშუქებულია ქართველი ტომების საერთაშორისო მდგომარეობა, ურთიერთობა ერთმანეთთან და მეზობელ ხალხებთან, მოხსენებულია სახელწოდებანი ცალკეული ქართველი ტომებისა და ვრცელი გეოგრაფიული ნომენკლატურა.

„ანაბასისი“ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სრული, ვრცელი და უძველესი წყაროაგანია.

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, **ვლ. ფუფუჩიძე**, ს. ყაუხჩიშვილი,
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი
სიმ. ყაუხჩიშვილი

წინასიტყვაობა

ქსენოფონტის „ანაბასისის“ ცნობები ქართველი ტომების შესახებ დიდი ხანია შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში. მაგრამ ამ ცნობების ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ ჯერჯერობით არ გამოცემულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ანაბასისის“ ნაწყვეტების ალ. ჭყონიასეულ თარგმანს. რომელიც „ანაბასისის“ ფრანგულ ტექსტიდანაა შესრულებული¹. სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ხშირად იყენებდნენ აკად. ვ. ლატიშევის ცნობილ სერიაში არსებულ ქსენოფონტის ტექსტსა და მის რუსულ თარგმანს², ხოლო შემდეგ ამავე თარგმანის განმეორებულ და შევსებულ გამოცემას, რომელიც განახორციელა ჟურნალმა „Вестник древней истории“³. „ანაბასისის“ ნაწყვეტების როგორც ლატიშევისეული, ისე მისი განმეორებული გამოცემა ტექსტუალურადაც ნაკლებია, ხოლო ტექსტის კომენტირების თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის ცოდნის დღევანდელ დონეს საგრძნობლად ჩამორჩება. იმ ცნობების კომენტირების მხრივ, რომლებიც ქართველ ტომებს შეეხება, არ არის დამაკმაყოფილებელი არც უახლესი რუსული გამოცემა „ანაბასისისა“⁴.

¹ იხ. ალ. ჭყონია, ისტორიული ნაკვეთი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის, ტფილისი, 1890, გვ. 111—117.

² В. В. Латышев, Известия греческих и латинских писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. 1-й, гв. 65—84.

³ იხ. ВДИ, 1947, № 2, გვ. 303—315, ცნობები ქართველი ტომების შესახებ იხ. გვ. 308 — 315.

⁴ იხ. Ксенофонт — Анабасис, перевод, статья и примечания М. И. Максимова, М.—Л., 1951.

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების პუბლიკაციის საქმეში არსებული ხარვეზის შევსება თავის ამოცანად გაიხადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უცხოური საისტორიო წყაროების კომისიამ, რომელიც უკვე რამდენიმე წელია თანმიმდევრულად და რეგულარულად აქვეყნებს საქართველოს ისტორიის მრავალენოვან წყაროებს. ქსენოფონტის „ანაბასისის“ ცნობათა ბერძნულ-ქართული კომენტირებული ტექსტის გამოცემა ამ მნიშვნელოვანი საქმის შემადგენელი ნაწილია.

„ქსენოფონტის „ანაბასისის“, ცნობები ქართველი ტომების შესახებ“ გადაეცა ზემოხსენებულ კომისიას ჯერ კიდევ 1960 წლის დასაწყისში, მისი გამოცემა კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1967 წლისათვის. გასაგებია, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა მეცნიერებაში; გამოითქვა ახალი მოსაზრებები საქართველოს ისტორიის იმ საკითხების შესახებ, რომელთაც „ანაბასისი“ აშუქებს. გამოქვეყნდა ახალი ნაშრომები ქსენოფონტისა და მის „ანაბასისზე“ და ა. შ. ცხადია, იმ ბოლო დროში, რომელიც ხელნაწერის განახლებისათვის მოგვეცა, შესაძლებელი გახდა ხსენებულ სიახლეთა მხოლოდ ნაწილის ასახვა, ნაშრომის სრული მოდერნიზაცია კი მაინც არ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, მისი გამოცემა მაინც საჭიროდ ვცანით, რადგან ძირითად ამოცანად მიგვაჩნია დაინტერესებულ მკითხველს მივაწოდოთ „ანაბასისის“ — საქართველოს ძველი ისტორიის ამ ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი წყაროს — ბერძნულ-ქართული ტექსტი. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ნაშრომის შედგენისას ვითვალისწინებდით მკითხველთა შედარებით ფართო წრეს და არა მხოლოდ სპეციალისტებს. ამით აიხსნება შესავალი ნაწილისა და კომენტარების რამდენადმე ვრცელი და პოპულარული ხასიათი.

შესავალი

1. ქსენოფონტი და მისი დრო

ქსენოფონტის პიროვნება და ლიტერატურული მემკვიდრეობა მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. ძველი დროიდან დღემდე ქსენოფონტზე იკვდენი ნაშრომია დაწერილი, რომ მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. მარტო უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთ ევროპაში, მრავალჯერ გამოიქცა ქსენოფონტის თხზულებები, ხოლო ქსენოფონტის ცხოვრებისა და შემოქმედების გაშუქებას მრავალი სპეციალური წერილი და მონოგრაფია მიეძღვნა¹.

საქართველოში ქსენოფონტის ცხოვრება და შემოქმედება საგანგებო კვლევა-ძიების საგნად არავის არ გაუხდია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფ. ყაუხჩიშვილის ბერძნული და ანტიკური ლიტერატურის სახელმძღვანელოებს, სადაც ეს საკითხები ზოგადი კურსების შესაბამის ფარგლებშია განხილული. ამ მხრივ, თითქოს, გამონაკლისს

¹ С. И. Соболевский, Ксенофонт, его жизнь и сочинения. წიგნში: Ксенофонт Афинский, Сократические сочинения. Перевод, статьи и комментарии С. И. Соболевского, М.—Л., 1935; М. И. Максимова, К „Анабасису“ Ксенофонта: ВДИ, 1947, № 3; М. И. Максимова, Ксенофонт и его „Анабасис“, წიგნში: Ксенофонт, Анабасис, перевод, статья и примечания М. И. Максимова, М.—Л., 1951; Э. Д. Фролов, Жизнь и деятельность Ксенофонта, УЗЛГУ, СИН, № 251, вып. 28, Ленинград, 1958. Л. П. Маринович, Греческие наемники в конце V—начале IV вв. д. н. э., ВДИ, 1958 № 4, გვ. 70—88. I. L u c c i o n i, Les idées politiques et sociales de Xénophon, Ophrys, 1946; Ed. Delebecque, Essai sur la vie de Xénophon, Paris, 1957. რომელსაც წინ უსწრებდა ამავე ავტორის სხვა შრომები: Xénophon, Athènes et Lacédémone, Notes sur la composition de l'Anabase: Revue des Etudes Grecques, 59—60, 1946—1947, Notes sur l' „Anabase“: Lettres d'Humanité 71, 1947 და სხვ.

‘შეადგენს ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია’, მაგრამ იქაც ეს საკითხი შეფარდებულია სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანთან. ქსენოფონტის ბიოგრაფიის და მით უმეტეს შემოქმედების სრული მიმოხილვის წარმოდგენა არც ამჟერად დაგვისახავს მიზნად. ჩვენ შევეხებით მხოლოდ მისი ცხოვრების ძირითად მომენტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქსენოფონტის ცხოვრების შესახებ ურიცხვი გამოკვლევაა დაწერილი, სპეციალისტები უღემდე ვერ შეთანხმებულან ქსენოფონტის გარდაცვალებისა და, განსაკუთრებით, დაბადების თარიღის საკითხში. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ამ მხრივ სხვადასხვა წყაროში ერთიმეორისაგან განსხვავებული ცნობებია დაცული.

წყაროები, რომლებშიც მოიპოვება ცნობები ქსენოფონტის ცხოვრების შესახებ, ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: 1) თვით ქსენოფონტის ნაწარმოებები (უპირატესად „ანაბასისი“) და 2) შედარებით გვიანი დროის ავტორების (დიოდორე სიცილიელის, სტრაბონის, პლუტარქეს, ლიოგენე ლაერტის) შრომები. პირველი ჯგუფის წყაროებში არსებული ცნობები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მეორე ჯგუფის წყაროები კი, ზოგიერთის გამოკლებით, იმდენად ეხებიან ქსენოფონტს და მისი ცხოვრების ამა თუ იმ მომენტს, რამდენადაც ამ შრომებში ქსენოფონტის თანადროულ ისტორიულ მოვლენებზეა საუბარი. ამ მხრივ გამოიყოს შეადგენს ახ. წ. II ს. კომპილატორი დიოდორე ლაერტი, რომელმაც საგანგებო შრომა უძღვნა ქსენოფონტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ამრიგად, თუ პირველი ჯგუფის წყაროებში არსებული ცნობები, თავისი ავტობიოგრაფიული ხასიათის გამო ფრთხილ მიდგომას მოითხოვენ, არც მეორე ჯგუფის წყაროთა ცნობებია ბოლომდე სანდო, რადგან ისინი გვიანი დროის ავტორებმა შემოგვიანახეს და ამდენად მრავალხელში არიან გამოვლილი. ამიტომ როცა საქმე ეხება ქსენოფონტის ცხოვრების ამა თუ იმ მომენტის დადგენას, უპირატესობა მაინც ქსენოფონტის ცნობებს უნდა მიენიჭოს.

თანახმად „ანაბასისში“ არსებული ცნობებისა ქსენოფონტი ძვ. წ. V ს. 30-იან წლებში უნდა დაბადებულიყო. „ანაბასისის“ III წიგნში ქსენოფონტი გადმოგვცემს სიზმარს, სპარსელთა მიერ ბერძენი სტრატეგოსების მოკვლის შემდეგ რომ ესიზმრა მას. ძილგამკრთალი ქსენო-

2 იხ. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“ და მისი ცნობები ქართველთა ცნობების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1953.

ნება ახალგაზრდობას, რომ მან თავისი ფეხების სიმარდის გამო სტრატეგოსობას მიაღწიოს.

ასეთი იყო საზოგადოებრივი აზრის ღამოკიდებულება არსებული კანონისადმი. ეს კარგად იცოდა ქსენოფონტმა. იგი თვით უნდა ყოფილიყო მოწმე ალკიბიადეს სტრატეგოსად არჩევის გამო ათენში გამართული აზრთა ბრძოლისა. ახლა მის წინაშე იდგნენ ისეთივე ელინები, როგორც ათენელები იყვნენ. ქსენოფონტი უნებლიედ აღმოჩნდა ალკიბიადეს მდგომარეობაში და იძულებული იყო დაერწმუნებინა ბერძენი მოქირავნეები, რომ იგი მოწიფულია სტრატეგოსის თანამდებობის დასაკავებლად. ბერძენი მოქირავნეები იმდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომ საკმარისი იყო ვინმეს გამოეჩინა ინიციატივა, ეყისრა სარდლობა, რომ ისინი მას გაჰყოლოდნენ. მიუხედავად ამისა ქსენოფონტს მაინც ეშინოდა მოქირავნეები უნდობლად არ მოჰკიდებოდნენ მას მისი ახალგაზრდობის გამო. ამიტომ აღნიშნავს იგი ორჯერ ხაზგასმით, რომ მან მიაღწია მოწიფულ ასაკს. მისი შიში უსაფუძვლო არ იყო. მოქირავნეთა შორის იყვნენ მასზე უფროსი და უფრო გამოცდილი ოფიცრები, რომელთაც შეეძლოთ სტრატეგოსობა ეყისრათ.

ზემოთქმული გვაგარაუდებინებს, რომ ძვ. წ. 401 წლისათვის ქსენოფონტი 30 წლისა იყო ან იქნებ ცოტა მეტის. იგი არ უნდა დაბადებულიყო 435 წელზე უფრო ადრე და 431 წელზე უფრო გვიან.

გარდაიცვალა ქსენოფონტი, როგორც ჩანს, ძვ. წ. 358 წლის შემდეგ. საქმე ისაა, რომ თავის „საბერძენეთის ისტორიაში“ (Ἑλληνιστά) მას აღწერილი აქვს თესალიის მეფის ალექსანდრეს მკვლელობა⁷. ალექსანდრემ, დიოდორე სიცილიელის ცნობით⁸, 11 წელიწადს იმეფა, ტახტზე კი 369 წელს ავიდა. მაშასადამე, ალექსანდრე ძვ. წ. 358 წლის შემდეგ უნდა მოეკლათ. ქსენოფონტის ცნობით, ალექსანდრე მოჰკლეს მისმა ძმებმა, რომელთაგან უფროსი ტისიფონი ხელისუფლების სათავეში იდგა მანამ, ვიდრე ეს წიგნი (ე. ი. „საბერძენეთის ისტორია“) დაიწერა⁹. მაშასადამე, 358 წლის შემდეგ ქსენოფონტს კიდევ ერთხანს უცოცხლია. მისი ტრაქტატიდან „შემოსავალთა შესახებ“ (4, 40; 4, 43; 5, 5—6; 5, 8—9; 5, 12) ირკვევა, რომ ამ ნაწარმოების დაწერის დრო დაემთხვა სამოკავშირეო ომის (ძვ. წ. 358 — 355 წწ.) დამ-

⁷ Hellenica, VI, 4, 35.

⁸ Diod., XV, 61; XVI, 14.

⁹ Hellenica, VI, 4, 37.

თავრებას და საღვთო ომის (ძვ. წ. 355—346 წწ.) დაწყებას¹⁰. ხოლო საღვთო ომის მიმდინარეობა და შედეგები ქსენოფონტის ნაწარმოებებში აღარ არეკლილა. როგორც ჩანს, ქსენოფონტი საღვთო ომის მხოლოდ პირველ წლებს მოესწრო.

ძვ. წ. 401 წლამდე ქსენოფონტის ცხოვრების შესახებ მცირე რაპორტით. ცნობილია, რომ იგი ამ დროს ათენში ცხოვრობდა, სადაც ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული. იგი იყო ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს მოწაფე, ეს გარემოება მიუთითებს იმაზე რომ იგი წარჩინებულთა წოდებას ეკუთვნოდა. ტრაქტატში „საცნენოსნო ხელოვნების შესახებ“ (I, 1) ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ იგი მრავალი ხნის განმავლობაში მხედრობას მისდევდა¹¹. მისი არისტოკრატიული წარმომავლობის შესახებ „ანაბასისშიც“ არის ნათელი ცნობა: ქსენოფონტის ირონიაზე, რომ სპარტელები ბავშვობიდან ვარჯიშობენ ქურდობაში და მათ შორის ქურდობა ვაჟაკობადაა აღიარებული¹², სვიროფოსი პასუხობს: „შეიძლება, მაგრამ, რამდენადაც მე მსმენია, ათენელებიც დაოსტატებული არიან საზოგადო ქონების ძარცვაში, მაშინაც კი, როდესაც ქურდს დიდი საშიშროება მოელის. ამასთან [ამ საქმეში] წარჩინებულები პირველობენ, მაშინ როდესაც თქვენთან წარჩინებულნი სახელმწიფოს მართვის ღირსად ითვლებიან. ასე რომ, დადგადრო გამოამქლავნო შენი აღზრდა“¹³.

როგორც ცნობილია, ათენის არისტოკრატიული წრეების პოლიტიკური სიმპათიები სპარტისკენ იყო მიმართული, მაშინაც კი, როდესაც ათენი სპარტას ეომებოდა. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქსენოფონტის ლაკონოფილობა, რაც ასე ნათლადაა არეკლილი მის თხზულებებში. ამ მხრივ ყველაზე მეტყველია „აგისილაე“—ნაწარმოები, რომელიც ქსენოფონტმა სპარტის მეფეს აგისილაეს მიუძღვნა და რომელიც, არსებითად, ლაკედემონური წყობის აპოლოგიას წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ქსენოფონტი მხედართა გაბატონებულ წრეს ეკუთვნოდა. მას მონაწილეობა უნდა მიეღო პელოპონესის ომშიც. ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. 401 წლისათვის, როცა ის კიროსის არმიაში მივიდა, საკმაოდ დიდი საომარი გამოცდი-

¹⁰ იხ. Э. Д. Фролов, Жизнь и деятельность Ксенофонта: УЗЛГУ, СИН 1958, № 251, ნაკვეთი 28-ე, გვ. 50.

¹¹ Э. Д. Фролов, იქვე, გვ. 51.

¹² Anab., IV, 6, 14—15.

¹³ Anab., IV, 6, 16.

ლება უნდა ჰქონოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში ბერძენი მოქირავნეები მას სტრატეგოსად არ აირჩევდნენ.

ქსენოფონტი პელოპონესის ომში ასაკის მიხედვით მონაწილეობას ვერ მიიღებდა ძვ. წ. 415—414 წლებამდე. მაშასადამე, მას შეეძლო ჩაბმულიყო ომში ათენისათვის განსაკუთრებით მძიმე განსაცდელის ეპოს. ეს ის დროა, როცა ათენის დემოსი ალკიბიადეს შეგონებით თანხმდება სიცილიაში ლაშქრობის მოწყობაზე. ეს ლაშქრობა, რომელიც ფაქტიურად ავანტიურა იყო, როგორც ცნობილია, კრახით დამთავრდა. სიცილიის კატასტროფით ისარგებლეს სპარტელებმა და აქტიური საომარი ოპერაციები წამოიწყეს. მათ ხელთ იგდეს ჯეკელეა ათენის მახლობლად და ათენის ბლოკადას შეუდგნენ. დეკელეა ატიკის სასოფლო-სამეურნეო რაიონში მდებარეობდა და მისი დაკავებით სპარტელებმა ატიკის სოფლის მეურნეობა საბოლოოდ მოშალეს. ამას დაერთო ისიც, რომ ათენიდან სპარტელთა მხარეზე 20 ათასამდე მონა გადავიდა. ბოლოს ათენს გადაუდგნენ მოკავშირეებიც და ათენის მძლავრ არქეს საფუძველი შეერყა. ათენში დაიწყო პოლიტიკური კრიზისი. არისტოკრატია, რომელიც ყოველთვის აღმაცერად უყურებდა დემოკრატიას, ახლა უკვე აღარ ფარავდა თავის სიმპათიებს სპარტის მიმართ. გაჩაღდა მწვავე პარტიული ბრძოლა დემოკრატებსა და ოლიგარქებს შორის. 411 წ. ოლიგარქიული მმართველობის მომხრეებმა სძლიეს თავის მეტოქეებს და მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება. ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად ჩამოყალიბებული საგანგებო კომისიის წინადადებით პოლიტიკური უფლებები შეუნარჩუნეს მხოლოდ ხუთი ათას შეძლებულ მოქალაქეს. გააუქმეს საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისათვის დაწესებული გასამრჩელო, რითაც პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშორეს დემოკრატები, რომლებიც, უპირატესად, აღნიშნული გასამრჩელოთი არსებობდნენ. ხელისუფლების სადავეები გადასცეს ოთხასთა საბჭოს, რომელსაც დაევალა „მამათა“ კონსტიტუციის გატარება. მაგრამ ოთხასთა საბჭოს ოლიგარქიული მმართველობა დიდი დღისა არ აღმოჩნდა. 410 წ. ათენში ძალაუფლება კვლავ დემოკრატებმა იგდეს ხელთ. დემოკრატების გამარჯვებამ შეაშფოთა სპარსეთი და იძულებული გახადა უფრო აქტიურად დახმარებოდა სპარტას ათენის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დახმარებამ მალე ათენისათვის სავალალო შედეგი გამოიღო: ძვ. წ. 405 წ. პელესპონტში ეგოსპოტამოსთან სპარტელებმა ათენელები გაანადგურეს. სპარტელი ნავარქოსი ლისანდრე ათენისაკენ დაიძრა. ლისანდრემ და სპარტის მეფემ პავსანიამ ათენს

ზღვიდან და ხმელეთიდან ალყა შემოარტყეს. 404 წლის გაზაფხულზე ათენი დაეცა და სენო სპარტის ჰეგემონია.

სპარტელთა მონაწილეობით ათენელმა ოლიგარქებმა მოახდინეს მეორე ოლიგარქიული გადატრიალება. ხელისუფლების სათავეში მოექცა ოცდაათი კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომლის მმართველობა ოცდაათის ტირანიის სახელითაა შესული ისტორიაში.

პლატონი ერთ-ერთ წერილში, რომელიც არც თუ ისე დიდიხანია აღმოჩნდა, წერს, რომ ოცდაათი ტირანის თავაშვებულმა მმართველობამ ისე იმოქმედა მასზე, რომ მის განზრახვაზე—პოლიტიკური მოღვაწეობისათვის მიეძღვნა თავისი სიცოცხლე, ხელი ააღებინა. „მე მეგონა, ამბობს პლატონი, ისინი ისე წარმართავენ სახელმწიფოს, რომ უკანონობის გზიდან სიმართლის გზაზე დააყენებენ. ამიტომ, თვალყურს ვადევნებდი იმას, რას გააკეთებდნენ ისინი. და დავინახე—ოცდაათმა მცირე ხნის განმავლობაში დაამტკიცა, რომ წინანდელი სახელმწიფო წყობილება ოქრო იყო“¹⁴.

ძნელია იმის დადგენა რას აკეთებდა ქსენოფონტი აღნიშნული ოლიგარქიული გადატრიალებების ღროს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, როგორც პირველი, 411 წლის გადატრიალება, ისე განსაკუთრებით მეორე, მოახდინა ლაკონოფილურად განწყობილმა არისტოკრატებმა და, რაც მთავარია, სპარტელების დახმარებით, ბუნებრივია, ქსენოფონტიც მუქამბოხეთა შორის ვიგულებოთ. ყოველ შემთხვევაში, ოცდაათი ტირანის მომხრეთა შორის ქსენოფონტის ყოფნა სავსებით დასაჯერებელია, რადგან ოცდაათის მხარეზე იბრძოდა ის ხალხი, რომელიც ქსენოფონტის წრეს ეკუთვნოდა. ასე, მაგალითად. ოცდაათის ტირანიის სათავეში იღვა პოეტი კრიტია, რომელიც, ქსენოფონტის მსგავსად, სოკრატეს მოწაფე იყო. პლატონიც, სოკრატეს მეორე მოწაფე, როგორც აღნიშნული იყო, თავდაპირველად დიდ იმედებს ამყარებდა ოცდაათის ტირანიაზე. ამიტომ ის გარემოება, რომ ოცდაათის ტირანიის დამხობის შემდეგ ქსენოფონტს ათენში აღარ დაედგომებოდა, თავისთავადაც ბევრის მთქმელია. როგორც ჩანს, ქსენოფონტი იძულებული იყო კიროსის არმიას შეეკედლებოდა. მართალია, ეს ფაქტი „ანაბასისში“ ძალიან მარტივანადაა ახსნილი: ქსენოფონტი კიროსთან იმის გამო წავიდა, რომ მისმა

¹⁴ С. А. Жебелев. О «Тирании Тридцати» в Афинах; ВДИ, № 1, 1940, гв. 27—28. ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელი წლების ოლიგარქიულ გადატრიალებათა შესახებ დიდიძალი ლტერატურა არსებობს. ერთ-ერთი უკანასკნელთაგანია — U. Hackl, Die oligarchische Bewegung in Athen am Ausgang des 5. Jahrhunderts V. Chr., München, 1960 (იხ. ВДИ, 1964, № 1, გვ. 168—172).

ძველმა მეგობარმა პროქსენემ მიიწვიაო¹⁵, მაგრამ, მას რომ ათენში დარჩენა შესძლებოდა, აღარ შეაჩერებდა არჩევანს კიროსის არმიაში გაუტყვეველი მიზნით და გაუტყვეველი მდგომარეობით ყოფნაზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია თვით ქსენოფონტის ერთი ცნობა: იგი მოგვითხრობს, რომ მცირე აზიის ბერძნული ქალაქების თხოვნით სპარტელებმა ტისაფერნესთან საომრად ძვ. წ. 400 წ. გაგზავნეს თავისი ჰარმოსტი თიბრონი. ამ უკანასკნელმა ათენელებს თხოვა 300 მხედარი, რომელთაც მან ჯამაგირი აღუთქვა. ათენელებმა, თავის მხრივ, გაუგზავნეს თიბრონს ხსენებული მხედრები, მაგრამ იმათ რიცხვიდან „ვინც მსახურობდა ცხენოსანთა ჯარში ოცდაათის მმართველობის დროს, რადგან ფიქრობდნენ, რომ დემოკრატიისათვის სასიკეთო იქნებოდა, თუ ისინი სამშობლოდან შორს იქნებოდნენ და დაილუპებოდნენ“¹⁶. ამ ნაწყვეტში ნათლად ჩანს გამარჯვებული დემოკრატიის დამოკიდებულება იმ პირთა მიმართ, ვინც დაკავშირებული იყო ოცდაათი ტირანის მმართველობასთან.

ფიქრობთ, რომ ქსენოფონტის ათენიდან ნებაყოფლობით წასვლას ეს ცნობა კარგად უნდა ხსნიდეს. ქსენოფონტმა, უბრალოდ, წინ უსწრო მოვლენებს.

ათენიდან წასასვლელად ქსენოფონტს, როგორც დავინახეთ, მარჯვე საბაზი გაუჩნდა: მისმა ძველისძველმა მეგობარმა პროქსენემ, რომელიც სპარსელი უფლისწულის კიროსის სამსახურში იმყოფებოდა, მიიწვია იგი და შეპირდა კიროსთან დაახლოვებას¹⁷. მაგრამ კიროსთან წასვლა ათენის ღალატს უდრიდა, რადგან ათენში მიაჩნდათ, რომ პელოპონესის ომის დროს კიროსი სპარტას ეხმარებოდა¹⁸. ქსენოფონტმა რჩევისათვის სოკრატეს მიმართა. სოკრატემ ურჩია ქსენოფონტს წასულიყო დელფოსში და განეცხადებინა ღმერთისთვის განზრახული მგზავრობის შესახებ¹⁹. ქსენოფონტი ასეც მოიქცა, ოღონდ დელფოსში აპოლონს ჰკითხა არა იმის შესახებ რამდენად დასაშვებია მისი წასვლა სარდში კიროსთან, არამედ „რომელ ღმერთს შესწიროს მსხვერპლი და

¹⁵ Anab., III, 1, 4.

¹⁶ Anab., III, 1, 3, 5.

¹⁷ Anab., III, 1, 4.

¹⁸ Anab., III, 1, 5. ამ ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ათენში თვლიდნენ, რომ კიროსი სპარტას ემხრობოდა, ხოლო სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ქსენოფონტს, როგორც ჩანს, კიროსის რეაბილიტაციით თავისი მოქმედების გამართლებაც სურს.

¹⁹ Anab., III, 1, 5.

მიმართოს ლოცვით იპისათვის, რომ დიდებითა და სიკეთით დაასრულოს განზრახული მოგზაურობა და მშვიდობით დაბრუნდეს უკან²⁰. შესანიშნავი ფაქტია ქსენოფონტის პიროვნების დასახასიათებლად. ქსენოფონტმა ნათლად გამოავლინა არა მარტო სკეპსისი ღმერთების მიმართ, არამედ აშკარა ათეიზმიც. თვით სოკრატეც კი, რომელსაც ათენელები ორი წლის შემდეგ სიკვდილით დასჯიან უღმერთობისათვის, გააოცა ასეთმა შეკითხვამ²¹. ქსენოფონტს კარგად ესმის ღვთიური წინასწარმეტყველების ფასი, მაგრამ ამავე დროს მან ასევე კარგად იცის, თუ რა გავლენა აქვს მას საზოგადოებრივ აზრზე. მას ეშინია ათენის დემოსის რისხვისა. ამიტომაც ცდილობს მოიპოვოს ღმერთის მხარდაჭერა, რათა უჩვენოს საზოგადოებას, რომ მისი სარდელში წასვლა საჩოთირო არ არის,

სარდელში კიროსი, დარიოს II-ის უმცროსი ვაჟი, ამზადებდა დიდ ლაშქრობას თავისი ძმის სპარსეთის მეფის არტაქსერქე II-ის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობას თავისი ისტორია აქვს²².

დარიოს II, რომელსაც ნაბიკვარს (νῆβος) ეძახდნენ, უნიათო მმართველი აღმოჩნდა. იპერიას, ფაქტიურად, მისი მეუღლე პარისატისი განაგებდა. პარისატისს მთელი თავისი გავლენა იქითკენ ჰქონდა მიმართული, რომ დარიოსის შემდეგ ტახტზე თავისი უმცროსი ვაჟი კიროსი აეყვანა. ამან სასახლის კარზე დარიოსის უფროსი ვაჟის არსაკის მომხრეთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და საფუძველი ჩაუყარა დაჯგუფებას, რომელიც პარისატისის პარტიას დაუპირისპირდა. ამ დაჯგუფებას მეთაურობდა არსაკის მეუღლე სტატირა, მეტად გავლენიანი საგვარეულოს წარმომადგენელი, ასული ჰიდარნესისა და დარიოსის დიდი მოხელეების ტისაფერნის და ტერიტუნმესის და.

ბრძოლა ამ ორ დაჯგუფებას შორის პოლიტიკური ხასიათისა არ იყო მხოლოდ; ამ ბრძოლას ღრმა სოციალური შინაარსიც ჰქონდა. ფიქრობენ, რომ პარისატისისა და კიროსის დაჯგუფება არისტოკრატიის იმ ნაწილის ინტერესებს იცავდა, რომელიც სპარსეთში სავაჭრო-სამრეწველო წრეებს ემყარებოდა, ხოლო საბერძნეთში დაკავშირებული იყო ლისანდრეს დაჯგუფებასთან. არსაკისა და სტატირას ჯგუფი კი სპარსეთის არისტოკრატიის კონსერვატიული წრეების ინტერესებს იცავდა²³.

²⁰ Anab., III, 1, 6.

²¹ შტრ. Anab., III, 1, 7.

²² იხ. W. W. Tarn, Persia from Xerxes to Alexander, САН, VI, გვ. 1—24.

²³ იხ. Э. И. Соломонович, Кир Младший; ЛГУ, СИН, вып. 10. 1949 г.

ძვ. წ. 413 წლისათვის სტატირას ჯგუფი მომძლავრებული ჩანს. მისი ძმა ტისაფერნე ლიდიის სატრაპად ინიშნება. მაგრამ მალე სტატირას მეორე ძმა ტერიტუხმესი, რომელსაც ცოლად ჰყავდა არსაკის ქალიშვილი (ე. ი. არსაკის სიძეც იყო და ცოლისძმაც), მიდიიში დარიოს II-ის წინააღმდეგ აწყობს შეთქმულებას. ეს შეთქმულება შედარებით ადვილად ჩააქრეს. არსაკი ორკოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი უშუალოდ არ იყო შეთქმულებაში გარეული, მაგრამ შეთქმულების მეთაურები მასთან სისხლხორცეულად იყვნენ დაკავშირებული. ლალატი ბრალდებოდა სტატირასაც და არსაკმა ძლივს იხსნა იგი დედამისის შურისძიებისაგან. დედოფლის შრისხანებას რალაც მანქანებით ტისაფერნეც გადაურჩა. მაგრამ, პარისატისი რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც მისწვდა ტისაფერნეს: ძვ. წ. 407 წ. მან დაიყოლია დარიოსი ლიდიის, ფრიგიის და კაპადოკიის სატრაპად თავისი გამორჩეული შვილის კიროსის დანიშვნაზე. ეს ნაბიჯი ორ მიზანს ისახავდა: ერთის მხრივ მიმართული იყო ტისაფერნეს წინააღმდეგ, რადგან ლიდიის სატრაპიის წართმევის შემდეგ იგი საშიშ ძალას აღარ წარმოადგენდა, ხოლო მეორე მხრივ კიროსის ძლიერებას უყრიდა საფუძველს. ტისაფერნე დანიშნეს სირიისა და იონიის ქალაქების მმართველად. ასეთმა კონსპეციამ ტისაფერნეს არ გაუქარვა შურისძიების ცეცხლი. იგი პარისატისის და დარიოსის დაუძინებელი მტერი გახდა.

404 წ. გარდაიცვალა დარიოს II. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს პარისატისის დაჯგუფება თითქოს მომძლავრებულია, ხოლო სტატირას ჯგუფი ლალატიშია შემჩნეული, სპარსეთის ტახტს სრულიად უმტკივნეულოდ, რაც ძალიან იშვიათი იყო იმ დროს, იკავებს არსაკი. მან მეფობა დაიწყო როგორც არტაქსერქსე II; კარგი მეხსიერებისათვის სპარსელებმა მას Abiataka შეარქვეს, ბერძნებმა *αβήτασ*.

პლუტარქეს ცნობით გაბოროტებულმა კიროსმა კორონაციის დროს დააპირა არტაქსერქსეზე თავდასხმა, მაგრამ მისმა აღმზრდელმა ქურუმმა და ტისაფერნემ გასცეს იგი²⁴. ქსენოფონტის ცნობით კი ტისაფერნემ კი არ გასცა კიროსი, არამედ ცილი დასწამა, თითქოს იგი შეთქმულებას ამზადებდა არტაქსერქსეს წინააღმდეგ. არტაქსერქსემ დაიჯერა და დააპატიმრა კიროსი. მხოლოდ პარისატისის ჩარევამ იხსნა იგი სიკვდილისაგან. კიროსი გაანთავისუფლეს და დააბრუნეს თავის სატრაპიაში²⁵.

²⁴ Плутарх, Сравнительные жизнеописания, т. III, Москва, 1964, Артаксеркс, гл. 350.

²⁵ Anab., I, 1, 3.

შეუტაცხოფილმა კიროსმა დაიწყო მზადება თავისი ძმის არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ეს სამზადისი ძვ. წ. 401 წლის დასაწყისისათვის არსებითად მომთავრებული იყო. ამ დროს ჩადის, სწორედ. ქსენოფონტი სარდესში. ძვ. წ. 401 წლის ადრე გაზაფხულზე კიროსის არმია დაიძრა. მას გაჰყვა ქსენოფონტიც.

არმიაში ქსენოფონტს არ ჰქონდა რაიმე ოფიციალური თანამდებობა. მისივე სიტყვით—იგი არ იყო არც სტრატეგოსი, არც ლოხაგოსი და არც მეომარი²⁶. მაგრამ ასეთ მოხალისედ იგი დიდხანს არ დარჩენილა.

კიროსისა და მეფის არმიები ერთმანეთს შეეხნენ ბაბილონის მახლობლად. პლუტარქე ამ ადგილს კუნაქსას უწოდებს²⁷. კუნაქსას ბრძოლაში კიროსი დაიღუპა. და მიუხედავად იმისა, რომ კიროსის არმიამ სძლია მეფის ჯარებს, ბრძოლის ბედი მაინც მისმა სიკვდილმა გადაწყვიტა.

უმეთაუროდ დარჩენილმა კიროსის მოქირავნეებმა განაგრძეს გზა აღმოსავლეთით. ცბიერი ტისაფერნე მათ კვალდაკვალ მიჰყვება და ცდილობს მათი ნღობა მოიპოვოს. ბოლოს და ბოლოს ტისაფერნემ მიაღწია მიზანს, შეიტყუა თავის ბანაკში ბერძენი სარდლები (5 სტრატეგოსი და 20 ლოხაგოსი) და დაახოცინა ისინი²⁸.

ამ ამბების შემდეგაა სწორედ, ქსენოფონტი რომ არწმუნებს უმეთაუროდ დარჩენილ მოქირავნეებს აირჩიონ იგი სტრატეგოსად. მას მართლაც ირჩევენ და იწყება ბერძენი მოქირავნეების ლაშქრობის ახალი ეტაპი — უკან დახევა ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ბერძნული ახალშენებისაკენ.

საგულისხმოა, რომ როცა მოქირავნეთა არმია სამშვიდობოს გავიდა, ქსენოფონტს არაფერში შეეტყო, რომ იგი სამშობლოში დაბრუნებას ფიქრობს. პირიქით, კოტიორაში ყოფნის დროს მან მოუწოდა მოქირავნეებს შავიზღვისპირეთში დარჩენა და ახალშენის დაარსება. და მხოლოდ იმის გამო, რომ მას არმიის დიდი ნაწილი გადაუდგა, მან უარი თქვა ამ წამოწყებაზე²⁹. შავი ზღვის სანაპიროზე ახალშენის დაარსების აზრი არ იყო დამყარებული მხოლოდ და მხოლოდ ავანტიურულ ზრახვებზე. ქსენოფონტს უნდოდა სადმე ფეხის მოკიდება, რადგან მას სამშობლოში არ ჩავსვლებოდა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც,

²⁶ Anab., III, 1, 4.

²⁷ Плутарх, Сравнительные жизнеописания, III, გვ. 553.

²⁸ Anab., II, 5.

²⁹ Anab., V, 6, 15—37.

რომ პერგამოსში მან მთელი თავისი ჯარი გადასცა სპარტელ სარდალს თიბრონს, თვითონაც მას შეეკედლა და მასთან ერთად დაიწყო ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ³⁰.

396—394 წწ. მცირე აზიაში სამხედრო ოპერაციებს სპარტის მეფე აგესილავ მეთაურობს. აქ შეხვდა მას ქსენოფონტი, აქვე მოხდა მათი დაახლოვება. აგესილავ ქსენოფონტმა თავის გმირად გაიხადა და მას საგანგებო თხზულება უძღვნა.

394 წ. ქსენოფონტი აგესილავსთან ერთად ბრუნდება ელადაში და მონაწილეობას იღებს კორონიის (Κορώνεια) ბრძოლაში, იმ კოალიციის წინააღმდეგ, რომელშიც ათენიც შედიოდა³¹. ამ ბრძოლაში მონაწილეობით ქსენოფონტმა საბოლოოდ გაწვევითა კავშირი ათენთან. როგორც ჩანს, ამ დროს უნდა ყოფილიყო გამოტანილი დადგენილება მისი ათენიდან გაძევების შესახებ³².

მაღე ქსენოფონტი თავს ანებებს სამხედრო მოღვაწეობას და ელადაში, ოლიმპიის მახლობლად, დაბა სკილუნტში სახლდება³³. აქ იგი ყიდულობს მამულს და ხელს ჰკიდებს სოფლის მეურნეობასა და მონადირეობას. სკილუნტში უნდა იყოს დაწერილი მისი ლიტერატურული ნაწარმოებების დიდი ნაწილი.

სკილუნტში ქსენოფონტის უშფოთველი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა.

379 წ. თებეში დაამხეს ოლიგარქიული მმართველობა, რომელიც სპარტელების გარნიზონს ეყრდნობოდა, და დემოკრატიული მმართველობა დაამყარეს. თებეს მაგალითს მაღე ბეოტიის სხვა ქალაქებმაც წაბაძეს, მოახდინეს დემოკრატიული გადატრიალება და თებეს გარშემო გაერთიანდნენ. ოლიგარქიული სპარტა ვერ შეურიგდა ბეოტიაში დემოკრატიის გამარჯვებას და გაილაშქრა თებეს წინააღმდეგ. 371 წ. ბეოტიაში ქ. ლევქტრასთან სპარტელები სასტიკად დამარცხდნენ. მომდევნო 370 წ. თებელი სარდალი ეპამინონდა ვეება არმიით შეიჭრა პელოპონესში, რასაც შედეგად მოჰყვა პელოპონესის კავშირის დაშლა.

ეს ქართველები არ ასცდა ქსენოფონტის მყუდრო სამყოფელს. იგი იძულებული გახდა თავისი ოჯახით კორინთოში გადასახლებულიყო³⁴.

³⁰ შტრ. Anab, VII, 8, 23—24.

³¹ შტრ. Anab., V, 3, 6. Hell., IV, 3, 15—16 და შტდ.

³² იბ, Anab., V, 3, 7.

³³ Anab., V, 3, 7.

³⁴ Dlog. Laert. II, 6, 53.

თებეს გაძლიერებამ შეაშინა ათენი, რომელიც ახლა უკვე სპარტას შეუქავშირდა. ეს იყო უდიდესი მოვლენა ქსენოფონტის ცხოვრებაში: სპარტა-ათენის კავშირი ათენიდან გაძევებულ ქსენოფონტს ფართოდ უღებდა სამშობლო ქალაქის კარს. მაგრამ ქსენოფონტს ამ შესაძლებლობით არ უსარგებლია. მან ათენში გაგზავნა თავისი ორი ვაჟი, რომლებიც 362 წ. ქ. მანტინეასთან იბრძოდნენ თებელების წინააღმდეგ ათენისა და სპარტის მხარეზე. ქსენოფონტმა გაიღო უქანასკნელი მსხვერპლი, როგორც თავისი მშობლიური ქალაქის, ისე იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც მისი მეორე სამშობლო გახდა.

მანტინეასთან ბრძოლაში ქსენოფონტის ერთ-ერთი ვაჟი გრილოსი დაიღუპა. არსებობს გადმოცემა, თითქოს ქსენოფონტმა, როდესაც მას შვილის სიკვდილი შეატყობინეს, თავიდან გვირგვინი მოიხადა. ხოლო როდესაც უთხრეს, რომ მისი ვაჟი დაიღუპა ისე, როგორც ეს ნამდვილ გმირს შეეფერებოდა, მან დაიხურა გვირგვინი თავზე და წარმოთქვა: „მე ვიცოდი, რომ ვშობე მოკვდავი“³⁵.

ქსენოფონტი გარდაიცვალა ძვ. წ. 358 წლის შემდეგ, ალბათ 355—354 წწ.

როგორც ისტორიკოსი ქსენოფონტი თუქიდიდეს გამგრძელებელია. მართალია, მისი საისტორიო თხზულებები არ დგას თუქიდიდეს შრომის დონეზე, მაგრამ მათი მნიშვნელობა ბერძნული პროზის განვითარების ისტორიაში განუზომელია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუქიდიდედან პოლიბიოსამდე ბერძნულ სამყაროს ქსენოფონტის ოდენა მწერალი არა ჰყოლია. იგი იყო ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი კლასიკური ხანის ბერძნული სამეცნიერო პროზისა და ელინისტური ხანის მეცნიერების წინამორბედი. კლასიკურ ხანაშიც კი იშვიათი იყო ისეთი უნივერსალური მეცნიერი, როგორიც ქსენოფონტი იყო. ქსენოფონტს ეკუთვნის არა მარტო წმინდა საისტორიო თხზულებები („საბერძნეთის ისტორია“, „ანაბასისი“, „აგესილაე“ „კიროპედია“), არამედ ფილოსოფიური („მოგონებანი სოკრატეს შესახებ“, „სოკრატეს დაცვა სასამართლოში“, „ოიკონომიკოსი“, „სიმპოსიონი“, „პიერონი“), პოლიტიკური („ლაკედემონელთა სახელმწიფო წყობილება“, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“, „შემოსავალთა შესახებ“) და დიდაქტიკურიც („პიპარქიკოსი“, „ცხენოსნობის შესახებ“, „კინეგეტიკოსი“).

ქსენოფონტის მრავალრიცხოვან შრომათაგან ძველი დროიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „ანაბასისი“, არა მარ-

³⁵ Diog. Laert, II, 6, 54—55.

ტო თავისი სათავეგადასავლო ხასიათის გამო, არამედ იმ შესანიშნავი სტილის გამოც, რომელმაც ქსენოფონტს „ატიკური ფუტკრის“ სახელი მოუპოვა. ქსენოფონტის „ანაბასისის“ გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მან ბერძნულ ლიტერატურაში დაუდო სათავე სხვა „ანაბასისებს“ და ჟანრულად მის მონათესავე თხზულებებს.

2. ქსენოფონტის „ანაბასისი“

ქსენოფონტის ნაწარმოებებს ჰყოფენ საისტორიო, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და დიდაქტიკურ თხზულებებად. მაგრამ ასეთ კლასიფიკაციას არ შეიძლება მკაცრად დავემორჩილოთ, რადგან ერთი და იგივე თხზულება შეიძლება ნაწარმოებების ერთ ჯგუფსაც მიეკუთვნოს და მეორესაც. მაგალითად, „ლაკედემონელთა სახელმწიფო წყობილება“ შეიძლება განვიხილოთ როგორც საისტორიო ნაშრომიც და როგორც პოლიტიკური ხასიათის თხზულებაც.

იგივე ითქმის „ანაბასისზეც“. „ანაბასისი“ მათიანე არ არის და თავისი ავტობიოგრაფიული ხასიათის გამო მემუარული ლიტერატურის უძველეს ნიმუშადაა მისაჩნვეი. მაგრამ, რაკი ამ ნაწარმოებში გადმოცემულია სპარსეთის ისტორიის ერთი ეპიზოდი და მასთან დაკავშირებული წინამორბედი და თანადროული ისტორიული ამბები, იგი საისტორიო თხზულებების რიგშიც უნდა ჩავაყენოთ.

ქსენოფონტი მონაწილე იყო ამ ისტორიული ამბებისა. მან მიზნად დაისახა გაეზვიადებინა „ანაბასისში“ თავისი დამსახურება ბერძენ მოქირავენთა უკანდახვევის დროს. ამიტომ იგი „ანაბასისში“ მესამე პირით მოგვითხრობს მაშინაც კი, როცა თვითონ მასზეა ლაპარაკი, ხოლო ამ ნაწარმოების ავტორად, თავის სხვა თხზულებაში თემისტოგენე სირაკუზელს ასახელებს¹.

აღნიშნულ თავისებურებათა გამო „ანაბასისს“, როგორც საისტორიო წყაროს, ხშირად უნდობლად ეკიდებიან, მაგრამ ასეთ დამოკიდებულებას ეს ნაწარმოები აშკარად არ იმსახურებს. ხოლო იმ ნაწილში, რომელიც ქართველ ტომებს ეხება „ანაბასისის“, როგორც საისტორიო წყაროს ღირსება, სრულიად უდაოა.

იმ მიზანმა, რომელიც ქსენოფონტმა თავის „ანაბასისს“ დაუსახა, განსაზღვრა კიდევც ამ ნაწარმოების კომპოზიცია: „ანაბასისი“ შეიღი

¹ ზღრ. Hellenica, III, 1, 2.

წიგნისაგან შედგება და ნიშანდობლივია, რომ საკუთრივ ან ა ბ ა ს ი ს², ე. ი. კიროსის ლაშქრობას შიდა ქვეყანაში არტაქსერქსე II წინააღმდეგ, მხოლოდ პირველი წიგნი ეთმობა, ხოლო დანარჩენ ექვს წიგნში (II—VII) აღწერილია კ ა ტ ა ბ ა ს ი ს³ ანუ კიროსის ბერძენ მოქირავნეთა მკვლელობა სამშობლოსაკენ. „ანაბასისი“ კომპოზიციიდან ნათლად ჩანს, რომ ქსენოფონტის მიზანი იყო არა კიროსის ლაშქრობის აღწერა, არამედ ბერძენ მოქირავნეთა უკან დახვევისა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. ქსენოფონტს სურდა თავისი ღვაწლი წარმოეჩინა და უკვდავეყო თავისი სახელი. ამიტომ მიმართა მან „ანაბასისში“ ზემოხსენებულ ლიტერატურულ ხერხს—მესამე პირით თხრობას და ამ ნაწარმოების ავტორობაც სხვას მიაწერა. ეს გარემოება არ გამოჩნა პლუტარქეს მახვილ თვალს: „ქსენოფონტი—ამბობს იგი—საკუთარი ისტორიკოსი იყო, რადგან მან აგვიწერა თავისი სარდლობა, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა. მან ეს მოთხრობა მიაწერა სირაკუზულ თემისტოგენეს და დაუთმო სხვას ამ შრომის დაწერის დიდება მხოლოდ იმის გამო, რომ მისი მოთხრობა, რომელშიც, თითქოს, მსჯელობაა არა თვით ავტორზე, არამედ სხვა პიროვნების შესახებ, უფრო სარწმუნო ყოფილიყო“⁴.

ამრიგად, ქსენოფონტმა ლიტერატურულ დიდებას, რაც მას ისედაც განაღდებული ჰქონდა თავისი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებების მეშვეობით, სამხედრო დიდება არჩია.

მიუხედავად იმისა, რომ „ანაბასისი“, როგორც დავინახეთ, გარკვეულ მიზანს ემსახურება, ქსენოფონტი, მაინც, ბოლომდე ინარჩუნებს კეთილსინდისიერებას, როგორც მთხრობელი. „ანაბასისში“ თუკი სადმე მელაენდება კიდევ ტენდენციურობა, ყოველ შემთხვევაში იმ ნაწყვეტებში არა, რომელიც ქართველ ტომებს შეეხება, რადგან ქართველი ტომები ქსენოფონტის პოლიტიკური ინტერესების მიღმა იმყოფებიან. რა თქმა უნდა, სათვალავში არ არის ჩასაგდები ქსენოფონტის,

² სიტყვასიტყვით *ἀναβάσις* ნიშნავს „აღმასვლას“, „ასვლას“; ქსენოფონტი ამ სიტყვას ხმარობს განაპირა მხარიდან, ამ შემთხვევაში სარდიდან ქვეყნის შიდა მხარეში, სიღრმეში [ე. ი. ბაბილონისაკენ] მსვლელობის აღსანიშნავად.

³ სიტყვასიტყვით *καταβάσις* ნიშნავს „ჩასვლას“, „ზემოდან დაშვებას“. ქსენოფონტი ამ სიტყვას ხმარობს შიდა ქვეყნიდან შავი ზღვის სანაპიროსკენ ბერძენ მოქირავნეთა უკანდახვევის აღსანიშნავად.

⁴ *ob. Plutarchi, Moralia, t. II, ed. Daniel Wittenbach, 345 d.*

როგორც ელინის, ქედმაღლობა ბარბაროსების მიმართ, რასაც იგი, მართალია, ყრუდ, მაგრამ დროდადრო მაინც ამჟღავნებს.

„ანაბასისი“ ისეა აგებული, რომ, დღიურს მოგვაგონებს. ყოველ შემთხვევაში იგი დღიურის მიხედვით უნდა იყოს დაწერილი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაშქრობის დროს ქსენოფონტი აწარმოებდა ჩანაწერებს, რომლის საფუძველზე აღნიშნული ლაშქრობიდან 20—30 წლის შემდეგ დაიწერა „ანაბასისი“⁵. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი ჩანაწერების გარეშე მრავალი წლის შემდეგ „ანაბასისში“ ასახულიყო ის უამრავი რიცხობრივი და ფაქტობრივი მონაცემები, რომელნიც თავისი სიზუსტით გვაოცებენ. ქსენოფონტი რომ ლაშქრობის დროს გზადაგზა აკეთებდა ჩანაწერებსა და შენიშვნებს, დასტურდება არა მარტო „ანაბასისის“ საერთო სტილითა და შემოთქმულის საფუძველზე, არამედ შემდეგი დაკვირვების მეშვეობითაც: კიროსის ბერძენ მოჭირავნეებს სპარსეთში ყოფნისას მოუხდათ მგზავრობა როგორც სახელმწიფო გზებზე, ისე შარავებზე. როდესაც ისინი მიემართებიან სახელმწიფო გზებით, რომლებზეც მოწყობილი იყო სადგურები და მანძილის აღმნიშვნელი ნიშნები, „ანაბასისში“ განვლილი მანძილები ზუსტადაა აღნიშნული სპარსული საზომებით, ხოლო როცა მათ უხდებათ ხოლმე ამ გზებიდან გადახვევა ან უგზო-უკვლოდ სიარული, „ანაბასისში“ სპარსული საზომები აღარ იხსენიება. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ როდესაც ბერძნები მივიდნენ შავი ზღვის სანაპიროზე, ე. ი. აღმოჩნდნენ სპარსეთის გავლენის სფეროს მიღმა და კეთილმოუწყობელი გზებით მოუხდათ მგზავრობა⁷, „ანაბასისის“ ფურცლებზე არათუ სპარსული, არამედ მანძილის საზომები ქრება საერთოდ.

ეს დაკვირვება საშუალებას ვეძლევს ვივარაუდოთ, რომ ქსენოფონტი მთელი ლაშქრობის მანძილზე ადგენდა დღიურს, რომლის ლიტერატურული დამუშავების შედეგად შეიქმნა „ანაბასისი“. ასე მივიღეთ პირველხარისხოვანი საისტორიო წყარო, რომელსაც, როგორც თვითმხილველი ისტორიკოსის ნაწარმოებს, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის. სწორედ იმის გამო, რომ „ანაბასისი“ აგებულია ლაშქრობის დროს შედგენილ ჩანაწერებზე, რომელნიც, როგორც ქვემოთ იქნება ნა-

⁵ об. W. W. Тагн, დასახ. ნაშრომი, გვ. 5; შტრ. М. И. Максимова, К «Анабасису» Ксенофонта; ВДИ, № 3, 1947, გვ. 211—212.

⁶ შტრ. М. И. Максимова, К «Анабасису» Ксенофонта, გვ. 211—212.

⁷ შტრ. Anab., I, 13—14.

ჩვენები, ემყარებიან ერთი მხრივ ოფიციალურ მონაცემებს (მანძილის საზომები, დასახლებული პუნქტების და ადგილის სახელწოდებანი), ხოლო მეორე მხრივ პირად დაკვირვებებს, „ანაბასისის“ ზოგი ცნობა მაინც, საისტორიო დოკუმენტის დონეზე დგას.

„ანაბასისი“, როგორც აღენიშნეთ, გამოირჩევა თხრობის თავისებურებით. ავტორი გვევლინება არსებითად იმ ამბების მთხრობელად, რომელთა მონაწილე ან მოწმე თვით იყო. ნაწარმოების მთელ მანძილზე ქსენოფონტი თითქმის არ მიმართავს განზოგადებებს და ძალიან იშვიათად გამოსთქვამს თავის აზრს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. „ანაბასისში“ აღწერილია შემთხვევები, როდესაც ქსენოფონტს უხდება სიტყვით მიმართოს ცალკეულ პირებს ანდა ლაშქარს, ასეთ შემთხვევაში იგი ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას მოცემული მოვლენისადმი, როგორც ნაწარმოების გმირი და არა როგორც ავტორი.

„ანაბასისის“ ყველა წიგნს, გარდა პირველი და მეშვიდე წიგნისა წინ უძღვის საგანგებო პარაგრაფი, რომელშიც ანოტირებულია წინა წიგნში მოთხრობილი ამბები. ეს პარაგრაფები მიაჩნიათ მერმინდელი რედაქტორების ნახელავად და „ანაბასისის“ აკადემიურ გამოცემებში ისინი ცალკე აქვთ გატანილი⁸. ასევე ცალკეა გამოყოფილი და მერმინდელ ჩანამატადაა მიჩნეული „ანაბასისის“ შემდეგი პარაგრაფებიც II, 2,6; V, 5,4 და VII, 8, 26. ყველა ეს ადგილი ერთნაირი შინაარსისაა და ცალკეულ ეტაპებზე კიროსის მოქირავნეთა მიერ გავლილი მანძილის რიცხობრივ დაჯამებას წარმოადგენს. პირველში (II, 2,6) მოცემულია მოქირავნეთა მიერ ეფესოდან ბაბილონის მიდამოებში შეტაკების ადგილამდე გავლილი მანძილი, მეორეში (V, 5,4) — მანძილი ხსენებული ბრძოლის ადგილიდან კოტიორამდე და დრო, რომელიც დასჭირდათ ამ მანძილის დასაფარავად, ხოლო მესამეში, რომელიც ამავე დროს „ანაბასისის“ სულ უკანასკნელი პარაგრაფია⁹, დაჯამებულია მოქირავნეთა მიერ მცირე აზიაში გავლილი მანძილი მთლიანად და დრო დახარჯული მთელ ლაშქრობაზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ადგილი, თუკი ისინი გვიან ჩანართებს წარმოადგენენ კიდევ, არათუ ეწინააღმდეგებიან „ანა-

⁸ შტრ. მაგალითად, Xenophontis Expositio Cyni, iterum recensuit Guillelmus Gemoll, editio maior, Lipsiae, MCMIX, რომელიც საფუძვლად უდევს წინამდებარე გამოცემას.

⁹ ამ პარაგრაფს ვერსახებ იხ. თ. შიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცული ერთი ცნობის შესახებ: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის შოაშბე, ტ. XXI, № 3, 1958, გვ. 250 — 255.

ბასისის“ თხრობას, არამედ მისდევენ მას და მასში არსებული ცნობები-
დან გამომდინარეობენ.

„ანაბასისში“ ქსენოფონტმა თხრობა ბერძენ მოქირავნეთა ლაშ-
ქრობას დაუქვემდებარა: მოქირავნეები უპირატესად მოძრაობაში იმ-
ყოფებიან და თხრობაც მათ მსვლელობას მისდევს კვალდაკვალ. ამან
განაპირობა თხრობის დინამიურობა, ლაკონურობა და ერთგვარი სქე-
მატურობაც. ამითვე გამოწვეული საგანგებო ფორმულის შემუშავება:
ფორმულის, რომლითაც იწყება ლაშქრობის ყოველი მორიგი ეტაპის
აღწერა. ამ ფორმულას სრულიად უმნიშვნელო გადახრებით მუდამ
ასეთი სახე აქვს: „აქედან (ან ამის შემდეგ) ელინებმა იარეს (ამდენი)
სტათმოსი და (ამდენი) ფარასანგი (ამ და ამ) ქვეყნამდე (ან ქალაქამდე)
ანდა მივიდნენ (აქა და აქ)“ (ἐντεῦθεν [ან ἐκ ἧς τῶνταυ] ἐπιφασθήσασθαι
და ა. შ.). ეს ფორმულა მეორდება განუწყვეტლივ და სტერეოტიპულად
და ნაწარმოებსაც განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს. მაგრამ, სწორედ
მას აქვს ის დოკუმენტური მნიშვნელობა, რომელიც ზემოთ იყო აღნი-
შნული. ამ ფორმულის მეშვეობით შესაძლებელი ხდება არა მარტო
ბერძენი მოქირავნეების მარშრუტის დადგენა მთლიანად ან მისი ცალკე-
ული ეტაპებისა, არამედ მცირე აზიის ხალხების განსახლების ფარგლებ-
ის ზუსტი განსაზღვრაც. ამ ფორმულაში აისახა ის დოკუმენტური მო-
ნაცემები, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა ქსენოფონტს ლაშქ-
რობის დროს მიეცა. იგულისხმება მანძილის საზომები, რომელთა რეა-
ლური მნიშვნელობის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა
მიენიჭოს „ანაბასისის“, როგორც საისტორიო წყაროს, დახასიათებისა-
თვის.

მიუხედავად იმისა, რომ „ანაბასისის“ თხრობა უკუფენაა იმისა,
რაც ნახა და განიცადა თვითმხილველმა ისტორიკოსმა, მას მაინც აქვს
თავისი წყაროები, რომლებითაც იგი გარკვეულ ფარგლებში საზრდო-
ობს. ეს წყაროები განსაკუთრებით მკვეთრად იჩენენ თავს მოქირავნეთა-
მიერ განვლილი მანძილების აღნუსხვის დროს. ამდენად მანძილის სა-
ზომთა განხილვა თავისთავად სვამს „ანაბასისის“ წყაროთა რაობისა და
ავტარგობის საკითხსაც.

მანძილის საზომები „ანაბასისში“

ქსენოფონტი თავის „ანაბასისში“ ხმარობს როგორც სპარსულ, ისე
ბერძნულ საზომებს. როცა კი „ანაბასისში“ ასახულია ოფიციალური
ცნობები, დიდი მანძილების აღსანიშნავად მუდამ სპარსული საზომი

ფარასანგია (*παρρασάγγης*) გამოყენებული. ამასთან, აღნიშნულია რამდენი გადასავალის გაკეთება უხდებოდათ ბერძენ მოჭირავნეებს ფარასანგების გარკვეული რაოდენობის დასაფარავად. გადასავალიც (*στανμός*) საზომად იხმარება. მაგრამ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მისი მნიშვნელობა მუდმივი არაა. ქსენოფონტი მიმართავს ბერძნულ საზომებსაც, როდესაც მას სურს მანძილების მიახლოებებით ან წარმოსახვითი სიდიდეების გადმოცემა. მაგრამ „ანაბასისში“ დიდი მანძილი, ძირითადად, მაინც სპარსული ერთეულით ფარასანგით აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით ისმის სწორედ „ანაბასისის“ წყაროს საკითხი.

საქმე ისაა, რომ სპარსეთის აქემენიდური იმპერია ცნობილი იყო თავისი კეთილმოწყობილი გზებით. სარდლდან სუზამდე გადაკიპულ სამეფო გზაზე, რომელიც სერავდა ლიდიას, ფრიგიას, კაპადოკიას, კილიკიას, არმენიას, მათიენას და აქემენიდური იმპერიის სხვა პროვინციებს, საშუალოდ ყოველ 4 ფარასანგზე მოწყობილი იყო სამეფო სადგურები შესანიშნავი სასტუმროებით (*στανμοί τε πανταχῆ εἰς: βασίλειο: αἰετακλίσιας ἄξιονα*)¹⁰. ამ გზებზე, როგორც ჩანს, იდგა მანძილის აღმნიშვნელი ნიშნებიც, რომლებზეც მითითებული იყო გზის მიმართულებაც. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ნიშნები გზის ცალკეულ მონაკვეთზე, თუ არა, სადგურებთან მაინც უნდა მდგარიყო. ეს ჩანს ჰეროდოტეს ზემომოყვანილ ცნობიდან (V, 52, 1), სადაც აღნიშნულია ყოველ პროვინციაში არსებული სადგურების რაოდენობა და მანძილი მათ შორის.

აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტს ბერძენ მოჭირავნეებთან ერთად იმ გზის დიდი ნაწილის (ლიდიის, ფრიგიის, კილიკიის, მესოპოტამიის, არმენიის) გავლა მოუხდა, რომელსაც ჰეროდოტე აღწერს. მაშასადამე, ნათელია, რომ მანძილის საზომების და გზის მიმართულების შენახვებ, აგრეთვე სხვა რიგის ცნობებს, ქსენოფონტი ჰკრებდა სამეფო გზაზე და ამ გზებზე არსებულ სადგურებში ოფიციალურ სახელმწიფო წყაროებიდან. ასე რომ, „ანაბასისში“ ამ მხრივ დოკუმენტური მონაცემები აისახა. მეორე მხრივ, რაკი ქსენოფონტს იმ გზებით უვლია, რომელთაც ჰეროდოტე აგვიწერს, მაშინ ქსენოფონტის ცნობების შემოწმება შეიძლება ჰეროდოტეს შრომის მეშვეობით. ეს გარემოება გვიაღვილებს.

¹⁰ Herod., V, 52, 1, აქემენიდური სპარსეთის გზების კეთილმოწყობის შესახებ. Ed. Meyer, Geschichte des Alterthums, Stuttgart, 1901, ტ. III, გვ. 66.

„ანაბასისში“ გამოყენებული საზომების რეალური მნიშვნელობის დადგენას.

ქსენოფონტი „ანაბასისში“ ფარასანგს არსად არ უფარდებს სხვა საზომს. ასეთი შეფარდება მოცემულია მხოლოდ ზემოხსენებულ სამ პარაგრაფში (II, 2,6; 5,4 და VII, 8,26), რომლებსაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ჩანართებად მიიჩნევენ. ამ ჩანართებში აღნუსხულია ბერძენ მოქირავნეთა მიერ გავლილი მანძილი ფარასანგებში და ეს უკანასკნელი შეფარდებულია ბერძნულ სტადიონებთან, ერთ შემთხვევაში—535 ფარასანგი 16050 სტადიონთან, შემდეგ—620 ფარასანგი 18600 სტადიონთან და დასასრულ—1150 ფარასანგი 34255 სტადიონთან. ამ შეფარდებიდან გამომდინარეობს, რომ 1 ფარასანგი = 30 სტადიონს.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ჰეროდოტეს შრომაში და „ანაბასისში“ ერთი და იგივე გზებია აღწერილი და მანძილების გადმოცემის დროს ორივე წყარო ერთი და იგივე მონაცემებით სარგებლობს. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა ჰეროდოტეს შემდეგი ცნობა: „ფარასანგი აღნიშნავს იგი, ოცდაათი სტადიონის ტოლია, ხოლო ყოველი სქონი, რომელიც ეგვიპტური საზომია,—სამოცი სტადიონისა“¹¹. იგივეს იმეორებს ჰეროდოტე მეექვსე წიგნში: არდაფრენესმა „აუზომა (იონელებს) მიწები ფარასანგებით, რასაც სპარსელები უწოდებენ ოცდაათი სტადიონის (შესაბამის საზომს)“¹². ხოლო სხვაგან ჰეროდოტე ხაზგასმით აღნიშნავს ფარასანგი ნამდვილად ოცდაათი სტადიონის ტოლიაო¹³.

არ არის გამორიცხული, რომ „ანაბასისის“ აღნიშნულ ცნობებს, მით უმეტეს, თუ ისინი ქსენოფონტს არ ეკუთვნის და მართლაც ჩანართებად უნდა მივიჩნიოთ, ჰეროდოტეს შრომაში ჰქონდეთ სათავე. ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ „ანაბასისშიც“ და ჰეროდოტეს შრომაშიც ერთი და იგივე გზა იგულისხმება და ორივე ნაშრომში, ამ გზის შესახებ მონაცემები, ერთი და იგივე წყაროდან მომდინარეობს. ამიტომ, ჰეროდოტეს ცნობებით სრულიად უმტკივნეულოდ შეგვიძლია განვმარტოთ და შევაჯსოთ ქსენოფონტის ცნობები. მეორე მხრივ, დასაშვებია ისიც, რომ „ანაბასისის“ ზემოთ განხილული ცნობების ავტორები, როცა ბერძნულ-სპარსულ საზომთა შეფარდებას იძლევიან, გამო-

¹¹ Herod., II, 6, 3.

¹² Herod., VI, 42, 2.

¹³ Herod., V, 53.

დღან არა რომელიმე წყაროდან, არამედ გვაწვდიან იმ დროს დადგენილ და მიღებულ შეფარდებას.

ამრიგად. ნათელია, რომ აქემენიდური სპარსეთის სამეფო გზაზე, რომლითაც მიემართებოდნენ კიროსის ბერძენი მოჭირავნეები, მანძილი ფარასანგებით გაიზომებოდა და რომ თითოეული ფარასანგი 30 ბერძნული სტადიონის ტოლი იყო. ცხადია ისიც, რომ ჰეროდოტეცა და ქსენოფონტიც ერთსა და იმავე გზას გულისხმობენ და ერთსა და იმავე სპარსულსა და ბერძნულ საზომ-ერთეულებს.

ფარასანგის რეალური მნიშვნელობის დასადგენად უნდა გაირკვეს, თუ რას უდრის სტადიონი. ჰეროდოტეს შრომიდან ირკვევა შემდეგი: „...100 ორგიუონი ნამდვილად სტადიონია, [რომელიც თავის მხრივ] 6 პლეთრონს [უდრის]. ორგიუონი [კი] უტოლდება 6 ტერფს ანდა 4 წყრთას. ტერფი კი შეადგენს 4 გოჯეულს, ხოლო წყრთა 6 გოჯეულს“¹⁴.

ჰეროდოტეს ცნობაში მოყვანილ მონაცემებიდან ასეთ ტოლობას ვიღებთ:

4 გოჯეული (παλαστῆ) = 1 ტერფს

1,5 ტერფი (πίνς) = წყრთას

4 წყრთა (πῆχυσ) = 1 ორგიუონს

16, 6 ორგიუონი (ὄργυια) = 1 პლეთრონს

6 პლეთრონი (πλέθορον) = 1 სტადიონს

იმისათვის, რომ გავიგოთ ამ საზომების მნიშვნელობა, საკმარისია ერთ-ერთი მათგანის რიცხვითი შესატყვისი დავადგინოთ. ბერძნული

¹⁴ Herod., II, 149, 3: „... αὶ δ' ἕκατον ὄργυιαὶ δέκαται εἰσι στάδιον ἕξάπλο-
θρον, ἕξάπλοτον [μὲν] τῆς ὄργυιῆς μετρεομένης καὶ τετραπήχεις, τῶν ποδῶν
μὲν τετραπαλαίστων ἕδντων, τοῦ δὲ πήχεις ἕξάπαλαίστου“. როგორც ვხედავთ აქ
წარმოდგენილ საზომთა სისტემას, ისევე, როგორც ყველა ძველი ხალხის მიერ შე-
მუშავებულ საზომებს, საფუძვლად უდევს ადამიანის სხეულის ნაწილების საშუალო
ზომები. ამიტომ ზოგი ბერძნული სახელწოდების შესატყვისად ვიზმარებ ქართულ
მეტროლოგიაში მიღებული ტერმინები, რომელნიც ძველი ქართული მთარგმნელების
მიერ გამოყენებულია ბერძნული ტექსტების, უპირატესად „დაბადების“, თარგმნისას.
ასე, მაგალითად, παλαστῆ ქართულ „დაბადებაში“ გადმოცემულია როგორც „გოჯეუ-
ლი“, რომელიც ივ. ჭავჭავაძის მართებული შენიშვნით (იხ. მისი ნუმისმატიკა—
მეტროლოგია, თფილისი, 1925, გვ. 134) ორი გოჯის სიგრძეს კი არ გულისხმობს,
იოგორც ამას საბა ორბელიანი განმარტავს (შდრ. ქართული ლექსიკონი, 1928, სათა-
ნადო სიტყვა), არამედ ოთხი თითის სიბრტყეს. παλαστῆ ჩვეულებრივ „ხელის-
გულს“ (ладонь) ნიშნავს. ასევე πῆχυσ, ὄργυια და στάδιον ქართულ „და-
ბადებაში“ გადმოცემულია შესაბამისად შემდეგი ტერმინებით: „წყრთა“, „მკარი“ და
„უბრეანი“ (იხ. ივ. ჭავჭავაძის, დასახ. ნაშრომი, გვ. 133, 135).

საზომების ერთ-ერთი ძირითადი ერთეული ტერფი მცირე ეგვიპტური წყრთის 2/3 შეადგენს. მცირე ეგვიპტური წყრთა კი 450 მმ უდრის¹⁵. მაშასადამე, ტერფი 300 მმ ტოლი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ პლუტარქეს მიხედვით ტერფი პართენონის საფეხურის სიგანის 1/100 უდრის. ე. ი. 308 მმ¹⁶. ამის მიხედვით:

გოჯეული=7,5 სმ
ტერფი=30 სმ
წყრთა=45 სმ
ორგიუიონი=1,80 მ
პლეთრონი=29,8 მ
1 სტადიონი=179,2 მ

ხოლო ფარასანგი თუ 30 სტადიონს უდრის, მაშინ იგი (179,2×30) დაახლოებით 5.4 კმ ტოლი ყოფილა. ცხადია, უძველესი საზომების თანამედროვე მეტრიულ სისტემაზე გადმოყვანისას დასაშვებია მეტ-ნაკლები ცთომილება, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფარასანგი 5,5 კმ არ აღემატებოდა და 5 კმ ნაკლები არ იყო.

ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ, საერთოდ, ფარასანგი დროის საზომია და არა მანძილისა და ერთი საათის განმავლობაში გავლილ გზას უდრის. მაგრამ, როცა საკითხი ეხება სპარსეთის სამეფო გზებს, მაშინ ფარასანგი მანძილის საზომად მიაჩნიათ. ამასთან, მათი აზრით, ფარასანგი შეადგენს არა 30 ატიკურ სტადიონს, რაკ ამ ავტორების თანახმად 178,8 მ უდრის, არამედ ქსენოფონტის 30 სტადიონს, რომელიც 198 მ ტოლია¹⁷.

დასაშვებია, რომ ფარასანგი როგორც მანძილის საზომი თავდაპირველად დამყარებული იყო დროის ერთეულზე, რომელსაც ანდომებდნენ დაახლოებით 5 კმ გავლას. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ფარასანგი ერთ შემთხვევაში დროის საზომი იყოს და მეორეში მანძილისა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა ცალკეულ პუნქტებსა და პროვინციებს შორის მანძილების ზუსტ ცოდნას. აკი დარიოს ჰისტას-

¹⁵ იხ. Петрушевский, Общая метрология, СПб, 1849, 6. I—II, გვ. 601, 609.

¹⁶ Petrie Flinders, Neights and Measures, anclent ant historical (Encicl. Brit 13—thed., London, vol. 28, გვ. 482). ვიოწმებ ბ. კუფტინის მიხედვით (იხ. მისი Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 113, 168. 2).

¹⁷ G. F. Lehmann-Haupt, „Segl. Von Kentrites bis Trapezunt. Gnomon, B. 4. Heft 6, Berlin, 1928, გვ. 339—340.

პის რეფორმების მიზანი ფულის სისტემის მოწესრიგებასთან ერთად ითვალისწინებდა საზოგადოებრივი უნიფიკაციასა და ზუსტ განსაზღვრას. რაც შეეხება საკითხს, თითქოს ქსენოფონტის სტადიონი 198 მ უდრის და 20 მ-ით აღემატება ატიკურს, საეკვოდ მიგვაჩნია. ზემოთ აღნიშნული გეგმონდა, რომ პეროდოტეს შრომაში და „ანაბასისში“ ერთი და იგივე გზაა ნაგულისხმევი და ერთი და იგივე მანძილის საზომები. ამასთან, ნაჩვენები იყო ისიც, რომ პეროდოტე ფარასანგში გულისხმობს სწორედ ატიკურ 30 სტადიონს. რომელიც 179,2 მ უდრის და არა სხვა რომელიმეს. ასე რომ, ნათელი უნდა იყოს, რომ ფარასანგი მანძილის სტადიონური საზომია (შესაძლოა თავდაპირველად დროის ერთეულზე დაყრდნობით), 30 ატიკურ სტადიონს შეადგენს და საშუალოდ 5 კმ ტოლია.

ეს კარგად დასტურდება „ანაბასისში“ არსებული მონაცემებითაც: ზოგიერთმა მკვლევარმა შეუღარა „ანაბასისში“ აღნიშნული მანძილი მანძილს იმ ცალკეულ პუნქტებს შორის, რომელთა იდენტიფიკაცია თანამედროვე პუნქტებთან ეკვივალენტურია. გამოიჩინა, რომ, მაგალითად, სარდედან (დღესაც სარდეა) კელენისამდე (თანამედროვე დინერი) მანძილი, რომელსაც ქსენოფონტი 50 ფარასანგით განსაზღვრავს, 250 კმ უდრის¹⁸. მაშასადამე, ამ მონაცემების მიხედვითაც ფარასანგი 5 კმ ტოლია.

დიდი მანძილების გადმოსაცემად „ანაბასისში“ ქსენოფონტი ხმარობს აგრეთვე სტადიონს (σταδίων) და სტათომოსს (σταμμόν) ¹⁹ ეს ორი საზომი ერთიმეორისაგან განსხვავდება არა მარტო სიდიდით, არამედ იმითაც, რომ პირველი ზუსტად განსაზღვრული საზომი ერთეულია, ხოლო მეორე მიახლოებითი და პირობითი. როგორც პირველს,

¹⁸ ob. A. Boucher, *L'Anabasis de Xenophon (Retraite des Dix Mille)* Paris—Nancy, 1913, გვ. XIII.

¹⁹ დიდი მანძილების აღმნიშვნელი საზომების გარდა ქსენოფონტი „ანაბასისში“ ხმარობს ყველა შემოსხვებულ მცირე საზომსაც. ასე, მაგალითად, ტერფი „ანაბასისში“ სამჭარა ნახსენები (II, 4, 12; III, 4, 7 და III, 4, 14) უპირატესად კედლებისა და საძირკვლების სიგრძე-სიგანის აღსანიშნავად. წყრთას ქსენოფონტი ორჯერ ახსენებს (I, 7, 16 და I, 4, 12) ორჯერვე შუბის სიგრძის გადმოსაცემად. ორგიუიონზე საუბარია სამგან (I, 7, 15; VI, 4, 3; VII, 1, 30) საშუალო და საშუალოზე ცოტა მეტი სიგრძის, სიმაღლის ან სიღრმის აღსანიშნავად. „ანაბასისში“ ყველა აქ აღნიშნულ საზომებთან შედარებით ყველაზე ხშირადა გამოყენებული პლეთრონი თითქმის ყოველთვის ისეთი მდინარეების სიგანეთა გადმოსაცემად. რომელთა განი ნახევარი პლეთრონიდან ოთხ პლეთრონამდე მერყეობს. უფრო დიდ მდინარეთა სიგანეს ქსენოფონტი სტადიონებით აღნიშნავს.

ისე მეორე ერთეულს ქსენოფონტი მიმართავს მაშინ, როდესაც ფარასანგებით, ე. ი. ოფიციალური მონაცემებით გზის აღნუსხვის საშუალებაა მოკლებული. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

სპარსელების მიერ მოქირავნეთა სარდლების დახოცვის შემდეგ მოქირავნეებს ფეხდაფეხ მისდევენ სპარსელთა რაზმები. ბერძნებს უხდებათ მანევრირება და, მაშასადამე, მეორეხარისხოვანი გზებით, ხოლო ზოგჯერ უგზო-უყვლოდ სვლაც. ამ ამბების აღწერისას „ანაბასისში“ ნაცვლად ზემოაღნიშნული ფორმულისა ჩნდება ასეთი კონტექსტი: „მას შემდეგ, რაც ელინებმა დაინახეს, რომ [სპარსელები] ნამდვილად მიდიან, მათაც აყარეს ბანაკი და გაემართნენ; მათ გაიარეს დაახლოებით 60 სტადიონი“²⁰. ქსენოფონტი რომ ამ დროს მაგისტრალურ გზაზე ყოფილიყო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა განვლილი მანძილის შესახებ ცნობების ოფიციალური წყაროდან შეკრება, აღნიშნულ ნაწყვეტში ნაცვლად 60 სტადიონისა აისახებოდა 2 ფარასანგი. მაშასადამე, მანძილის ფარასანგებით აღნუსხვისას ქსენოფონტი ოფიციალურ წყაროს ემყარება, ხოლო, როცა ამ უკანასკნელს მოკლებულია, მიმართავს ბერძნულ ერთეულებს ე. ი. იმ საზომებს, რომლებიც მან კარგად იცის.

ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს „ანაბასისის“ სხვა ადგილებიდანაც. მაგალითად, მეხუთე წიგნში აღწერილია მოსინიკების ყოფა და სხვათა შორის ნათქვამია: [მოსინიკების] ქალაქები ურთიერთისაგან 80 სტადიონით იყვნენ დაშორებული“²¹. აღსანიშნავია, რომ „ანაბასისში“ მეოთხე წიგნის შემდეგ ფარასანგები საერთოდ აღარ იხსენიება. მეხუთე წიგნში კი აღწერილია მცირე აზიის ის პროვინციები, რომელნიც სპარსული გავლენის სფეროს მიღმა იმყოფებოდნენ. მაშასადამე, ქსენოფონტი ამ შემთხვევაშიც მოკლებულია შესაძლებლობას დაემყაროს ოფიციალურ წყაროს და იგი კვლავ მისთვის ჩვეულსა და ნაცნობ ბერძნულ ერთეულებს მიმართავს.

ასევე იქცევა ქსენოფონტი, როდესაც სურს წარმოსახვითი მანძილების გადმოცემა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოქირავნეები არმენიაში იმყოფებოდნენ და მანძილები ჯერ ისევ ფარასანგებით აღნუსხებოდა, „ანაბასისში“ ასეთ კონტექსტს ვხვდებით: „ჩვენს თვალწინ რომ მთაა, 60-ზე მეტ სტადიონზეა გადაჭიმული“²²... ეს ფრაზა ამოღებულია ქსენოფონტის სიტყვიდან, რომელიც მან სამხედრო თათბირზე წარმოთქვა. ცხადია, რომ, როგორც ქსენოფონტისათვის, ისე მისი მსმენელებისათ-

²⁰ Anab., III, 4, 37.

²¹ Anab., V, 4, 31.

²² Anab., IV, 6, 11.

ვის უჩვეულო და უცხოა ფარასანგი. ისინი ბერძნული საზომებით აზროვნებენ და ამიტომ როცა წარმოსახვით ან საორიენტაციო მანძილებზეა ლაპარაკი, ქსენოფონტი მუდამ ბერძნულ საზომებს ხმარობს.

რაც შეეხება სტათმოსს (σταθμός), მისი რიცხვითი მნიშვნელობის დადგენა შედარებით ძნელია. თვით ტერმინსაც სხვადასხვა შინაარსი აქვს. ასე, მაგალითად, პეროდოტე ამ სიტყვით აღნიშნავს საგანგებო სადგურებს, რომლებიც მოწყობილი იყო აქემენიდური სპარსეთის სამეფო გზებზე²³, ხოლო ამინტა, ალექსანდრე დიდის ცნობილი ბემატისტი, მოცემულ ტერმინში აქსოვს „გადასავალის“, „გადასასვლელის“ ან „ლაშქრობის“ შინაარსს. მან თავის შრომას ალექსანდრეს ლაშქრობათა შესახებ σταθμοί უწოდა²⁴.

ქსენოფონტი რომ სტათმოსს სადგურის მნიშვნელობით არ ხმარობს და მისთვის ეს ტერმინი მანძილს აღნიშნავს, ეს ნათლად ჩანს შემდეგი კონტექსტიდან: „ელინებმა [მოსინიკების] ქვეყანაში. როგორც მტრულად ისე მეგობრულად [განწყობილ თემებში] 8 სტათმოსი იარეს და მივიდნენ ხალიბებთან“²⁵.

ნათელია, რომ სტათმოსი ამ შემთხვევაში განვილილ მანძილს გადმოგვცემს. საკითხი ისმის ამ მანძილის სიდიდის შესახებ. ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქსენოფონტი სტათმოსით მანძილს აღნიშნავს ქართველი ტომებით დასახლებული ტერიტორიის გავლის დროს. როდესაც ვებობოდით ფორმულას, რომელიც „ანაბასისის“ თხრობას განსაზღვრავს და სტერეოტიპულად მეორდება, აღვნიშნეთ, რომ მოცემულ კონტექსტში ფარასანგები შეფარდებულია სტათმოსებთან. ამ შეფარდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ ერთი სტათმოსის სიდიდე სამიდან ათ ფარასანგამდე მერყეობს, ე. ი. დაახლოებით 15 კმ-დან 50 კმ-მდე. როცა მოქირავნეები კიროსის მეთაურობით მიემართებოდნენ მაგისტრალურ გზებზე და მათ ფორსირებულ მარშს წინ არაფერი ელოებოდა, ყოველი სტათმოსი ფარასანგების მაქსიმალურ ოდენობას უდრიდა, ხოლო როდესაც უმეთაუროდ დარჩენილ მოქირავნეებს მოუხდათ უცნობი გზებით მგზავრობა, ზოგჯერ ძალიან მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში და გზადაგზა ბრძოლის წარმოებაც, მაშინ სტათმოსის ფარასანგებში გამოხატული შესატყვისი კლებულობს. ასეთი ამპლიტუდა სტათმოსთან შეფარდებული ფარა-

²³ Herod., V, 52.

²⁴ ob. RE, I, Amyntas, 22.

²⁵ Anab., V, 5, 1.

სანგების ოდენობისა გვაფიქრებინებს, რომ სტათმოსი დღიური გადასავლის, დღიური მარშის ტოლი იყო. ამიტომ ამ ტერმინის შესატყვისად, იქ სადაც იგი ფარასანგებთან ერთადაა მოხსენებული გადასავალი ვიხმარეთ, ხოლო სადაც დამოუკიდებლად გვხვდება მის ქართულ ტრანსლიტერაციას ვიძლევი.

ამრიგად, სტათმოსი მანძილის ერთხელ დადგენილი სტაბილური საზომი არ იყო. ის აღნიშნავდა საშუალო მანძილს, რომლის დაფარვა ერთ დღის განმავლობაში შეიძლებოდა. რას უდრიდა იმ დროს საშუალოდ დღიური გადასავალი, პეროდოტეს შრომიდან ვიგებთ. თანახმად მისი ცნობისა, მეოტის ტბიდან (აზოვის ზღვა) კოლხეთის ფასისამდე 30 დღის სავალია ყოჩაღი ქვეითისათვის²⁶. ამ მანძილს დაახლოებით 600 კმ განსაზღვრავენ²⁷. მაშასადამე, გამოდის, რომ დღიური გადასავალი საშუალოდ 20 კმ უდრიდა.

თუ დავემყარებით „ანაბასისის“ ზემოთ განხილულ, მერმინდელ ჩანართებად მიჩნეულ ცნობებს (II, 2,6; V, 5,4 და VII, 8,26), რომლებშიც მოცემულია ბერძენ მოქირავნეთა მიერ ცალკეულ ეტაპებზე და მთლიანად გავლილი მანძილის ოდენობა სტათმოსებში, ფარასანგებსა და სტადიონებში, დავინახავთ, რომ სტათმოსი საშუალოდ 5,3 ფარასანგის ტოლია. ე. ი. დაახლოებით 27 კმ-სა. მაგრამ ასე ზუსტად განსაზღვრა სტათმოსის საშუალო რიცხვითი შესატყვისისა არ იქნებოდა მართებული, რადგან მისი მნიშვნელობა „ანაბასისში“ აღწერილ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა იყოს.

ამრიგად, „ანაბასისში“ გამოყენებული მანძილის საზომთა მიმოხილვამ ერთის მხრივ წარმოდგენა შეგვიქმნა იმ წყაროზე, რომელსაც ემყარება „ანაბასისის“ არსებითი და ყველაზე ფასეული ნაწილი და ამით მისი, როგორც საისტორიო წყაროს, საფუძვლები უფრო ნათლად გამოგვიჩინა, ხოლო მეორე მხრივ მოამზადა ნიადაგი იმ ქვეყნებისა და ცალკეული ტომების მიწა-წყლის თუ დასახლებული პუნქტების ლოკალიზაციისათვის, რომელნიც ბერძენმა მოქირავნეებმა ლაშქრობის დროს გაიარეს. უკანასკნელი საკითხი კი მჭიდროდაა დაკავშირებული საკითხთან, რომელიც შეეხება „ანაბასისს“, უკვე როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს.

²⁶ Herod., I, 104, 1.

²⁷ ВДИ, № 3, 1947, გვ. 251, №5. 1.

3. „ანაბასისი“ როგორც საქართველოს ისტორიის წყარო

ზემოთ აღნიშნული გეკონდა, რომ „ანაბასისში“ ქსენოფონტი კეთილსინდისიერად აღწერს იმას, რაც მან მოიხილა ლაშქრობის დროს, რადგან ის ამბები, რომელთა მონაწილე გახდა იგი, შორს იყო მისი პოლიტიკური მრწამსისა და ინტერესებისაგან. ამიტომ ქსენოფონტი ბოლომდე რჩება კეთილსინდისიერ თვითმხილველ მთხრობელად. ეს საერთო თავისებურება „ანაბასისისა“ განსაკუთრებით ნათლად გამოხატული იმ ნაწილში, რომელიც ქართველ ტომებს შეეხება. ასეთია „ანაბასისის“ არა მარტო როგორც საისტორიო ნაწარმოების, არამედ როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს ზოგადი თავისებურება.

ახლა საკითხი ისმის „ანაბასისის“, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს კონკრეტულ თავისებურებათა შესახებ. ამასთან დაკავშირებით მოკლედ განვიხილავთ „ანაბასისის“ ცნობებს ქართველი ტომების განსახლებისა და სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ა) ქართველი ტომების განსახლების საკითხი „ანაბასისში“

„ანაბასისი“ არ არის სპეციალური ნარკვევი ქართველი ან სხვა ტომების განსახლების თუ მათი ყოფის ან სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხების გაშუქება არაა „ანაბასისის“ მიზანი. ამ ნაწარმოების წერისას, როგორც აღნიშნული იყო, მისი ავტორი მიზნად ისახავდა სამშობლოსაკენ ბერძენ მოქირავნეთა ლაშქრობის აღწერას და ამ ლაშქრობის დროს თავისი დამსახურების ჩვენებას. ამდენად „ანაბასისში“ ლაპარაკია მხოლოდ იმ ტომების მიწა-წყალზე, რომელთა გავლა მოუხდათ ბერძენ მოქირავნეებს. ამიტომ, ამ ტომების განსახლების გასარკვევად მოქირავნეთა ლაშქრობის ცალკეული ეტაპებია გასათვალისწინებელი.

საკმარისია გულდასმით გავადევნოთ თვალი „ანაბასისის“ თხრობას, რომ ნათელი გახდეს ცალკეული ტომების განსახლების ფარგლები.

მდ. ტიგროსის მარცხენა ნაპირზე ბაბილონის ჩრდილოეთით დაბანაკებულმა ბერძნებმა დაუწყეს ტყვეებს დაკითხვა იქედან მიმავალი გზების შესახებ. ტყვეებმა „...უთხრეს, რომ სამხრეთით არის [გზა] ბაბილონისკენ და მიდიისაკენ, სწორედ ის, რომლითაც [ელინები] მოვიდნენ; აღმოსავლეთით [გზა] სუზასა და ეკატანაში მიემართება... [გზა] დასავლეთით, თუ მდინარეს გადახვალთ, მიდის ლიდიასა და იონიაში; მთებზე მიმავალი გზა კი, ჩრდილოეთით რომაა მიმართული, კარდუხებ-

თან მივიყვანოთ¹. ბერძნებმა გადაწყვიტეს ჩრდილოეთით წასვლა². ისინი გაპყვნენ მდინარის ნაპირს დინების საწინააღმდეგოდ. „...როცა მივიდნენ იქ, სადაც მდინარე ტიგროსის გადალახვა ყოვლად შეუძლებელი იყო მისი სიღრმისა და სიგანის გამო და სადაც არც ნაპირნაპირ შეიძლებოდა სიარული, რადგან ზედ მდინარეზე ჩამოწოლილი იყო კარდუხების მთები, ელინებმა გადაწყვიტეს მთების გადალახვა³. კარდუხების მთები თანამედროვე ქურთისტანის მთებს შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ ვიღრე ბერძნები მთების გადალახვას შეუდგებოდნენ, კარდუხების არც ერთ სოფელს არ წასწყდომიან. მაშასადამე, კარდუხები მთებში ბინადრობდნენ და მათი ქვეყნის სამხრეთი საზღვარი იქაა საძიებელი. სადაც ქურთისტანის მთები განსაკუთრებით ახლოსაა მდ. ტიგროსთან, ე. ი. დაახლოებით თანამედროვე ქ. ჯიზრეს მიდამოებში, დასავლეთი საზღვარი კარდუხების ქვეყნისა, როგორც დავინახეთ, მდ. ტიგროსი იყო, აღმოსავლეთი საზღვარი კი გაურკვეველია. რაც შეეხება კარდუხების ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარს, იგი ვადიოდა მდ. კენტრიტზე. „იგი, მოგვითხრობს ქსენოფონტი, საზღვრავს არმენიას კარდუხების ქვეყნისაგან“⁴. მდ. კენტრიტი თანამედროვე ბოტან-ჩაის უღრის. ამ მხრივ ქსენოფონტის აღწერილობა იმდენად ზუსტად ემთხვევა არსებულ ვითარებას, რომ ამ მდინარეთა იდენტურობა ერთხმადაა გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში⁵.

კენტრიტ-ბოტან-ჩაის გადალახვის შემდეგ ბერძნები ვადიან არმენიას და მიიღწევენ მდ. ეფრატის სათავეებს. მათი მსვლელობა ასე გვაქვს წარმოდგენილი: ბერძნები მიემართებიან ჯერ ტიგროსის სათავეებისაკენ (იგულისხმება ტიგროსის შენაკადის მდ. ბითლის-სუს სათავეები), ხოლო იქედან მდ. ტელეზასამდე, რომელიც გაიგივებულია აღმოსავლეთ ეფრატის ანუ მურად-სუს მარცხენა შენაკადთან ყარა-სუსთან. რადგან ჩრდილოეთით ბერძნებს მდ. ეფრატი ელობება, ისინი

¹ Anab., III, 5, 15.

² Anab., III, 5, 17.

³ Anab., IV, 1, 2.

⁴ Anab., IV, 3, 1, საგულისხმოა, რომ ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი „ანაბასისში“ მოხსენებულ *Κισριτης* ქართულ კენტრიტს უკავშირებდა (იხ. ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1—II, 1913, გვ. 35).

⁵ G. F. Lemann-Haupt, Armenien einst und jetzt, I, გვ. 331 შმდ. შდრ. G. F. Lemann-Haupt, „Segl, Vom Kentrites bis Trapeunt“, Gnomon, IV, Heft 6, Berlin, 1928, გვ. 341. W. F. Ainsworth, Travels in the tract of the Ten Thousand, London, 1884, გვ. 169. Hoffmayer, Durch eine Wanderung und der Zug Xenophon's bis zum Schwarzen Meer, Leipzig-Berlin, 1912, გვ. 234.

მიდიან აღმოსავლეთით ჰერ თანამედროვე ბულანიკის ველით (შდრ. Anab., IV, 4, 7: „აქედან [ელინებმა] გაიარეს ველზე...“), ხოლო შემდეგ გადალახეს მთის გადასასვლელი (Anab., IV, 5, 1), რომელიც კარტევან-დაღზე არსებულ ჰასუნას გადასასვლელს შეესაბამება. ანის შემდეგ ბერძნებმა ერთხანს კიდევ იარეს აღმოსავლეთით აღმ. ეფრატის დინების საწინააღმდეგოდ და მივიდნენ იქ, საიდანაც ეფრატის სათავეები შორს აღარ იყო და გადალახეს იგი⁶. ეს უნდა მომხდარიყო თანამედროვე ქ. ყარაკიოსეს მიდამოებში სოფ. კუპ-კერანის მახლობლად.

აღსანიშნავია, რომ მოქირავნეთა მიერ გავლილი გზის ეს მონაკვეთი გადიოდა არმენიის სატრაპიებზე, ე. ი. იმ ოლქებზე, რომლებზეც ჰეროდოტეს ცნობის თანახმად მიედინებოდა სარდიდან სუზანდე გადაჭიმული სამეფო გზა⁷. ამიტომაც, რომ ქსენოფონტი მთელი მსვლელობის განმავლობაში მანძილს ფარასანგებით აღნიშნავს. ზემოთ წარმოდგენილ იდენტიფიკაციას მხარს უჭერს არა მარტო „ანაბასისში“ არსებული აღწერილობა, არამედ დაფარული მანძილის შესახებ რიცხობრივი მონაცემებიც⁸.

„ანაბასისის“ ტექსტის ის ნაწილი, სადაც მოქირავნეთა მსვლელობის მომდევნო ეტაპია აღწერილი, დაზიანებულია და ამასთან სწორედ ის ადგილი, რომელშიც მანძილის საზომებია მოცემული. მოგვაქვს ტექსტი მთლიანად: Ἐγχεσθηεν ἐπορευοντο διὰ χιθνος πολλῆς καὶ πεδῖου σταμμοῦς [τρεῖς παρασάγγας] τρεῖς καὶ ὀκτώ. ὁ δὲ τριῖτος ἐγένετο χαλεπὸς καὶ ἀνεμὸς βίοραξ ἐναντίος ἔπνευ παντάπαντι ἀποκαίῳ πάντα καὶ πηγῦνς τοὺς ἀνθρώπους⁹.

„ანაბასისის“ აღნიშნული ადგილის ვარიანტებში სტატოსი ყველგან სამს უტოლდება, ხოლო ფარასანგების სხვადასხვა ოდენობაა წარმოდგენილი¹⁰. შესაბამისად „ანაბასისის“ გამომცემელნი თუ მკვლევარნი ამა თუ იმ მოსაზრებათა გამო სხვადასხვა ვარიანტს აძლევენ უპირატესობას. ასე, მაგალითად, გ. გე მოლს, როგორც ზემომოტანილი ციტატიდან ჩანს, ტექსტში შეაქვს ცამეტი ფარასანგი. ა. ბუ შე

⁶ Anab., IV, 5, 2.

⁷ Herod., V, 52.

⁸ об. А. Boucher, L'Anabase de Xenophon (Retraite Dix Mille) Paris—Nancy, 1913, გვ. 206—211.

⁹ Anab., IV, 5, 3.

¹⁰ შდრ. Xenophontis Expeditio Cyri, Iterum recensuit Guilelmus Gemoll, ditto maior, MCMIX, Lipsiae, გვ. 146.

ოვალისწინებს ტექსტის შინაარსს და ფარასანგების რიცხვს ათამდე ამცირებს¹¹.

ვატიკანის ერთ-ერთი ხელნაწერი ასეთ კითხვა-სხვაობას იძლევა: *σκαμπίδος τρεῖς παρρασόγγυαζ πέντε*¹². ამ შესწორებას თუ შევიტანთ საძიებელ კონტექსტში, თარგმანში მივიღებთ: „აქედან [ელინებმა] დიდ თოვლში ველზე გაიარეს 5 ფარასანგი სამ გადასავლად. მესამე [გადასავალი] განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან მათ სახეში ურტყამდა ბორეასი, რომელიც ყინავდა ყველაფერს და აშეშებდა ადამიანებს“.

აღნიშნული ვარიანტის ქსენოფონტის კუთვნილად მიჩნევა შემდეგი მოსაზრებებით მართლდება: ბერძნებს ისეთ თოვლში უხდებოდათ სვლა, რომელიც ყინავდა ყველაფერს, ხოლო ადამიანებს თოშავდა და აშეშებდა. ამასთან, თოვლის სიღრმე ერთ ორგიუიონს (1.8 მ) აღწევდა. თოვლში, როგორც ქსენოფონტი გადმოგვცემს, დაიღუპა მრავალი საქონელი, მონები და ჭარისკაცები¹³. ასეთ ვითარებაში უფრო დამაჯერებელია ბერძნებს ხუთი ფარასანგი გაეარათ, ვიდრე ათი ან ცამეტი. ამავე დროს, თუ პირველ ორ ჯერზე მოქირავნეები ოთხი ფარასანგის გავლას შეძლებდნენ, მესამე გადასავალი, რომელიც ქსენოფონტის სიტყვით „განსაკუთრებით მძიმე იყო“, ერთ ფარასანგიანი უნდა ყოფილიყო მხოლოდ.

ამრიგად, ბერძენ მოქირავნეთა ლაშქრობის მოცემული ეტაპი ასე უნდა გავიაზროთ: ბერძნებს ეფრატის გადალახვის შემდეგ კვლავ თავის ძირითადი მიმართულება უნდა აეღოთ, ე. ი. ჩრდილოეთით, შავი ზღვისკენ უნდა წასულიყვნენ. მაგრამ იმის გამო, რომ მათ თავის დროზე ეფრატი ვერ გადალახეს და მოუხდათ მისი სათავეებისკენ აღმოსავლეთით დიდი მანძილის გავლა, ეფრატზე გადასვლის შემდეგ ისინი ჩრდილო-დასავლეთით წავიდოდნენ. როგორც ჩანს, მოქირავნეები ასეც მოიქცნენ: გაემართნენ ჩრდილო-დასავლეთისაკენ ახლანდელი ალაშკერდის ველით (შდრ. „ანაბასისი“: „აქედან [ელინებმა] დიდ თოვლში ველზე გაიარეს 5 ფარასანგი სამ გადასავლად“). პირველი ორი გადასავალი, როგორც ქსენოფონტი გადმოგვცემს, ბერძნებმა შედარებით ადვილად დასძლიეს. მაშასადამე, ისინი მანძილის უდიდეს ნაწილს, დაახლოებით 20 კმ ამ დროს გაივლიდნენ. ამ ეტაპზე ბერძნებს თანამედროვე სოფ. კაიაბეკის მიდამოებისათვის უნდა მიეღწიათ. ამის შემდეგ

¹¹ A. Boucher, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

¹² შდრ. Xenophontis Expositio Cyri, გვ. 146, შგშ.

¹³ Anab., IV, 5, 4.

კი მოულოდნელად ბერძნებმა შეეცვალეს მიმართულება და პირი იზრუნეს ჩრდილოეთისაკენ. „ანაბასისში“ ნათქვამია: „მესამე [გადასავალი] განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან [ელინებს] სახეში ურტყამდა ბორეასი (პერძაჯ)“.

ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქსენოფონტი ბორეასში აღმოსავლეთის ქარს გულისხმობს¹⁴. მაგრამ „ანაბასიდიან“ ირკვევა, რომ ქსენოფონტისათვის, ისევე როგორც ყველა ბერძენი მწერლისათვის, ბორეასი ჩრდილოეთის ქარია. ქსენოფონტი მიმართავს ჭარისკაცებს: „თქვენთვის აგრეთვე ცნობილია, რომ ბორეასი [ხომალდებს] პონტოდან ელადისაკენ მიერეკება, ხოლო ნოტოსი [პონტოს] შიდა [მხარეებისაკენ], ფასისისაკენ. ამიტომ ვამბობთ ხოლმე, რომ როცა ბორეასი ჰქრის ხელსაყრელია ელადისაკენ ცურვა“¹⁵.

ამ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, რომ ქსენოფონტი ბორეასს უპირისპირებს ნოტოსს—სამხრეთის ქარს. აქედან ცხადია, რომ ბორეასი ნოტოსის—სამხრეთის ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ქრის¹⁶. ხოლო თუ იგი სახეში სცემდა მიმავალ ბერძენ მოქირავნეებს, მაშინ საესებით ნათელია, რომ ისინი ჩრდილოეთით მიდიოდნენ. მაგრამ ბორეასი სახეში ურტყამდა მათ მხოლოდ მესამე გადასავალზე (გავიხსენოთ: „მესამე გადასავალი განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან მათ სახეში ურტყამდა ბორეასი“). მაშასადამე, მოქირავნეებმა მხოლოდ მესამე გადასავალზე იქციეს პირი ჩრდილოეთისაკენ. რით შეიძლება აიხსნას მიმართულების მოულოდნელი შეცვლა? ამ კითხვაზე, ვფიქრობთ, მართებულად უნდა პასუხობდეს კისლინგი. მისი ვარაუდით ბერძნებმა გზაში გაიგეს, რომ ჩრდილოეთით არც თუ ისე შორს ამ მიდამოებიდან მოედინება მდ. ფასისი; გადაწყვიტეს, რომ იგი რიონია, რადგან ბერძნები ფასისში, როგორც წესი, რიონს გულისხმობდნენ, ეს კი იმას მოასწავებდა, რომ ისინი იმყოფებიან სადღაც კოლხეთის ახლოს, ე. ი. შავი ზღვის სანაპიროსა და, მაშასადამე, ბერძნული ახალშენების მახლობლად და ამიტომ, შეტრიალდნენ ჩრდილოეთისაკენ¹⁷.

¹⁴ A. Boucher, დასახ. შრომა, გვ. 15.

¹⁵ Anab., V, 7, 7.

¹⁶ ყველა ბერძენი მწერალი ბორეასს მიიჩნევს ჩრდილოეთის ქარად, რომელსაც მოაქვს სიცივე, თოვლი და რომლის სამშობლოა თრაკია, სკვითეთი და კავკასია (იხ. RE, B. III, გვ. 720—721). აღსანიშნავია, რომ ბერძნული ბორეასი ძველთაგანვე შეუთვისებია ქართულს ბორიოს სახით. ეს სიტყვა ქართულში სუსხიან, ძლიერ ქარს აღნიშნავს და „ვეფხისტყაოსანშიცა“ დამოწმებული: „ნარგისთათ იბრვის ბორიო, ვარდა ზრავს, იანვარია“ (იხ. ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 276, სტრ. 1442).

¹⁷ იხ. RE, B. VII, გვ. 2086—2087.

ამრიგად, მესამე გადასავალზე ბერძნებმა შეცვალეს მიმართულება და, რაკი ის განსაკუთრებით მძიმე იყო, მხოლოდ ერთი ფარასანგის გავლა შეძლეს. ისინი უნდა მისულიყვნენ თანამედროვე სოფ. ამატის მიდამოებში. ეფრატის გადალახვის ადგილიდან გავლილი 5 ფარასანგი კარგად ემთხვევა კუპ-კერანიდან ამატამდე არსებულ 25 კმ. აღსანიშნავია ისიც, რომ კლიმატური პირობები ალაშქერტის ველისა, რომელზეც, როგორც ვფიქრობთ, გაიარეს ბერძნებმა ლაშქრობის ზემოთ განხილულ ეტაპზე, ზედმიწევნით შეესატყვისება იმ ველის ასევე მკაცრ კლიმატურ თავისებურებებს, რომლებიც აღწერილი აქვს ქსენოფონტს საძიებელ ნაწყვეტში¹⁸.

აქედან ბერძნებმა მთელი დღე იარეს თოვლში. ჯარისკაცებს თოვლისაგან თვალების ავადმყოფობა დაემართათ, სხვები კი შიმშილით დაავადნენ. ბოლოს სალამო ხანს როგორც იქნა მიაღწიეს ერთ გამაგრებულ სოფელს და გაემართნენ კომარქოსთან¹⁹.

ქსენოფონტი ამ ეტაპზე ფარასანგებს არ ახსენებს. როგორც ჩანს, ბერძნები აცდნენ დიდ გზას. ზემოთ აღნიშნული გვეკონდა, რომ ერთი დღის სავალს ნორმალურ პირობებში ბერძნები 20—25 კმ-ით განსაზღვრავდნენ. ამჯერად კი მათ მოუხდათ საშინელ ყინვაში და ღრმა თოვლში სიარული, ამასთან შიმშილისაგან დაოსებულებს და თვალების ავადმყოფობით დაავადებულებს. ასეთ ვითარებაში ისინი, ცხადია, 10 კმ-ზე მეტს ვერ გაივლიდნენ. ბერძენთა არმია სოფ. ამატის მიდამოებიდან კვლავ ჩრდილოეთით უნდა წასულიყო და თანამედროვე სოფ. ჩატისათვის მიედწია, სადაც უნდა ყოფილიყო, სწორედ, არმენიელი კომარქოსის სოფელი²⁰.

ამის შემდეგ მოქირავნეებმა გაიყოლიეს მეგზურად არმენიელი კომარქოსი, რომელმაც ისინი სამი დღის განმავლობაში ღრმა თოვლში უგზო-უკვლოდ ატარა და შემდეგ გაიპარა²¹. თოვლი იმდენად ღრმა

¹⁸ ალაშქერტის ველი სპეციალისტების მიერ ასეა დახასიათებული: „Алашкертская впадина имеет климат более суровый, чем Мусунская..., что стоит в связи с ее более возвышенным положением. В ноябре здесь устанавливается настоящая зима с глубокими снегами и морозами до 20°—25° (об. С. Н. Матвеев, Турция, М.-Л., 1946, გვ. 197).

¹⁹ Anab., IV, 5, 9—10.

²⁰ აღსანიშნავია, რომ არმენიელი კომარქოსის სოფლის სახლების და საყოფაცხოვრებო პირობების ქსენოფონტისეული აღწერილობა (Anab., IV, 5, 25—26) საოცრად ემთხვევა არმენის სოფ. ჩატის საყოფაცხოვრებო თავისებურებებს (შდრ. ქიჩ, Армения, ტ. II, გვ. 1—2).

²¹ Anab., IV, 6, 2—3.

იყო, რომ ბერძნები კომარქოსის რჩევით პირუტყვს ფეხებზე პატარა ტოპაკებს უკეთებენ, თოვლში რომ არ ჩაფლულიყვნენ²². რამდენი ატარა ან სად მიიყვანა ბერძნები არაშენილმა კომარქოსმა, ძნელი გასარკვევია, თუ სწორად არ წავიკითხეთ „ანაბასისის“ ცნობა ლაშქრობის მომდევნო ეტაპის შესახებ. ამ ცნობის ტექსტი ასეთია: „μετα τῆσδε ἐπιχειρήσαν ἔπαξ σταψίμους ἀνὰ πέντε παρασάγγας τῆς ἡμέρας παρὰ τὸν Φᾶσιον ποταμόν, εὐρίος πλεψίραϊον“²³.

მოცემულ კონტექსტში—*παρὰ τὸν Φᾶσιον ποταμόν* ჩვეულებრივ თარგმნიან მდე და თან სუფიქსის შესატყვისი წინდებულების მეშვეობით²⁴. წინდებული *παρὰ* აკუზატივუსთან აღნიშნული წინდებულებით გადმოიცემა მაშინ, როდესაც პიროვნებაზეა ლაპარაკი. მოვიტანოთ მაგალითი „ანაბასისიდან: σπείσας δ' ἐστὺς ἦγε τοὺς νεανίσχους παρὰ τὸν Χειρῖσοπον, καὶ διήγειντα: ταῦτά“²⁵.

Παρὰ წინდებულს სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს აკუზატივუსში ხმარებისას ადგილის განსაზღვრის დროს. მოვიტანოთ მაგალითი ისევ „ანაბასისიდან“: „მთელი ეს დღე [ელინებმა] დაჰყვეს იმ ველის ზემოთ [არსებულ] სოფლებში, რომელიც მდინარე კენტრიტის გასწვრივაა [გადაშლილი] (*παρὰ τὸν Κεντρίτην ποταμόν*)“²⁶.

ამრიგად, ნათელი უნდა იყოს, რომ აღნიშნულ ცნობაში, რომელშიც აღწერილია ბერძენ მოქირავნეთა მარშრუტის მორიგი ეტაპი, წინდებული *παρὰ* უნდა ითარგმნოს ქართულად „გასწვრივ“ ან „გაყოლებით“ და ა. შ. ამ შემთხვევაში მოცემული კონტექსტის ქართული თარგმანი იქნება: „ამის შემდეგ იარეს შვიდ გადასავლად დღეში ხუთ-ხუთი ფარასანგი მდინარე ფასისის გასწვრივ, რომლის სიგანე ერთი პლეთრონია“.

როცა ქსენოფონტი ამბობს „ამის შემდეგ“, მუდამ უკანასკნელ ვითარებას გულისხმობს. უკანასკნელად კი მოხდა ის, რომ ღამით გაიპარა მეგზური კომარქოსი. ხოლო თუ მეგზურის გაპარვის შემდეგ ბერ-

²² Anab., IV, 5, 35.

²³ Anab., IV, 6, 4.

²⁴ შტრ. К с е п о ф о н т, Анабасис, перевод, статья и примечания М. И. Максимовой, М.-Л., 1951, გვ. 114: „до реки Фазиса“. А. Вoucher, დასახ. ნაშრ., გვ. 220.

²⁵ Anab., IV, 3, 13: „დალოცვის შემდეგ მან [ე. ი. ქსენოფონტმა] მაშინვე წაიყვანა ვაჭვილები ხეი რ ა ს ო ფ ო ს თ ა ნ და მათ იქ გაიმეორეს თავისი მონათხრობი“. ხაზი ჩვენია.

²⁶ Anab., IV, 3, 1.

ძნებმა იარეს „ფასისის გასწვრივ, რომლის სიგანე ერთი პლეთრონია“. მაშინ ყოველივე ეს ფასისთან მომხდარა. ფასისში აქ არაქსი იგულისხმება. ფასისის არაქსს უწოდებენ სხვა წყაროებიც²⁷. ამათგან ქსენოფონტის „ანაბასისი“ უძველესია. აღსანიშნავია, რომ ეს უძველესი სახელწოდება არაქსს დღემდე შემორჩა: მას შუა წელამდე ახლაც პ ა ს ი ნ ი ეწოდება. პასინი ჰქვია იმ ველსაც, რომელსაც არაქსი თავის დასაწყისში რწყავს.

ფასისი-არაქსი ბერძნებმა, როგორც ჩანს, მაშინვე გადალახეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მდინარის სიგანეზე ლაპარაკს აზრი არ უნდა ჰქონოდა. გარდა ამისა, ბერძნები ფასის-არაქსის მარჯვენა სანაპიროთი ვერც წავიდოდნენ, რადგან არაქსს სამხრეთით გასდევს საცალფეხო გზა, რომელსაც ძალის ბილიკს უწოდებენ და რომლითაც მგზავრობა ძნელია²⁸. ცხადია, ეს გზა ბერძენთა ათიათასიანი არმიისათვის, რომელსაც ვეება ადალი მოჰყვებოდა, სრულიად გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, საძიებელი ცნობიდან ირკვევა, რომ ბერძნები კვლავ მაგისტრალურ გზაზე გავიდნენ, სადაც ისევ გახდა შესაძლებელი მანძილის ფარასანგებით აღნუსხვა.

ფასისი-არაქსი ბერძნებს ქ. ყაგიზმანთან (ყალბევანი ქართული წყაროებისა) უნდა გადაელახათ. ამ მიდამოებში არაქსი განზეა გაშლილი და ამავე დროს თხელიცაა²⁹.

აღსანიშნავია, რომ, როცა ბერძნები დაინახავდნენ, რომ ეს ფასისი შავი ზღვის ფასისი არაა, ისინი პირს იბრუნებდნენ კვლავ დასავლეთისაკენ. ყაგიზმანის ხაზიდან დასავლეთით 35 ფარასანგის (დაახლოებით 175—180 კმ) გავლის შემდეგ მოჭირავნეთა არმიას ახლანდელ ქ. ჰასანყალას (ისტორიული ბასიანის) მიდამოებისათვის უნდა მიეღწია³⁰.

ლაშქრობის შემდგომ ეტაპს ქსენოფონტი ასე აგვიწერს: „შემდეგ [ელინებმა] იარეს ორ გადასავლად 10 ფარასანგი. მთის გადასასვლელთან, რომელიც ვაკეზე ეშვებოდა მათ დახვდნენ ხალიბები, ტაო-

27 ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 274.

²⁸ იხ. П. Хелмницкий, Карсская область, Тифлис, 1892, ч. I, გვ. 129.

²⁹ П. Хелмницкий, იქვე, 33—137.

³⁰ შტრ. G. F. Lehmann-Haupt, „Segl. Vom Kentrites bis Trapezunt“: Gnomon, B. IV, Heft 6, Berlin, 1928, გვ. 345—346; Hoffmayer, Durch eine Wanderung und der Zug Xenophon's bis zum Schwarzen Meere, Leipzig-Berlin, 1912, გვ. 240.

ხები და ფასიანები³¹. ეს უნდა მომხდარიყო თანამედროვე სოფ. შინეკთან³².

ფასიანები, როგორც ირკვევა, ფასის-არაქსის ზემო წელზე, ბასიანის აუზში ბინადრობდნენ: ისინი ჰესპერიტებთან და დასავლეთ არმენიასთან ერთად ერთიანდებოდნენ ერთ სატრაპიაში, რომელსაც ტირიბაზი განაგებდა. ჰესპერიტები მათ ემიჯნებოდნენ სამხრეთ-დასავლეთიდან და დასავლეთიდან, ხოლო დასავლეთი არმენია—სამხრეთიდან³³.

„აქედან — მოგვიტოვებს ქსენოფონტი—[ელინებმა] ტაოხების ქვეყანაში ზუთ გადასავლად 30 ფარასანგი იარეს“³⁴. მოჭირავნეთა ლაშქრობის ეს მონაკვეთი ძნელი დასადგენია. სხადია მხოლოდ, რომ ისინი შევიდნენ ოლთისის ოლქში, ე. ი. ისტორიულ ამიერ-ტაოში, სადაც ტაოხები ბინადრობდნენ.

ამის შემდეგ ბერძენ მოჭირავნეებს, ვიდრე ისინი ზღვით გაემგზავრებოდნენ, ქართველი ტომებით დასახლებული ტერიტორიების გავლა მოუხდათ. მათ ჯერ გაიარეს „...50 ფარასანგი შეიდ გადასავლად ხალიბების [მიწა-წყალზე]“³⁵ და მივიდნენ მდინარე პარპასოსთან, რომლის სიგანე ოთხი პლეთრონია³⁶.

პარპასოსს მკვლევართა დიდი ნაწილი ჭოროხთან აიგივებს³⁷. ეს აიგივება იმდენად საფუძვლიანია, რომ ექვს არ იწვევს. ტაოხების ქვეყნიდან (ოლთისის ოლქი) ბერძნები, როგორც ჩანს, თორთომის ოლქში (ისტორიული იმიერტაო) გადავიდნენ და ჭოროხის ხეობას გაყვნენ. ჭოროხის ხეობა იყო სწორედ ხალიბების ქვეყანა. შემთხვევითი როდია, რომ ძველი სომხური წყაროები ჭოროხის ხეობას ხალდოძორს (ხალდის ხეობას) უწოდებენ³⁸.

ბერძნები, როგორც ჩანს, გაჰყვნენ პარპასოს-ჭოროხს მისი დინების მიმართულებით იმ იმედით, რომ ზღვაზე შეძლებდნენ გასვლას.

³¹ Anab., IV, 6, 5.

³² იხ. თ. შიქელაძე, ფასიანების საღურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 38-ე, 1955, გვ. 24.

³³ თ. შიქელაძე, იქვე, გვ. 24—26 და შმდ.

³⁴ Anab., IV, 7, 1.

³⁵ Anab., IV, 7, 15.

³⁶ Anab., IV, 7, 18.

³⁷ იხ. G. F. Lehmann-Haupt, „Segl. Vom Kentrites bis Trapezunt, გვ. 347; Hoffmayster, დასახ. ნაშრომი, გვ. 244 და შმდ.

³⁸ იხ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб, 1908, გვ. 52.

ამაზე მიუთითებს ის, რომ მოქირავნეებმა ჰარპასოს-ჰოროხი იქ გადალახეს, სადაც ის განსაკუთრებით ფართო იყო. ეს უნდა მომხდარიყო ახლანდელ სოფ. ორჯოხის მიდამოებში, რადგან ორჯოხის შემდეგ ჰოროხი გაუვალ კლდეებს შორისაა მოქცეული და ბერძენთა დიდი არმია ვეება ალალით ვერ შეძლებდა ამ კლდეების გადალახვას, მით უმეტეს, რომ მათ გზადაგზა განუწყვეტილ თავს ესხმოდნენ ხალიბები.³⁹

ჰარპასოს-ჰოროხის გადალახვის შემდეგ ბერძენი მოქირავნეები აღმოჩნდნენ სკვითინების ქვეყანაში, სადაც იარეს ვაკეზე 20 ფარასანგი, შემდეგ კიდევ 20 ფარასანგი და მივიდნენ დიდ, მდიდარ და მკიდროდ დასახლებულ ქალაქამდე, რომელსაც გვიმნიასი ეწოდებოდა⁴⁰.

ჰოროხის გადალახვის შემდეგ ბერძენები შავი ზღვისაკენ ვერ წავიდნენ, მათ აქ ელობებოდა პონტოს ტავრის მასივი, რომლის გადალახვა მეგზურის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ ბერძენებმა იარეს ჰოროხის ველზე ჯერ სამხრეთ-დასავლეთით და შემდეგ დასავლეთით და მივიდნენ თანამედროვე დაბა ვალახორის მიდამოებში. ვალახორი მდებარეობს ქ. ბაიბურთიდან ოციოდე კილომეტრზე ჩრდილო-დასავლეთით. სადაც აქაა საძიებელი სკვითინების მთავარი ქალაქი გვიმნიასი. ორჯოხის ხაზიდან ვალახორამდე ჰოროხის ხეობით დაახლოებით 100 კმ-ია, რაც კარგად შეესაბამება 20 ფარასანგს.

გვიმნიასში ბერძენები არ შესულან. მათ იქიდან ქვეყნის მმართველმა გაუგზავნა მეგზური, რომელმაც ხუთი დღის მგზავრობის შემდეგ მიიყვანა ისეთ ადგილზე, საიდანაც ზღვა ჩანდა. ეს იყო მთა, რომელსაც თეხესი (Θήξης) ეწოდებოდაო, გადმოგვეცემს ქსენოფონტი⁴¹. თეხესის მთას აიგივებენ ზიგანის უღელტეხილთან⁴², რომელიც პონტოს ტავრის ერთი ყველაზე მონერჩებული უღელტეხილთაგანია და ტრაპეზუნტის სისწორეზე მდებარეობს. ზიგანა სოფ. ვალახორის მიდამოებიდან დაახლოებით 100 კმ-ითაა დაშორებული. ხუთი დღის განმავლობაში ბერძენთა არმია მთებში მეტ მანძილს ვერც დაფარავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მთის სახელწოდება Θήξης დღემდე შემონახული ჩანს ადგილობრივ ტოპონიმიკაში: ოცილომეტრიან რუკაზე ზიგანასთან ახლოს აღნიშნულია სოფ. ტ ე კ ე. ეს სოფელი დამოწმებული აქვს ჰოფმაისტერსაც, რომელიც გვაცნობებს, რომ ადგილობრივი მოსახ-

³⁹ Anab., IV, 7, 15—18.

⁴⁰ Anab., IV, 7, 18—19.

⁴¹ Anab., IV, 7, 21.

⁴² Hoffmayer, დასახ. ნაშრ., გვ. 347—348.

ლებოა ამ სახელს ასე გამოთქვამს — Tachije⁴³. თეხესიდან ბერძნებმა პირველად დაინახეს ზღვა და დაუოკებელ სიხარულს მიეცნენ⁴⁴. მხედველობაშია მისაღები, რომ ზიგანიდან კარვად მოჩანს შავი ზღვა⁴⁵.

ამრიგად. ნათელი უნდა იყოს, რომ სკვითინებს აღმოსავლეთით ემიჯნებოდნენ ხალიბები. ამ ორ ტომს ერთიმეორისაგან პარსპასოს-ქოროხი გამოყოფდა. ჩრდილოეთით სკვითინები პონტოს ტავრით ისაზღვრებოდნენ. ხოლო თეხეს-ზიგანა-დალის მიდამოებში, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ესაზღვრებოდნენ მაკრონებს. სამხრეთითა და დასავლეთით სკვითინების გავრცელების ფარგლები ძნელი დასადგენია.

შემდგომი მსვლელობის შესახებ ქსენოფონტი გადმოგვცემს: „აქედან ელინებმა მაკრონების [ქვეყანაზე] სამ გადასავლად ათი ფარასანგი გაიარეს. პირველსავე დღეს მივიდნენ მდინარესთან, რომელიც მაკრონების [ქვეყანას] სკვითების [ქვეყნისაგან] საზღვრავდა“⁴⁶. ცოტა უფრო ქვემოთ ქსენოფონტი განაგრძობს: „შეთანხმების შემდეგ მაკრონები“... „სამი დღის განმავლობაში თან მიჰყვებოდნენ მათ, ვიდრე არ მიიყვანეს ელინები კოლხების საზღვართან“⁴⁷. ცხადია, რომ მაკრონების ქვეყანაზე სამ გადასავლად გავლილი ათი ფარასანგი და სამი დღის მგზავრობა კოლხების საზღვრამდე დროისა და მანძილის ერთსა და იმავე მონაკვეთს გულისხმობს. ამგვარად ვითარება რომელსაც ქსენოფონტი აგვიწერს შემდეგნაირად გვესახება: თეხეს-ზიგანა-დალის გადალახვის შემდეგ ბერძნები მაკრონების მიწა-წყალზე აღმოჩნდნენ. ბერძნები ჯერ კიდევ თეხესზე იმყოფებოდნენ, როდესაც მეგზური დაემშვიდობა მათ და დაღამებისთანავე უკან გაეშურა⁴⁸. ნათელი უნდა იყოს, რომ ბერძნები თეხესს ღამით არ დასტოვებდნენ და გათენებას დაელოდებოდნენ; ე. ი. თეხესიდან დაშვებას მხოლოდ მეორე დილას დაიწყებდნენ. ქსენოფონტის სიტყვები—ბერძნები „პირველსავე დღეს მივიდნენ მდინარესთან“—ისე უნდა გავიგოთ, რომ მათ მდინარეს დღის პირველ ნახევარში მიაღწიეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმავე დღეს მდინარის ნაპირების გაუვალი ჭაგნარისაგან გაწმენდა, მაკრონებთან შეთანხმება და ბოლოს ამ უკანასკნელთა

⁴³ Hoffmayster, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

⁴⁴ იხ. Anab., IV, 7, 20—27.

⁴⁵ Личч, Армения, т. II, гл. 302.

⁴⁶ Anab., IV, 8, 1.

⁴⁷ Anab., IV, 8, 8.

⁴⁸ Anab., IV, 7, 27.

დახმარებით მდინარის გადალახვა⁴⁹. ამის შემდეგ მაკრონებმა კოლხების საზღვრამდე ბერძნები ატარეს არა სამი დღე, არამედ ფაქტიურად ორი დღე, ვინაიდან როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, როდესაც ქსენოფონტი ამბობს „აქედან“, მუდამ გულისხმობს იმ უკანასკნელ პუნქტს, საიდანაც ბერძნებმა ლაშქრობის ახალი ეტაპი დაიწყეს. ამ შემთხვევაში ასეთი პუნქტია თეხესი. მაშასადამე, ბერძნებმა მაკრონების ქვეყანაზე კოლხების საზღვრამდე გაიარეს ათი ფარასანგი სამი დღის განმავლობაში მთა თეხესიდან.

ამრიგად, ბერძნები თეხეს-ზიგანა-დალიდან დაშვებას და სასაზღვრო მდინარემდე მისვლას ნახევარი დღე მოუხდნენ. ეს სწორედ იმდენი დროა, რამდენიც საჭიროა ზიგანა-დალიდან მდინარე მაჩკა-დერემდე მისასვლელად. ეს უკანასკნელი ის მდინარე უნდა იყოს, რომელსაც ქსენოფონტი სასაზღვროს უწოდებს. ქსენოფონტის აღწერილობით „... მარჯვნივ და ზემოთ ძალზე მიუვალი ადგილი იყო, ხოლო მარცხნივ მეორე მდინარე, რომელსაც სასაზღვრო ერთვოდა“⁵⁰. მართლაც, ჩრდილოეთით მიმავალისათვის მდ. მაჩკა-დერედან მარჯვნივ, ე. ი. აღმოსავლეთით აღმართულია მთები (კოლატ-დალი და სხვ.), ხოლო მარცხნივ მიედინება მდ. დეირმენ-დერე (იგივე პიქსიტი), რომელსაც მაჩკა-დერე ერთვის. ცხადი უნდა იყოს, რომ „ანაბასისში“ სწორედ ეს მიდამოები და ეს მდინარეებია აღწერილი.

ტექსტიდან ირკვევა, რომ ბერძნებმა მაკრონების ქვეყანაზე გაიარეს 10 ფარასანგი (დაახლოებით 50 კმ) და მხოლოდ ამის შემდეგ მიადწიეს კოლხების ქვეყანას.

საფიქრებელია, რომ ბერძენი მოქირავნეები ჩრდილო-აღმოსავლეთით გაემართნენ. ამ მხრით მაკრონების საზღვარი შედარებით კარგად განისაზღვრება. როგორც „ანაბასისიდან“ ჩანს, მაკრონებმა ბერძნები მიიყვანეს კოლხების საზღვრამდე⁵¹. „იქ იყო დიდი მთა, რომელზედაც კოლხები საბრძოლოდ დარაზმულიყვნენ“⁵². ეს მთა დღევანდელი კაზიკლი-დალი უნდა იყოს. მდ. მაჩკა-დერედან მანძილი კაზიკლი-დალამდე კარგად შეესაბამება ქსენოფონტის მიერ მოცემულ მანძილს თეხესიდან კოლხების საზღვრამდე.

მაშასადამე, მეტ-ნაკლები სიზუსტით გაირკვა მაკრონების ქვეყნის სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვარი. პირველი გადიოდა მაჩკა-დერე-

⁴⁹ Anab., IV, 8, 2—8.

⁵⁰ Anab., IV, 8, 2.

⁵¹ Anab., IV, 8, 8.

⁵² Anab., IV, 8, 9.

ზე, აღმოსავლეთ საზღვრად კი კაზიკლი-დაღია მისაჩნევი. დასავლეთით და ჩრდილოეთით მაკრონების გავრცელების არის დადგენა ძნელდება.

„აქედან,—განაგრძობს ქსენოფონტი, — [ელინებმა] იარეს ორ გადასავლად შვიდი ფრასანგი და მივიდნენ ზღვასთან, ტრაპეზუნტში“⁵³.

ტრაპეზუნტი მდებარეობდა იქ, სადაც დღეს ამავე სახელწოდების ქალაქია.

ტრაპეზუნტიდან გამგზავრების შესახებ ქსენოფონტი შემდეგს მოგვითხრობს: „მესამე დღეს, გამგზავრების შემდეგ, მივიდნენ ელინურ ქალაქ კერასუნტში, სინოპის კოლონიაში, რომელიც კოლხეთის ქვეყანაში ზღვის სანაპიროზე [მდებარეობდა]“⁵⁴.

ანტიკური კერასუნტი, როგორც ირკვევა, მდებარეობდა იქ, სადაც დღევანდელი გირესუნია, ანდა ამ უკანასკნელის მახლობლად. ზოგიერთი მკვლევარი ეჭვით ეყილება კერასუნტის ასეთ ლოკალიზაციას. ასე, მაგალითად; არტ. ბუ შე ბერძნების მარშრუტის თავისებური ინტერპრეტაციის შედეგად კერასუნტს თანამედროვე ფოლ-ბაზარზის ადგილზე ეძებს⁵⁵. ფოლ-ბაზარზის ადგილზე ეგულება ძველი კერასუნტი მ. მაქსიმოვასაც⁵⁶. წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტრაპეზუნტიდან ფოლ-ბაზარზამდე დაახლოებით 50—60 კმ-ია. ტრაპეზუნტიდან კერასუნტამდე მგზავრობას კი ბერძნები, როგორც დავინახეთ, სამ დღეს მოუნდნენ. საეჭვოა, რომ ბერძნებს სამი დღის მარშის შედეგად მხოლოდ ესოდენ მცირე მანძილი გაეარათ; საეჭვოა, რადგან ქსენოფონტი ტრაპეზუნტიდან გამგზავრების შესახებ მოგვითხრობს: „ხოლო როდესაც... არც ხომალდები იყო საკმაო რაოდენობით და აღარც სურსათი იშოვებოდა, გადაწყვიტეს წასვლა. ხომალდებზე დასვეს ავადმყოფები, აგრეთვე ისინი, ვინც ორმოცზე მეტი წლის იყო, ბავშვები, ქალები და მთელი ბარგი, რომელიც არ სჭირდებოდათ... დანარჩენები წავიდნენ ფეხით, რადგან გზა შეეკეთებული იყო“⁵⁷. მაშასადამე, ყველაფერი ის (ავადმყოფები, მოხუცები, ქალები, ბავშვები, ბარგი), რაც ხელს შეუშლიდა ფორსირებულ მარშს ბერძნებმა ხომალდებზე მოათავესეს. ამასთან, ქსენოფონტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გზა შეეკეთებული იყო, ე. ი. ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ მოქირავნეებს

⁵³ Anab., IV, 8, 22.

⁵⁴ Anab., V, 3, 2.

⁵⁵ A. Boucher, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

⁵⁶ М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956, გვ. 71 და 74. იქვე, ლიტერატურა.

⁵⁷ Anab., V, 3, 1.

დღეში საშუალოზე მეტი დატვირთვით ეარათ და სამი დღის განმავლობაში ბევრად მეტი მანძილი დაეფარათ, ვიდრე ტრაპეზუნტსა და ფლობაზარზს შორის არის. მაშასადამე, ათიათასის მარშრუტიც ცხადპყოფს რომ კერასუნტი საკმაო მანძილით იყო დაშორებული ტრაპეზუნტს.

საინტერესოა, სად ეგულებათ კერასუნტი სხვა ანტიკურ წყაროებს, სტრაბონი გადმოგვცემს: „თუ ამისიდან ვიცრუეთ, თავდაპირველად პერაკლეს კონცხს წავაწყდებით, შემდეგ მეორე კონცხს იაზონიას და გენეტს, შემდეგ ქ. კოტიორას, რომელმაც ფარნაკია დააარსა, შემდეგ ნანგრევებად ქცეულ ისხოპოლისს; უფრო იქით ყურება, სადაც არის მცირე დაბეები კერასუნტი და ჰერმონასა, მაგრამ ამ უკანასკნელის მახლობლად ტრაპეზუნტია და შემდეგ კოლხიდა“⁵⁸.

სტრაბონისეული ამისი თანამედროვე სამსუნის ახლოს უნდა არსებულებოდა⁵⁹. პერაკლეს კონცხი თანამედროვე ჩალტი-ბურუნის ადგილზე ეგულებათ⁶⁰. იგი, მართლაც, ან ჩალტი-ბურუნია, ანდა ჭივა-ბურუნი. კონცხი იაზონია თანამედროვე იასუნ-ბურუნი უნდა იყოს, გენეტის იქვე ახლოს მდებარე პატარა კუნძული ხანეტ-კალესი. ძვ. წ. მეოთხე საუკუნის პერიპლუსშიც, რომელიც სკილაქს კარიანდელის სახელითაა ცნობილი, გენეტი იაზონიისა და სტამენის⁶¹ მეზობლადაა დასახელებული. საგულისხმოა, რომ პერიპლუსის ავტორი გენეტს დასურულ ნავთსაყუდარს უწოდებს⁶². ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ხანეტ-კალესის აღწერილობა: „Берег между мысами Вона и Язон образует небольшую бухточку; в глубине ее находится треугольная гора, а у восточного берега скалистый островок Ханет-калеси с башнею. Якорное место закрытое от w, против треугольной горы, лишь только монастырь на Язоне покажется южней закрывающих его деревьев на 4 сажнях и грунте ил с песком“⁶³.

ნათელი უნდა იყოს, რომ ანტიკური წყაროების დასურული ნავსადგური გენეტი თანამედროვე ხანეტ-კალესის ადგილზე მდებარეობდა

⁵⁸ Strab., XII, 3, 17.

⁵⁹ ს. ჯანაშია, პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 1942, № 6, გვ. 607.

⁶⁰ ВДИ, 1947, №4, გვ. 234, შვშ. 13.

⁶¹ გვიანდელი სტამენა იაზონ-ბურუნის აღმოსავლეთითაა (იხ. ВДИ, 1947, № 3, გვ. 243, შვშ. 2).

⁶² ВДИ, 1947, № 3, გვ. 243.

⁶³ Лоция Черного и Азовского морей, СПб, 1903, გვ. 456.

და ამ უკანასკნელის სახელწოდება გენეტის სახელიდან უნდა იმომდინარეობდეს.

კოტიორა დღევანდელ ორდუს შეესაბამება. ეს უკანასკნელი აქვე ხანეთ-კალესის შემდეგ მდებარეობს. ისხოპოლისის ლოკალიზაცია ძნელდება. ამ ქალაქს სტრაბონის გარდა პტოლემეოსის მეტი არავინ არ იცნობს, ამიტომ მის შესახებ სხვა დამატებითი ცნობები არ არსებობს. სტრაბონის ზოგიერთი კომენტატორის აზრით ისხოპოლისი მდებარეობდა ფარნაკიის ახლოს, მდ. მელანტიის შესართავთან⁶⁴. სხვები კი ფიქრობენ, რომ ისხოპოლისის მდებარეობა გაუტკეველია⁶⁵. მდ. მელანტია უნდა იყოს თანამედროვე მელენტ-ირმაკ-დერე, რომელიც ორდუს აღმოსავლეთით ერთვის ზღვას. ხოლო ამ ადგილის „უფრო იქით,—გადმოგვექმს სტრაბონი,—ყურეა, სადაც მდებარეობს მომცრო დაბები კერასუნტი და ჰერმონასა“, ამის შემდეგ კი ტრაპეზუნტი და კოლხეთიაო.

ორდუდან დღევანდელ კერასუნტამდე (ზოგ რუკაზე გირესუნად არის აღნიშნული) ზღვის ნაპირი თითქმის სწორხაზოვანია. არსად ამ მონაკვეთზე ყურე არ არის⁶⁶; არც თანამედროვე კერასუნტი მდებარეობს ყურეში. ასე რომ, ან სტრაბონის ცნობა არ უნდა იყოს ზუსტი, ანდა მისი კერასუნტი დღევანდელს არ უნდა შეესატყვისებოდეს. მაგრამ ეს ასე არ არის. იქვე, თანამედროვე კერასუნტთან, მისგან აღმოსავლეთით, არის ერთი ყურე, რომელსაც პუგაჩოკს უწოდებენ. შავი ზღვის ლოცია გვაუწყებს: „А против залива⁶⁷ островок Пуга, или Аретия (остров Марса); на острове остатки старинного укрепления“⁶⁸. ამასთან დაკავშირებით, ყურადღების ღირსია კიდევ ერთი ანტიკური წყაროს ცნობა. მხედველობაში გვაქვს ის „პერიეგესისი“, რომლის ავტორად სკიმნოს ქიოსელს მიიჩნევენ ტრადიციულად; ხოლო სინამდვილეში ეს შრომა ძვ. წ. 1 საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი. მისი დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ ეს შრომა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღწერილობაში ეფოროსის შრომას ემყარება⁶⁹. ეფოროსი კი ქსენოფონტის უმცროსი თანამედროვე იყო. მაშასადამე, სკიმნოს ქიოსელის ცნობებს სათავე ქსე-

⁶⁴ ВДИ, 1947, № 4, გვ. 235, № 7. I.

⁶⁵ RE, V. IX, გვ. 2058.

⁶⁶ Лоция Черного и Азовского морей, გვ. 451—459.

⁶⁷ საუბარია პუგაჩოკზე.

⁶⁸ Лоция., გვ. 451.

⁶⁹ ВДИ, 1947, № 3, გვ. 309.

ნოფონტის ხანაში აქვთ. ამ ცნობებიდან კი ვიგებთ, რომ „კერასუნტი სინოპელთა კოლონიაა“⁷⁰, მის წინ მდებარეობს უკაცრიელი კუნძული, რომელსაც არესი ეწოდება“⁷¹. სკილაქს კარიანდელიც ახსენებს კუნძულ არესს კერასუნტის მახლობლად⁷². ნათელია, რომ, როგორც ქსენოფონტის თანადროული, ისე სხვადასხვა დროის ანტიკური წყაროების ცნობები კერასუნტის ადგილმდებარეობის შესახებ სავსებით ემთხვევა ერთიმეორეს და აგრეთვე არსებულ სინამდვილესაც, რომელიც ნათლადაა აღწერილი შავი ზღვის ლოციაში. უდავოა, რომ სტრაბონისეული ყურე, სადაც კერასუნტი მდებარეობდა და თანამედროვე გირესუნის ახლოს არსებული უბე პუგაჩოკი, ერთი და იგივეა, ხოლო სკიმნოსისა და სკილაქსისეული არესის კუნძული არის თანამედროვე პუგა, იგივე არეცია, იგივე მარსის კუნძული. როგორც ვხედავთ, ამ კუნძულმა ახალთან ერთად შემოინახა ანტიკური სახელებიც, რომელთაგან უკანასკნელი („მარსი“—რომაული ვარიანტი ბერძნული ომის ღმერთის სახელწოდებისა „არესი“,) შეიძლება მოგვიანო იყოს. შავი ზღვისპირეთში რომის გავლენის დამკვიდრების მაუწყებელი.

ამრიგად, ანტიკური კერასუნტის ლოკალიზაცია შეიძლება გამოჩვენებულად ჩაითვალოს: იგი მდებარეობდა თანამედროვე გირესუნის მიდამოებში.

ტრაპეზუნტსა და გირესუნს შორის მანძილი 100 კმ-ს ცოტათი აღემატება. ამ მანძილს სამ დღეში და, რაც მთავარია, ისეთ ვითარებაში, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ბერძნები თავისუფლად გაივლიდნენ. ასე რომ, ქსენოფონტის ცნობებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კერასუნტის წარმოდგენილ ლოკალიზაციას.

მოჭირავნეთა მარშრუტის ამ მონაკვეთის დაზუსტებით ხერხდება კოლხების ბინადრობის ადგილის გარკვევა. ტრაპეზუნტი, გვაუწყებს ქსენოფონტი, ხალხმრავალი ქალაქია, „რომელიც სინოპელთა კოლონია იყო კოლხების ქვეყანაში ევქსინის პონტოს სანაპიროზე. აქ, კოლხების სოფლებში [ელინებმა] დაახლოებით ოცდაათი დღე დაჰყვეს და აქედან აწარმოებდნენ თავდასხმებს და ანადგურებდნენ კოლხიდას“⁷³.

აქედან ნათელია, რომ ტრაპეზუნტი კოლხების ქვეყანაში მდებარეობდა. ტრაპეზუნტიდან, როგორც დავინახეთ, ბერძნების ერთი ნაწილი გაემართა ზღვით, მეორე ნაწილი კი ხმელეთით. „მესამე დღეს გამგზავ-

⁷⁰ იმასვე გადმოგვცემს ქსენოფონტიც, შდრ. Anab., V, 3, 2.

⁷¹ ВЛИ. 1947, № 3, გვ. 313.

⁷² ВДИ, 1947, № 3, გვ. 242.

⁷³ Anab., IV, 8, 22.

რების შემდეგ მივიდნენ ელინურ ქალაქ კერასუნტში, სინოპის კოლონიაში, რომელიც კოლხების ქვეყანაში ზღვის სანაპიროზე [მდებარეობდა]⁷⁴.

ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ კერასუნტიც კოლხების მიწა-წყალზე იყო გაშენებული. მაგრამ, როგორც ირკვევა, არც კერასუნტი იყო დასავლეთით კოლხების ქვეყნის უკანასკნელი საზღვარი. „ანაბასისში“ ვკითხულობთ: „კერასუნტიდან ზღვით გაემართნენ ისინი, ვინც აღრეც [ზღვით მიდიოდა]. ხოლო დანარჩენებმა ხმელეთით იმგზავრეს, როდესაც მიუახლოვდნენ მოსინიკების საზღვარს“⁷⁵... და სხვ. მაშასადამე, კოლხების მიწა-წყალი კერასუნტის იქითაც, მოსინიკების ქვეყანამდე გრძელდებოდა, მაგრამ სადამდე, ამის გამორკვევა ძნელია. საგულისხმოა, რომ სკილაქს კარიანდელს კერასუნტი მოსინიკების ქვეყანაში ეგულება⁷⁶. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მოსინიკების საზღვარი კერასუნტიდან დასავლეთით არც თუ ისე შორს იყო.

ქსენოფონტი პირველი მწერალია, რომლის ცნობათაგან უშუალოდ ირკვევა, რომ კოლხების ქვეყანა ფასის-რიონის აუზის გარდა, წინააღმდეგ ანტიკურ საისტორიო ტრადიციაში გაბატონებული აზრისა, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზედაც არსებობდა და დასავლეთით კერასუნტს იქით იყო გავრცელებული. ქსენოფონტის ამ ცნობის მიხედვით, სამწუხაროდ, გამოურკვეველი რჩება კოლხების გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი. რაც შეეხება კოლხების დასავლეთ საზღვარს, იგი, როგორც დავინახეთ, კერასუნტის ახლოს, მისგან დასავლეთით გადიოდა. აქ კოლხები მოსინიკებს ემიჯნებოდნენ. კოლხეთის სამხრეთით კი მოსახლეობდნენ სხვა ტომები. ამათგან პირველ რიგში დრილებია აღსანიშნავი. ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ ტრაპეზუნტში ყოფნის დროს, „როდესაც სურსათი ისე აღარ იშოვებოდა, რომ წასულიყვნენ, წამოეღოთ და იმავე დღეს ბანაკში დაბრუნებულყვნენ, ქსენოფონტმა გაიყოლია ტრაპეზუნტელი მეგზურები და ჯარის ნაწილი წაიყვანა დრილების ქვეყანაში, ხოლო ნაწილი დატოვა ბანაკის დასაცავად, რადგან კოლხებს, რომლებიც გამოძევებული იყვნენ თავისი სახლებიდან მრავლად მოეყარათ თავი და მთების მწვერვალებზე ჩასაფრებულყვნენ“⁷⁷.

თავისი სახლებიდან გამოძევებული კოლხები, რომლებიც მთების მწვერვალებზე ჩასაფრებულყვნენ და შურისძიებისათვის ხელსაყრელ

⁷⁴ Anab., V, 3, 1, 2.

⁷⁵ Anab., V, 4, 1, 2.

⁷⁶ ВДИ, 1946, № 3, გვ. 242.

⁷⁷ Anab., V, 2, 1.

მომენტს ეძებდნენ, ცხადია, ისინი არიან, ვინც ბერძნებმა ჰაკრონების საზღვრებთან დაამარცხეს და განდევნეს სოფლებიდან. აქედან ბერძნები მიმართულებას იღებენ ჩრდილო-დასავლეთით და მიდიან ტრაპეზუნტში. მაშასადამე, კოლხების ეს ნაწილი ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსახლეობდა. აქედან ცხადი ხდება, რომ მაშინ, როდესაც სურსათი აღარ იმოვებოდა და ამიტომ ბერძნებს დრილების ქვეყანაში მოუხდათ შეჭრა, მოქირავნეები უნდა წასულიყვნენ სამხრეთ-დასავლეთით.

ახლა თუ მივაქცევთ ყურადღებას იმასაც, რომ დრილები მთებში და ძნელად მისავალ ადგილებში ცხოვრობდნენ⁷⁸, მაშინ მათი ბინადრობის ადგილი ტრაპეზუნტის სამხრეთ-დასავლეთით პონტოს მთებში არის სავარაუდებელი. დაახლოებით დრილების ასეთივე ლოკალიზაცია მოცემული აქვს ტომაშეკს. მისი აზრით დრილები მოსახლეობდნენ ზიგანა-დაღზე და მდ. ხარშუტის ხეობაში⁷⁹.

ამრიგად ნათელია, რომ კოლხებს კერასუნტის დასავლეთით მოსინიკები ესაზღვრებოდნენ, სამხრეთით ჯერ დრილები (რომლებსაც დასავლეთიდან ემიჯნებოდნენ მოსინიკები), ხოლო შემდეგ ჰაკრონები კაზიკლი-დაღამდე. საფიქრებელია, რომ კოლხების მიწა-წყალი ვრცელდებოდა ტრაპეზუნტის აღმოსავლეთითაც. ამ მონაკვეთზე კოლხების სამხრეთ საზღვრად მისაჩნევია პონტოს ტავრი, რომლის ჩრდილოეთ თხემებზე კოლხები მოსახლეობდნენ, ხოლო სამხრეთზე, როგორც დავინახეთ, სკვითინები.

კერასუნტიდან გამგზავრების შესახებ ქსენოფონტი, როგორც აღნიშნული იყო, მოგვითხრობს შემდეგს: „კერასუნტიდან ზღვით გაემართნენ ისინი, ვინც ადრეც [ზღვით მიდიოდა], ხოლო დანარჩენები ხმელეთით წავიდნენ, როდესაც მიუახლოვდნენ მოსინიკების საზღვრებს; აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელნი წინააღმდეგნი არიან გაატარონ ბერძნები თავიანთ მიწა-წყალზე⁸⁰. ამ ცნობის მიხედვით ძნელი გასარკვევია სად იწყებოდა მოსინიკების საზღვარი.

„ელინებმა ამ ქვეყანაში⁸¹,—განაგრძობს ქსენოფონტი,—როგორც მტრულად, ისე მეგობრულად [განწყობილ თემებში] რვა სტათმოსი იარეს და მივიდნენ ხალიბებთან... [ხოლო] იქიდან—ტიბარენებთან“⁸².

⁷⁸ შტრ. Anab., V, 2, 3.

⁷⁹ RE, B, V, გვ. 1706.

⁸⁰ Anab., V, 4, 1—2.

⁸¹ იგულისხმება მოსინიკების ქვეყანა.

⁸² Anab., V, 5, 1.

ამ ცნობიდან ვგებულობთ ხსენებული ტომებით დასახლებული ტერიტორიების თანმიმდევრობას აღმოსავლეთიდან დასავლეთით. მაგრამ სად მთავრდებოდა ერთი ტომის ტერიტორია და სად იწყებოდა მეორესი. ამის გარკვევა ამ ცნობის მეშვეობითაც ძნელია.

მივმართოთ „ანაბასისის“ კიდევ ერთ ადგილს: ტიბარენების მიწა-წყალზე, „როგორც მეგობრულ [ქვეყანაში], ორი დღის განმავლობაში იარეს და მივიდნენ ელინურ ქალაქში კოტიორაში სინოპელთა მიერ ტიბარენების ქვეყანაში დაარსებულ კოლონიაში“⁸³.

ქ. კოტიორა უკანასკნელი პუნქტია ბერძენი მოქიარვებების მარშ-რუტის იმ ნაწილისა, რომელსაც ჩვენ ვარკვევთ. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ანტიკური კოტიორა მდებარეობდა თანამედროვე ორდუს მიდამოებში. მაშასადამე, მოსინიკები, ხალიბები და ტიბარენები გირესუნსა და ორდუს შორის მოსახლეობდნენ. მაგრამ გირესუნი და ორდუ ერთიმეორესთან ისეთი დიდი მანძილით არ არის დაშორებული, რომ ბერძნებს ამ მანძილის დასაფარავად ათი დღე დასჭირებოდათ.

შესაძლებელია ხსენებული ტომების ადგილსამყოფელის რამდენადმე შინაგან დაზუსტება. ტიბარენების მიწა-წყალს ქსენოფონტი ასე აგვიწერს: „ტიბარენების ქვეყანა უფრო ვაკიანი იყო; იქ ზღვის სანაპიროზე მცირედ გამაგრებული სიმაგრეები მდებარეობდნენ“⁸⁴. მართლაც, ორდუს აღმოსავლეთით და დასავლეთითაც გადაშლილია ვაკე.

ზემომოტანილ ნაწყვეტში კონტექსტი—„ტიბარენების ქვეყანა უფრო ვაკიანი იყო“, როგორც ეს „ანაბასისიდან“ ირკვევა, ნიშნავს იმას, რომ ტიბარენებით დასახლებული ტერიტორია უფრო ვაკიანი იყო მოსინიკების ქვეყანასთან შედარებით⁸⁵. ამასთან დაკავშირებით უურადლებას იქცევს ერთი გარემოება. როდესაც ბერძნები მოსინიკების საზღვრებთან მივიდნენ და მოსინიკებმა ნება არ დართეს, მათ დაერღვიათ ეს საზღვარი, ბერძნებმა გადაწყვიტეს ამ ქვეყნის ბრძოლით გავლა. ამ საქმეში ბერძნებმა პირიქითელი მოსინიკების სახით მოკავშირეები იპოვეს⁸⁶. თუ გავიხსენებთ, რომ ტიბარენების ქვეყნისაგან განსხვავებით მოსინიკების ქვეყანა შედარებით მთავორიანი იყო, შეიძლება „პირიქითელი“ (ὁὶ ἐξ ἑσὶν ἑπείχευα) მთის გადაღმა მცხოვრებს ნიშნავდეს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბერძნები ზღვის სანაპიროს კი არ უნდა გაჰყოლოდნენ, არამედ ჭერ უნდა წასულიყვნენ

⁸³ Anab., V, 5, 3.

⁸⁴ Anab., V, 5, 2.

⁸⁵ Anab., V, 4, 1—34, V, 5, 1—2.

⁸⁶ Anab., V, 4, 2—3.

სამხრეთ-დასავლეთით—ქვეყნის შიდა მხარეებისაკენ, ხოლო შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით კოტიორისაკენ. სავარაუდოა, რომ ქვეყნის შიგნით, ახლანდელ ქ. მესუდიესა და თერმე-ჩაის სათავეებს შორის ბინადრობდნენ მოსიანიების მორჩილებაში მყოფი ხალიბები, აქედან კი იწყებოდა ტიბარენების ქვეყანა, რომელიც შავი ზღვის სანაპირომდე გრძელდებოდა.

ასე წარმოგვიდგება ქართველი ტომების განსახლება და მათ მიწა-წყალზე არსებული ადგილობრივი თუ ბერძნული ქალაქების ადგილმდებარეობა ქსენოფონტის „ანაბასისში“ არსებული მონაცემების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ როგორც უფრო ადრეული, ისე გვიანი წყაროების (ჰეკატე, ჰეროდოტე, სტრაბონი და სხვ.) ცნობათა ანალიზის შედეგად, როგორც ეს ნაწილობრივ ზემოთაც იყო ნაჩვენები, აღნიშნული ტომების განსახლება, ზოგადი ლოკალიზაციის თვალსაზრისით, ასეთსავე სურათს იძლევა. ქსენოფონტის ცნობები აზუსტებს ამ ლოკალიზაციას. მეორე მხრივ რიგ შემთხვევებში „ანაბასისში“ მოიხსენიება ისეთი ტომები ან გეოგრაფიული ერთეულები, რომელთა შესახებ ქსენოფონტამდე არავითარი ცნობები არ არსებობდა, ხოლო ზოგიერთის შესახებ არც გვიანმა წყაროებმა არაფერი იციან. ასე, მაგალითად, „ანაბასისში“ დამოწმებულია ჭოროხის უძველესი სახელწოდება ჰ ა რ პ ა ს ო ს ი. ეს სახელწოდება ჭოროხის ხეობაში ახლაც დასტურდება (იხ. ქვემოთ, შწმ. 30). ქსენოფონტი პირველია და უკანასკნელი, ვინც ერთ-ერთ კოლხურ ტომს ფასიანებს მდ. არაქსის სათავეებთან გვიდასტურებს. ამასთან მისი ცნობა, რომ არაქსის ზემო წელს ფ ა ს ი ს ი ეწოდებოდა, უძველესია. „ანაბასისის“ ცნობები სკვითინების და კარლუხების შესახებ უძველესი და ყველაზე ვრცელი ცნობებია. ხოლო გ ვ ი მ ნ ი ა ს ს, სკვითინების მთავარ ქალაქს, მხოლოდ „ანაბასისი“ იცნობს. დასასრულ: „ანაბასისი“, შეიძლება ითქვას, ანტიკურ წყაროთაგან ერთადერთია, რომელიც ტრაპეზუნტ-კერასუნტის მხარეში კოლხებს გვიმოწმებს.

ბ. ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრება „ანაბასისის“ მიხედვით

„ანაბასისში“ აისახა ქართველი ტომების საყოფაცხოვრებო თავისებურებებიც: დასახლებანი, ჩაცმულობა, შეიარაღება, სამეურნეო საქმიანობა და სხვა. მართალია, ყველა ეს მხარე ყოფისა, ერთნაირად არ არის გაშუქებული, მაგრამ ზოგადი სურათის აღდგენა მაინც ხერხდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცნობებს დასახლებათა შესახებ. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება არა მარტო ამა თუ იმ

ტომის განვითარების დონის განსაზღვრა, არამედ იმ ნაგებობათა გააზრებაც, რომელიც ან არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგადაა მიკვლეული, ან ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოგვინახა.

„ანაბასისში“ რამდენიმე სახის დასახლებაა მოხსენებული. მაგრამ ყველა მათგანი არ არის აღწერილი. ამიტომ ამ დასახლებათა ხასიათის გასარკვევად უნდა დავეყრდნოთ იმ ტერმინებს, რომლებითაც აღნიშნულია ესა თუ ის დასახლება. ეს ტერმინებია: *πῆλις*, *πῆλιςμυ*, *χάριον*, *ἄμμη*. ყველა სახის დასახლება ყოველ ტომთან როდი დასტურდება; ზოგიერთ მათგანთან თითქმის ყველა დასახლებას ეხდებით, ზოგთან კი ერთ ან ორ სახეობას მხოლოდ. ეს ერთის მხრივ. შეიძლება, იმას ნიშნავდეს, რომ ამა თუ იმ ტომის მიწა-წყალზე ლაშქრობის დროს ქსენოფონტმა მოიხსენია მხოლოდ ის დასახლებები, რომელიც ნახა, რაც სხვა ტიპის დასახლებათა არსებობაზეც მიუთითებს, ხოლო მეორე მხრივ შეიძლება, იმასაც, რომ ამა თუ იმ ტომს დასახლებათა გარკვეული სახეობა არ ჰქონდა საერთოდ, რაც უკვე სოციალ-ეკონომიური განვითარების დონეზე ამახვილებს ყურადღებას.

ზემოთ დასახელებული ტერმინებიდან ორი, *ἄμμη* და *πῆλις* გარკვეული სახის დასახლებებს უნდა გულისხმობდეს. ცხადია, რომ *ἄμμη* აღნიშნავს სოფლის ტიპის დასახლებას, სადაც მოსახლეობა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ეწევა. ეს სიტყვა ყველა ბერძენ მწერალთან სოფელს აღნიშნავს და ქსენოფონტიც ასეთივე შინაარსით ხმარობს მას. *Ἰάμμη* -ს უწოდებს, მაგალითად, ქსენოფონტი ქარღუხების, არმენიის და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქართველი ტომების სოფლებს, სადაც მოქირავნეთა არმია სურსათით მარაგდებოდა. *Ἰάμμη* იყო დასახლების ძირითადი სახეობა, რაზეც მეტყველებს მისი სიმრავლეც სხვა სახის დასახლებათა მიმართ.

იგივე უნდა ითქვას *πῆλις* -ის შესახებ. ეს ტერმინი „ანაბასისში“, განურჩევლად იმისა, ბერძნულ დასახლებას აღნიშნავს ის, თუ ადგილობრივს, გულისხმობს ქალაქს ისეთი გაგებით როგორც ეს ბერძნებს ესმოდათ, ე. ი. ისეთ დასახლებას, რომელიც წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკურ და საკულტო ცენტრს და შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან: შიდაქალაქი, გამაგრებული ნაწილი ქალაქისა ანუ აკროპოლისი და დანარჩენი ქალაქი, რომელიც ამ უკანასკნელის გარშემო იყო გაშენებული. ასეთი იყო ქსენოფონტის აღწერის თანახმად დრილების ქალაქი, რომელსაც იგი *πῆλις* -ს უწოდებს⁸⁷, და მოსი-

ნიკების ქალაქი, რომელიც მოიცავდა აკროპოლისს და სიმაგრეთა მთელ სისტემას⁸⁸. საგულისხმოა, რომ იშვიათი გამოჩაყლისის გარდა, (როგორც დრილების შემთხვევა) ყველა იმ დასახლების საკუთარი სახელია შენახული, რომელსაც ქსენოფონტი *πῶλις*-ს უწოდებს, მაშინ, როდესაც სოფლების და სხვა დასახლებების სახელები არაა დასახელებული. „ანაბასისში“, მაგალითად, დატულია სკვითინების დედაქალაქის სახელი *გ ვ ი მ ნ ი ა ს ი* (*Γυμνιάς*) და მოსინიკების დედაქალაქის სახელწოდების ბერძნული თარგმანი *მ ე ტ რ ო პ ო ლ ი ს ი* (*Μητροπολις*)⁸⁹.

თავისი ლაშქრობის მანძილზე ქსენოფონტს მრავალი ქალაქის გავლა მოუხდა და „ანაბასისში“ ყოველ მათგანს გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი. ამ ადგილების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ყველა ქალაქი ერთნაირი არ იყო. იმ განსაზღვრებათა მიხედვით, რომელსაც ქსენოფონტი იძლევა, ქალაქის რამდენიმე სახეობა შეიძლება გამოირჩეს: ქალაქი, რომელიც უბრალოდ *πῶλις*-ად იხსენიება, *πῶλις οἰκουμένη*—ხალხმრავალი, ან მკიდროდ დასახლებული ქალაქი, *πῶλις μεγᾶλη*—დიდი ქალაქი და *πῶλις οἰκουμένη καὶ μεγᾶλη καὶ ἐνδομίαν*—მკიდროდ დასახლებული (ან ხალხმრავალი), დიდი და მდიდარი ქალაქი.

მცირე აზიის ქალაქების დიდი უმრავლესობა „ანაბასისში“ მოიხსენიება როგორც *πῶλις*-ი. მხოლოდ ზოგიერთი ქალაქი იწოდება მკიდროდ დასახლებულ ქალაქად (*πῶλις οἰκουμένη*), ან დიდ ქალაქად (*πῶλις μεγᾶλη*). ხოლო მკიდროდ დასახლებულ, დიდსა და მდიდარ ქალაქს (*πῶλις οἰκουμένη καὶ μεγᾶλη καὶ ἐνδομίαν*) ქსენოფონტი მხოლოდ ოთხ ქალაქს უწოდებს.

ნიშანდობლივია, რომ ქსენოფონტი ცნობილ ბერძნულ ახალშენებს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე—კერასუნტს და კოტიორას უბრალოდ ქალაქებად (*πῶλις*) მოიხსენიებს. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან ტრაპეზუნტს იგი უწოდებს ხალხმრავალ ან მკიდროდ დასახლებულ ქალაქს (*πῶλις οἰκουμένη*), რითაც სურს, როგორც ჩანს,

⁸⁸ ანაბასისი, V, 4, 15, „ანაბასისში“ ერთადერთი ადგილია, სადაც *πῶλις*-ი ტერმინი *χῆριον*-ის შესატყვისად გვევლინება (ანაბასისი, V, 4, 31), მაგრამ, თუ ამ კონტექსტს ჩაუვკვირდებით, დავინახავთ, რომ *πῶλις*-ი ნახშირია სტილისტური მოსაზრებებით, რომ სიტყვა *χῆριον* არ განმეორებულებოდა. თუმცა ამ სიტყვების სტილისტური მოსაზრებით შეცვლის შესაძლებლობა იმ დასახლებათა საერთო ხასიათზე მეტყველებს, რომელსაც ორივე ტერმინი აღნიშნავს.

⁸⁹ შტრა. ანაბასისი, !V, 7, 19, V, 4, 15. იხ. აგრეთვე 267.

გადმოგვეცეს ის განსხვავება, რომელიც არსებობდა ტრაპეზუნტსა და სხვა ბერძნულ ახალშენებს შორის. არ არის გამორიცხული, რომ ტრაპეზუნტში მოსახლეობის სიმკიდროვე მის სიძველეზე მიუთითებდეს. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ სკვითინების მთავარი ქალაქი გვიმნიასი იწოდება ხალხმრავალ დიდ და მდიდარ ქალაქად (*πάλαι οἰκομαχία καὶ μαχάλη καὶ εὐδαμάου*). ასე განსაზღვრავს ქსენოფონტი მცირე აზიის მრავალ ქალაქთაგან კიდევ მხოლოდ სამს: დიდი ფრიგიის ქალაქებს კოლოსსა და კელენისს და ქ. დანას კაპადოკიაში. ცხადია, რომ იმ მრავალ ქალაქთაგან, რომელთა გავლა მოუხდა ქსენოფონტს თავის თანამემამულეებთან ერთად, ეს ოთხი ქალაქი ყველას წააცილებდა თავისი სიდიდით, სიმდიდრით და მოსახლეობის სიმრავლით, და ამის გამო იქნებ სიძველითაც. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის, რადგან სულ სხვაგვარად გვისახავს ცალკეული ქართველი ტომების განვითარების დონეს ასე ადრეულ ხანაში. აღსანიშნავია რომ გვიმნიასი, სადაც სკვითინების მმართველი იჯდა, იმდენად დიდი ქალაქი იყო, რომ მისი სიმდიდრის მიუხედავად ბერძენთა ათიათასიან არმიას თავშიც არ მოსვლია მისი აღება და გაძარცვა⁹⁰. სკვითინების დედაქალაქის სიდიდე და სიმდიდრე, სიმდიდრე მრავალრიცხოვანი სოფლებისა, რომელსაც ქსენოფონტი აგვიწერს, თავისებური მმართველობის ფორმა, რაზეც მმართველის (*ἀρχαυ*) არსებობა მეტყველებს, თვით ეთნიკური ტერმინის სკვითინის შინაარსი, სრულიად განსაკუთრებულ ინტერესს აღგვიძრავს ქართველი ტომების ამ მეტად საგულისხმოდ გაერთიანების მიმართ.

ქართველ ტომებთან სოფლისა და ქალაქის გარდა ქსენოფონტი სხვა სახის დასახლებულ პუნქტებსაც გვიდასტურებს, ესაა: *πάλισμα* და *χάρσιον*. პოლისმა თავისი ხასიათით ქალაქს უნდა უკავშირდებოდეს. ის რომ სოფელი არ არის, ცხადია, რადგან სოფლის აღსანიშნავად ქსენოფონტი ხმარობს ტერმინს *ἀμαή*, ის არ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სიმაგრე ან სხვა სახის გამაგრებული ადგილი, რადგან ასეთი პუნქტებისათვის „ანაბასისში“ გამოყენებულია სპეციალური ტერმინები: *χάρσιον*, *ἐξισμα*, *ὄχυσον*. ის, რა თქმა უნდა, არც ქალაქია, რადგან განსხვავებული ტერმინით არ იქნებოდა აღნიშნული.

⁹⁰ შტრ. ანაბასისი, IV, 7, 19, თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ისტორიისათვის (სკვითინები), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIX, № 5, 1957, გვ. 633—639.

პოლისმები დამოწმებულია ხალიბებთან⁹¹. ამ აღწერილობის მიხედვით პოლისმა ქალაქური ტიპის გამაგრებული დასახლება უნდა ყოფილიყო, თარგმანში ამ ტერმინის შესატყვისად ზოგჯერ დაბას ვმბარობთ.

ქალაქური ტიპის გამაგრებული დასახლება იყო ხორიონიცი (χάριον). ეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, იქედანაც ჩანს, რომ ერთგან⁹² ქსენოფონტი ტერმინებს *πῆλις* და *χάριον*, როგორც სინონიმებს ხმარობს. ხორიონი ისეთი გამაგრებული ადგილი კი არ არის, რომელსაც მართო ხიფათის დროს მიმართავენ ხოლმე, არამედ ისეთიც, სადაც მუდმივი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. ხორიონები, როგორც ჩანს, დამოუკიდებლადაც არსებობენ⁹³ და სიმაგრეთა რთული სისტემის ნაწილსაც შეადგენდნენ⁹⁴.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა მოსინიკებისა და დრილეების დასახლებათა დაკავშირებისა ამიერკავკასიის ციკლოპურ ნაგებობებთან⁹⁵. მაგრამ, ეს ცდა ფორმალური ხასიათისაა, რადგან ამახვილებს ყურადღებას ისეთ თავისებურებათა იგივეობაზე (დასახლებათა გაშენება მალლობებზე, მათი გალავნით შემოზღუდვა, შიდა ქალაქის ან შიდა სიმაგრის არსებობა დასახლების უმაღლეს ადგილზე და მისი გამოყოფა გალავნით მასთან დაკავშირებულ სხვა სიმაგრეთაგან და სხვა), რომლებიც დამახასიათებელია ამ ხანაში არა მართო სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთისა და ამიერკავკასიისათვის, არამედ გაცილებით უფრო ფართო წრისათვის ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით.

უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს აღნიშნული დასახლებების გაერთიანება, სააღმშენებლო კულტურისა და ტრადიციების კოლხურ წრეში, არა მართო ეთნიკური ნათესაობისა და მატერიალური კულტურის ერთიანობის მიხედვით, არამედ იმ ბუნებრივი და კლიმატური პირობების გამო, რომელთა საფუძველზე უნდა შექმნილიყო განსხვავებულ ხუროთმოძღვრებაზე და სააღმშენებლო ტექნიკაზე დამყარებული დასახლებები. ამას უპირველეს ყოვლისა აპირობებდა ერთის მხრივ კლიმატური პირობები და მეორე მხრივ ის გარემოება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთიც და კოლხეთიც გამოირჩეოდა საამშენ-

91 ანაბასისი, V, 7, 17.

92 ანაბასისი, V, 4, 31.

93 ანაბასისი, V, 4, 31; V, 5, 2.

94 ანაბასისი, V, 5, 23 და შმდ.

95 М. И. Максимова, Местное население юго-восточного причерноморья, ВДИ, 1951. № 1 стр. 255—257.

ნებლო ხე-ტყის უმდიდრესი მარაგით და აპიტომ აქაურ დასახლებებს და დიდ საქალაქო ცენტრებსაც კი მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე ხისგან აგებდნენ. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა ძველი ფასისის მიდამოებში გათხრილი ხის ნაგებობები, რომლებიც. ზოგადად, „ანაბასისში“ აღწერილი დასახლებების თანადროულია⁹⁶.

ამრიგად, ზემოთ მიმოხილული მასალიდან ჩანს, რომ ძვ. წ. V საუკუნის დასასრულისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ქართველ ტომებთან რამდენიმე სახის დასახლება არსებობდა. ამათგან უმაღლესი ტიპის დასახლება იყო ქალაქი, რომელიც, თუ ბერძნულ ახალშენებს არ ჩავთვლით, დამოწმებულია მხოლოდ სკვითინებთან, დრილებთან და მოსინიკებთან. ამ ტომებთან იხსენიება სხვაგვარი დასახლებებიც, მაგალითად, სოფელი და სიმაგრე, მაშინ როდესაც სხვებთან (მაგალითად, ხალიბებთან, ტიბარენებთან) მხოლოდ ერთი სახის ნახევრად სამხედრო დასახლებებთან გვაქვს საქმე. ცხადია, რომ ეს გარემოება მაჩვენებელი უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონისა, რომელზეც ძვ. წ. V ს. დასასრულს სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ცალკეული ტომები იმყოფებოდნენ.

„ანაბასისში“ ქართველი ტომების ყოფის ამსახველი სხვა ცნობებიც მოიპოვება. ჩვენ აღარ შევჩერდებით ისეთი ხასიათის ცნობების განხილვაზე, რომლებიც უშუალოდ შეეხება მათ ჩაცმულობას, შეიარაღებას, ზნე-ჩვეულებებს. დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია ამ მხრივ დიდძალი მასალა მოიძიოს. შევჩერდებით, მხოლოდ იმ ცნობებზე, რომლებიც მართალია არაპირდაპირ, მაგრამ ვფიქრობთ. ნათლად აშუქებენ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიის მრავალმნიშვნელოვან მოვლენას. ასეთ მოვლენათა რიცხვს ეკუთვნის მოქირავნობა. „ანაბასისიდან“ ვიგებთ, რომ ქართველი ტომების ერთი ნაწილი აქემენიდური სპარსეთის ჯარში მოქირავნებად (μισθοφόροι) მსახურობდა⁹⁷. საგულისხმოა, რომ ქართველი ტომები, რომელნიც სპარსეთის მორჩილებაში იმყოფებოდნენ და სამხედრო ბეგარის წესით მოვალენი იყვნენ სპარსეთის ჯარში ემსა-

⁹⁶ გათხრები აღნიშნული ნამოსახლარებისა ჯერ დასრულებული არ არის და არც უკვე აღმოჩენილი მონაპოვარია გამოქვეყნებულ. დაბეჭდილია მხოლოდ სავსე მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი მოკლე ანგარიშები. იხ. თ. შიქელაძე. ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961—1965 წწ. ჩატარებული სავსე მუშაობის ანგარიშები, სავსე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშებში, თბილისი, 1962, 1963, 1964, 1965 წწ.

⁹⁷ ანაბასისი, IV, 4, 18.

ხურათ, ახლა მოქირავნეებად გვევლინებიან. ეს ერთის მხრივ იმაზე მეტყველებს, რომ ძვ. წ. V ს. ბოლოს მათ მოპოვებული აქვთ თავისუფლება⁹⁸, ხოლო მეორე მხრივ იმ ძვრებზე, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდა მათ საშინაო ყოფაში. მოქირავნეობა შეიძლება გაჩენილიყო მაშინ, როდესაც გვაროვნული წყობილება დაშლას იწყებს და უმიწა-წყლოდ დარჩენილი თავისუფალი მეთემენი მიდიან საშოვარზე თავისი ქვეყნის გარეთ. მეორე მხრივ, გვაროვნული წყობილების რღვევასთან ერთად საფუძველი ეყრება 'ასაქონლო-ფულად ურთიერთობათა წარმოშობას. მოქირავნეობაში ეს მოვლენაც უნდა იყოს ასახული, რადგან მისი წარმოშობა ფულზე მოთხოვნილების გაჩენისა და ზრდის მაჩვენებელია⁹⁹.

იგივე მოვლენების ანარეკლი უნდა ჩანდეს პროქსენიაშიც. პროქსენიის ძირითადი მიზანი იყო კომერციული ურთიერთობის მოწესრიგება. უფრო ხშირად, ცალკეულ ქვეყნებს შორის¹⁰⁰. მართალია „ანაბასისში“ ასეთ ჰავაკრო ურთიერთობის რეგულირებაზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ მოხსენიება ტრაპეზუნტელი ტიმესითოსისა, რომელიც მოსინიკების პროქსენი იყო¹⁰¹ ამ ურთიერთობათა არსებობასა და მათი მომწესრიგებელი ინსტიტუტის გაჩენაზე მეტყველებს.

ამრიგად, „ანაბასისში“ ისეთმა მოვლენებმა ჰპოვეს ასახვა, რომლებსაც ისტორიული განვითარების კანონზომიერების თანახმად წინ უსწრებს და თან სდევს ხოლმე მწვავე სოციალური ბრძოლა. და საგულისხმოა, რომ „ანაბასისში“ ამ ბრძოლის ანარეკლიც აისახა აშკარად. მოსინიკებთან, მაგალითად, მიმდინარეობდა მწვავე სოციალური ბრძოლა, რომლის მიზეზი ასეა ახსნილი „ანაბასისში“: „ბრძოლა სწორედ (მეტროპოლისის) გამო სწარმოებდა, რადგან თვლიდნენ, რომ ვისაც იგი ეპყრა. ის იყო მთელი მოსინიკების ბატონ-პატრონი. ამბობდნენ, რომ [ამ ქალაქს მისი ახლანდელი მფლობელები] კანონიერად კი არა ფლობენ, არამედ თავისი უპირატესობა საერთო საქმელობელს დაპყრობით მოიპოვეს“¹⁰².

არანაკლებ საინტერესოა „ანაბასისის“ ის ადგილები, სადაც არეკლილია სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მოსახლეობის

98 შტრ, ანაბასისი, VII, 8, 25.

99 დაწვრილებით იხ. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისში“ დატული ერთი ცნობის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXI, № 2, 1958, გვ. 249—255.

100 დაწვრილებით იხ. შნშ. 58.

101 ანაბასისი, V, 4, 1.

102 ანაბასისი, V, 4, 15, ხაზი ჩენია.

ურთიერთობა ბერძნულ ახალშენებთან. ამ მხრივ საგულისხმო მასალან იძლევა სინოპის ელჩის ჰეკატონიმეს სიტყვა¹⁰³, საიდანაც კარგად ჩანს ბერძნული კოლონიზაციის დაპყრობითი ხასიათი და მეტროპოლიასა და ცალკეულ ახალშენებს შორის ურთიერთობის, თუ შეიძლება ითქვას, კოლონიური არსი.

„ანაბასისში“ შეიძლება მიგვეთითებინა კიდევ არა ერთი და ორი ადგილი, სადაც შუქი ეფინება სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიის მრავალ საკითხს: ეს იქნება ცალკეულ ტომებთან პოლიტიკური მმართველობის ფორმის საკითხი, სოციალური დიფერენციაციის საკითხი, რელიგიური წარმოდგენების საკითხი თუ სხვა. მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი მცირე მიმოხილვაც ნათელს ხდის, რომ საქართველოს ისტორიის უცხოურ წყაროთა შორის ქსენოფონტის „ანაბასისს“ სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის. ის არის ერთი უძველესი წყაროთაგანი, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრება შედარებით სრულადაა წარმოდგენილი და ამასთან არა განცალკევებით, არამედ მიმდინარე ისტორიულ მოვლენებთან კავშირში. „ანაბასისი“ ეკუთვნის თვითმხილველ ავტორს, რომლის პოლიტიკურ ინტერესებსაც და შემოქმედებით მრწამსაც არაფერი ჰქონდა საერთო სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მოსახლეობასთან. ამ მხრივაც ის ცალკე დგას სხვა საისტორიო თხზულებათა შორის, როგორც სრულიად შეუცვლელი საისტორიო წყარო, ურომლისოდაც ჩვენი ცოდნა დამყარებული იქნებოდა მხოლოდ სათუო, ადვილად დასარღვევ მიხვედრებზე.

4. „ანაბასისის“ ტექსტისათვის

წინამდებარე ბერძნული ტექსტი „ანაბასისისა“ ამოღებულია გ. გემოლის ცნობილი გამოცემიდან: Xenophontis Expositio Cyri Iterum recensuit Guilelmus Gemoll, editio maior, MCMIX, Lipsiae in aedibus B. G. Teubneri. მართალია, არსებობს შედარებით ახალი პუბლიკაციები „ანაბასისის“ ტექსტისა, მაგრამ გ. გემოლის აღნიშნული გამოცემა ჩრჭერობით ყველაზე აკადემიურ გამოცემად რჩება.

ჩვენ გამოცემაში შევიდა „ანაბასისის“ მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც შეეხებიან ქართველ ტომებს ან ავგიწერენ ბერძენი მოქირავნეების ლაშქრობას ამ ტომებით დასახლებულ ქვეყნებში. იმ მიზნით, რომ ქსენოფონტის თხრობის საერთო ქარგა არ დარღვეულიყო და

¹⁰³ ანაბასისი, V, 5, 8—12.

ცალკეული ნაწყვეტები ერთიმეორისათვის დაგვეკავშირებინა ტექსტში ჩავრთეთ „ანაბასისის“ გამოტოვებული თავებისა და პარაგრაფების მოკლე შინაარსები.

ბერძნული ტექსტის თარგმნისას ვცდილობდით ქართული თარგმანი მაქსიმალურად მიგვეახლოვებინა ორიგინალისათვის. ასეთმა ტენდენციამ გარკვეული გავლენა მოახდინა ქართული თარგმანის სტილზე. ქართული ტექსტი მკითხველისათვის გასაგები რომ ყოფილიყო თარგმანში ალაგ-ალაგ ისეთი სიტყვების და ზოგჯერ მთელი ფრაზების შეტანა მოგვიხდა, რომელთა შესატყვისი ორიგინალში არ მოიპოვება. ასეთი სიტყვები თარგმანში კვადრატული ფრჩხილებით გვაქვს გამოყოფილი. ბერძნულ ტექსტშიც არის ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები, რომლებიც გადამწერებს გამორჩენიათ, ხოლო გამომცემელს აზრის გასამართლად შეუტანია. ასეთი ადგილებიც კვადრატული ფრჩხილებითაა გამოყოფილი. მათი თარგმანიც შესაბამისად კვადრატულ ფრჩხილებში გვაქვს მოქცეული. ქართულ თარგმანში ჩვეულებრივი ფრჩხილებით გამოვყავით ზოგიერთი პარაგრაფი (მაგალითად, V, 5, 4, VII, 8, 25), რომელნიც გამომცემელს ძირითადი ტექსტიდან გამოყოფილი აქვს, როგორც მერმინდელი ჩანართები. რაკი ეს ჩანართები არათუ არღვევს „ანაბასისის“ თხრობას, არამედ ავსებს მას, მისგან გამომდინარეობს, აჯამებს თხრობის ცალკეულ ნაკვეთებს და საგულისხმო ცნობებსაც შეიცავს, საჭიროდ ვცანით მათი შეტანა ჩვენს გამოცემაში და ქართულად თარგმნა.

შესავალ წერილში ლათინური მითითება „ანაბასისისა“ გულისხმობს გ. გემოლის მიერ გამოცემულ ტექსტს, ქართული მითითება კი—წინამდებარე პუბლიკაციას.

ბერძნული ტექსტის და შესაბამისად ქართული თარგმანის წიგნებად, თავებად და პარაგრაფებად დაყოფა მთლიანად იმეორებს გ. გემოლისეულ გამოცემაში მიღებულ დანაწილებას.

၀၅၂၆၀၀

„ანაბასისის“ პირველ სამ წიგნში მოთხრობილია ლიდიის სატრაპის კიროსის ლაშქრობის ამბავი მისი ძმის სპარსეთის მეფის არტაქსერქსე II წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა განხორციელდა ძვ. წ. 401 წლის ადრეულ გაზაფხულზე. ბრძოლა მოწინააღმდეგეთა შორის ბაბილონის მახლობლად გაიმართა. კიროსი მოკლეს ამ ბრძოლაში და მისი არმია დაიშალა. კიროსის ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა 10000-ზე მეტი ბერძენი მოქირაუნე, მათ შორის „ანაბასისის“ ავტორი ქსენოფონტი. ბაბილონთან კიროსის არმიის დამარცხების შემდეგ ბერძენი მოქირაუნეები მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდნენ და იძულებული გახდნენ ბრძოლით გაეკაფათ გზა შავ ზღვაზე არსებული ბერძნული პოლისებისაკენ და შემდეგ ელაღისაკენ. შავი ზღვისაკენ მსვლელობის დროს ბერძენთა არმიას მოუხდა ქართველი ტომებით დასახლებული მხარეების გავლა. „ანაბასისის“ მესამე წიგნის უკანასკნელ თავში იწყება სწორედ შავი ზღვისკენ ბერძენთა მსვლელობის აღწერა. აქვე ჩნდება ცნობები კარღუხების შესახებ, რომელთა მიწა-წყალზეც ბერძენები მივიდნენ. მაგრამ, ვიდრე კარღუხების ქვეყანაში შევიდოდნენ, ბაბილონის მახლობლად დაბანაკებული ბერძენთა არმიის სტრატეგოსები შეიკრიბნენ, თავი მოუყარეს ტყვეებს, რომელნიც ხელთ იგდეს სპარსელებთან შეტაკების დროს, და დაუწყეს დაკითხვა იმ მიზნით, რომ შეეკრიბათ მათგან ცნობები გარშემო არსებული ქვეყნების შესახებ.

III, 5

15 ... οἱ δὲ ἔλεγον οὕτως τὰ πρὸς
 μισσημύριαν τῆς ἐπὶ βαβυλωνῶνα
 εἴη καὶ Μηδῖαν, οὗ ἡσπερ ἦκοι-
 εν, ἡ δὲ πρὸς ἔω ἐπὶ Σουσά τε
 καὶ Ἐκβάτανα φέροι, ἔνθα
 φερῆζειν λέγεται βασιλεύς, ἡ
 δὲ διαβάντι τὸν ποταμὸν πρὸς
 ἑσπέραν ἐπὶ Λυδῖαν καὶ Ἰωνίαν
 φέροι, ἡ δὲ διὰ τῶν ὀρέων καὶ
 πρὸς ἄρχτον τετραμμένη οὕτως
 16 εἰς Καρδούχους ἄγιοι. τούτους
 δὲ ἔφασαν οἴκειν ἀνὰ τὰ ὄρη
 καὶ πολεμικοὺς εἶναι, καὶ βα-

III, 5

15 ...მათ* უთხრეს, რომ სამხრე-
 თითი არის [გზა] ბაბილონისა¹
 და მიდიისაკენ² სწორედ ის,
 რომლითაც [ელინები] მოვიდ-
 ნენ. აღმოსავლეთით [გზა] სუ-
 ზასა³ და ეკბატანაში⁴ მიემარ-
 თება; ამბობენ, რომ აქ მეფე
 ზაფხულს ატარებს. [გზა] და-
 სავლეთით, თუ მდინარეს გა-
 დახვალთ, მიდის ლიდიასა⁵ და
 იონიაში⁶. მთებზე [მიმავალი]
 გზა კი, ჩრდილოეთით რომაა
 16 მიმართული, კარღუხებთან მი-

* ე. ი. ტყვეობა.

სილῆως οὐκ ἀκούειν, ἀλλὰ καὶ ἐμψάλειν ποτε εἰς αὐτοὺς βασιλικὴν στρατιὰν δῶδεκα μυριάδας· τούτων δ' οὐδ' ἐν' ἀπονοστήσῃσι διὰ τὴν δυσχαρίαν. ὁπότε μέντοι πρὸς τὸν σατραπὴν τὸν ἐν τῷ πεδίῳ σπείσαιντο, καὶ ἐπιμειγνύσθαι σφῶν τε πρὸς ἐκείνους καὶ ἐκείνων πρὸς ἑαυτούς. ἀκούσαντες ταῦτα οἱ στρατηγοὶ ἐκάθισαν χωρὶς τοὺς ἑκαστὰ χόσε φάσκοντας εἰδέναι, οὐδὲν [δὲ] δῆλον ποιήσαντες ἕποι πορεύεσθαι ἔμελλον. εἰδοὶ δὲ τοὺς στρατηγοὺς ἀναγκαῖον εἶναι διὰ τῶν ὁρέων εἰς Καρδούχους ἐμβάλλειν· τούτους γὰρ διελθόντας ἔφασαν εἰς Ἡερμενίαν ἵξῃν, ἧς Ὀρόντας ἦρχε πολλῆς καὶ εὐδαίμονος.

IV, 1

2 ...ἐπεὶ δὲ ἀφίκοντο ἔνθα δ μὲν Τίγρης ποταμὸς παντάπασιν

* ე. ო. კარღუხები.
 ** ე. ო. სპარსელებთან.

გიყვანთ. ისინი, უთხრეს [ტყვევებმა], ცხოვრობენ მთებში, მეომარი ხალხია და მეფეს⁷ არ ემორჩილებიან. როგორღაც მათ თავს დაესხა მეფის 120 000-ანი ჯარი და [კარღუხების ქვეყნის] მიუვალობის გამო მათგან უკან არავინ დაბრუნებულა. მაგრამ როცა კი [კარღუხები] ხელშეკრულებას სდებენ სატრაპთან ბარში, ისინი* ურთიერთობას აბამენ იმათთან**, ხოლო ეს უკანასკნელნი მათთან.

17 სტრატეგოსებმა⁸ მოისმინეს ეს და მოათავსეს ცალ ცალკე [ის ტყვეები], რომელნიც ამბობდნენ, რომ მათ იციან [გზებში] ყველა მიმართულებით, მაგრამ ნათლად არ ამჟღავნებდნენ საით აპირებდნენ [ელინების] წაყვანას. სტრატეგოსების გადაწყვეტილებით აუცილებელი იყო მთების [გადალახვა და] კარღუხებზე თავდასხმა, რადგან [ტყვეები] ამბობდნენ, რომ ამ [ქვეყნის] გავლის შემდეგ ისინი მივლენ არმენიაში — დიდსა და მდიდარ ქვეყანაში, რომელსაც ორონტი მართავდა.

IV, 1

2 ...როცა [ელინები] მივიდნენ იქ, სადაც მდინარე ტიგროსის

ἀπορος ἦν διὰ τὸ βᾶθος καὶ
 μέγεθος, πάροδος δὲ οὐκ ἦν,
 ἀλλὰ τὰ Καρδούχεια ὄρη ἀπό-
 τομα ὑπὲρ αὐτοῦ τοῦ ποταμοῦ
 ἐκρέματο, ἐδόχε: ὃη τοῖς στρα-
 τηγοῖς διὰ τῶν ὀρέων πορευ-
 3 τέον εἶναι. ἦκουσαν γὰρ τῶν
 ἀλισχομένων ὅτι εἰ δ:έλθοιεν
 τὰ Καρδούχεια ὄρη, ἐν τῇ
 ἸΑρμενίᾳ τὰς πηγὰς τοῦ Τίγ-
 ρητος ποταμοῦ, ἦν μὲν βούλ-
 ωνται, διαβήσονται, ἦν δὲ μὴ
 βούλωνται, περιίασιν. καὶ τοῦ
 Εὐφράτου δὲ τὰς πηγὰς ἐλέ-
 γετο οὐ πρόσω τοῦ Τίγρητος
 εἶνας:, καὶ ἔστιν οὕτως ἔχον.

§ 4—7-ში აღწერილია თუ როგორ შეიქმნენ ელინები გათენებისას კარლუხების ქვეყანაში.

8 Ἐνθα δὴ οἱ μὲν Καρδοῦχοι
 ἐκλιπόντες τὰς οἰκίας ἔχοντες
 καὶ γυναῖκας καὶ παῖδας ἔφευ-
 γον ἐπὶ τὰ ὄρη. τὰ δὲ ἐπιτή-
 ρεῖα πολλὰ ἦν λαμβάνειν, ἦσαν
 δὲ καὶ χαλκῶμασι παμπούλοις
 κατεσκευασμένοι αἱ οἰκίαι, ὧν
 οὐδὲν ἔφερον οἱ Ἕλληνες, οὐδὲ
 τοὺς ἀνθρώπους ἐδίωκον, ὑπο-
 φειδόμενοι, εἰ πως ἐπιελήσειαν
 οἱ Καρδοῦχοι διέναι αὐτοὺς
 ὧς διὰ φιλίας τῆς χώρας,
 ἐπεὶ περ βασιλεῖ πολέμοιο ἦσαν.

9 τὰ μέντοι ἐπιτήρεια ὄρη τις

5. თ. მიქელაძე

გადალახვა შეუძლებელი იყო
 მისი სიღრმისა და სიგანის გა-
 მო და სადაც არც ნაპირ-ნაპირ
 შეიძლებოდა სიარული, რად-
 გან ზედ მდინარეზე კარლუხე-
 ბის მთები ჩამოწოლილიყვნენ,
 ელინებმა მთების გადალახვა
 3 გადაწყვიტეს⁹. [ელინებმა]
 ტყვეებისაგან გაიგეს, რომ თუ
 ისინი შეძლებენ კარლუხების
 მთების გადალახვას და მდინა-
 რე ტიგროსის სათავეებზე გა-
 დასვლას, მივლენ არმენიაში.
 ხოლო თუ [ტიგროსის სათა-
 ვეებზე გადასვლას] არ მოინ-
 დომებენ, შემოუვლიან მათ
 გარშემო. ამბობდნენ, თითქოს
 ეფრატის სათავეები ტიგროსი-
 საგან შორს არ არის, რაც მარ-
 თალი გამოდგა.

8 ...კარლუხებმა¹⁰ მიატოვეს თა-
 ვისი სახლკარი და ცოლ-შვილ-
 თან ერთად მთებში გაიხიზნენ.
 აქ [ელინები] დიდძალ სურსათს
 წააწყდნენ; სახლებში ბევრი
 იყო ბრინჯაოს ნივთები¹¹, მაგ-
 რამ ელინებს არც ერთი არ წა-
 უღიათ. ისინი არც ხალხს
 სდევნიდნენ და იბდობდნენ
 მათ იმ იმედით, რომ კარლუხე-
 ბი ნებას მისცემენ [ელინებს]
 გაიარონ მათი მიწა-წყალი,
 როგორც მეგობრული ქვეყა-
 ნა, რადგან ისინი მეფის მტრე-

ἐπιτυγχάνοι ἐλάμβανεν ἀνάγκη γὰρ ἦν. οἱ δὲ Καρδοῦχοι οὐτε καλούντων ὑπήκουον οὐτε ἄλλο
 10 φιλικὸν οὐδὲν ἐποίουν. ἐπεὶ δὲ οἱ τελευταῖοι τῶν Ἑλλήνων κατέβαινον εἰς τὰς κώμας ἀπὸ τοῦ ἄκρου ἡδῆ σκοταῖοι—διὰ γὰρ τὸ στενὴν εἶναι τὴν ὁδὸν ὄλην τὴν ἡμέραν ἢ ἀνάβασις αὐτοῖς ἐγένετο καὶ κατὰβασις [ἐγένετο]—τότε δὴ συλλεγέντες τινὲς τῶν Καρδοῦχων τοῖς τελευταίοις ἐπετίθειντο, καὶ ἀπέκτεινάν τινας καὶ λίθοις καὶ τοξέμασι κατέτρωσαν, ὀλίγοι δυντες ἐξ ἀπροσδοκῆτου γὰρ αὐ-
 11 τοῖς ἐπέπεσε τὸ Ἑλληνικόν. εἰ μὲντοι τότε πλείους συνελέγησαν ἐκινδύνευσεν ἄν διαφθαρήναι πολὺν τοῖς στρατεύματός. καὶ ταύτην μὲν τὴν νύκτα οὕτως ἐν ταῖς κώμας ἡσλίσθησαν· οἱ δὲ Καρδοῦχοι πυρὰ πολλὰ ἔκαιον κύκλῳ ἐπὶ τῶν ὀρέων καὶ συνεβόων ἀλλήλους.

9 ბი იყვნენ. სურსათი კი ყოველ მათგანს მიჰქონდა სადაც კი ნახავდა, რადგან ეს აუცილებელი იყო. [მიუხედავად იმისა, რომ ელინები] ეძახდნენ კარლუხებს, [ისინი] არ მოდიოდნენ და საერთოდ არაფრით არ აშეუღვენებდნენ თავის კეთილ განწყობას [ელინების მიმართ].
 10 როცა უკანასკნელი ელინი [მეომრები] მთის მწვერვალიდან სოფლებში ეშვებოდნენ, უკვე დაბინდებული იყო, რადგან გზის სივიწროვის გამო, ასვლას და დაშვებას მთელი დღე მოუხდნენ; სწორედ მაშინ შეგროვდნენ კარლუხები და თავს დაესხნენ მათ. [კარლუხებმა] ქვებითა და ისრებით მოკლეს და დააშავეს რამდენიმე კაცი; ისინი ცოტანი იყვნენ, რადგან ელინების [ჯარის] მოსვლას არ
 11 მოელოდნენ. უფრო მეტნი რომ ყოფილიყვნენ, ჯარის უდიდესი ნაწილი ალბათ დაიღუპებოდა. ეს ღამე ელინებმა ასე გაატარეს სოფლებში. კარლუხები კი გარშემო მთებზე ანთებდნენ მრავალ კოცონს და გასძახოდნენ ერთიმეორეს.

§ 12—15: მეორე დღეს გათენებისთანავე მოჰირანეთა არმიამ განაგრძო გზა. ბერძნები მთელი დღე მიდიოდნენ. დროდადრო მათ ბრძოლა უხდებოდათ. მესამე დღეს ამოვიარა საშინელი ქარბუქი, მაგრამ ბერძნები იძულებული იყვნენ განეგრძოთ გზა, რადგან სურსათი ელეოდათ.

15 ...Καὶ ἤγειτο μὲν Χειρίσοφος, ὠπισθοφυλάκει δὲ Ξενοφῶν.
 16 καὶ οἱ πολέμιοι ἰσχυρῶς ἐπε-

15 ...ქეირისოფოსი¹² მიუძლოდა [მეწინავეთ], ხოლო ქსენოფონტი არიერგარდში მიდიოდა.

τίθεντο, καὶ στενῶν ζυγῶν τῶν
 χαρῶν ἐγγύς προσιόντες ἐτό-
 ξησον καὶ ἐσφενδόνων· ὥστε
 ἦναγκάζοντο οἱ "Ἕλληγες ἐπι-
 διώκοντες καὶ πάλιν ἀναγá-
 ζοντες σχολῆ πορεύεσθαι· καὶ
 θάμινά παρήγγελλεν ὁ Ξενοφῶν
 ὑπομένειν, ὅτε οἱ πολέμιοι ἰσχυ-
 ρῶς ἐπικέοιντο..

16 მტრები მეტისმეტად ეძალე-
 ბოდნენ. სიმაგრე ვიწრობში
 მდებარეობდა და [ისინიც] ას-
 ლო მიდიოდნენ [ელინებთან],
 ესროდნენ მათ ისრებს და
 შურდულით — ქვებს. ელინე-
 ნებიც უტევდნენ მათ და შემ-
 დეგ კვლავ იხევდნენ უკან,
 რის გამოც იძულებული იყვ-
 ნენ ნელა ეარათ. როცა მტრე-
 ბი ქსენოფონტს განსაკუთრე-
 ბით ავიწროებდნენ, იგი მოით-
 ხოვდა ხოლმე, რომ შეჩერე-
 ბულიყვენენ...

§ 17—28: ბერძნები მიადგნენ ერთადერთ გზას, რომელიც მთის მწვერვალის-
 კენ მიემართებოდა. მთის მწვერვალზე კი კარდუხებს მოეყარათ თავი. ბერძნები
 იძულებული გახდნენ სხვა გზა ეძებნათ. ერთ-ერთმა ტყვემ უთხრა მათ, რომ არის სხვა
 გზაც, რომელიც მთის მწვერვალს ჩაუვლის. თუ ეს უკანასკნელი ვინმემ დაიკავა,
 შეუძლებელი იქნება ამ გზაზე გავლა. მაშინ სტრატეგოსებმა მოიძიეს მოხალე-
 სეები, რომელთაც წინასწარ უნდა დაეკავებინათ მწვერვალი და ამით უზრუნვე-
 ლეყოთ ელინების მშვილობიანი მსვლელობა.

IV, 2

IV, 2

1 Καὶ ἦν μὲν δείλη, οἱ δ' ἐκέ-
 λευσον αὐτοὺς ἐμφαγόντας πο-
 ρεύεσθαι. καὶ τὸν ἡγεμόνα δῆ-
 σαντες παραδιδοάσιν αὐτοῖς,
 καὶ συντίθενται τὴν μὲν νύκτα,
 ἦν λάβωσι τὸ ἄκρον, τὸ χαρῶν
 φυλάττειν, ἅμα δὲ τῆ ἡμέρα
 τῆ σάλπιγγι σημαίνειν· καὶ τοὺς
 μὲν ἄνω θντας ἰέναι ἐπὶ τοὺς
 κατέχοντας τὴν φανεράν ἔκβα-
 σιν, αὐτοὶ δὲ συμβοηθήσειν
 ἐκβαίοντες ὡς ἄν δύνωνται τά-
 2 χιστα. ταῦτα σομφόμενοι οἱ μὲν

1 როცა მოსალამოვდა [ხეირი-
 სოფოსმა და ქსენოფონტმა]
 უბრძანეს მათ¹ სახელდახელოდ
 ევაზმშათ და წასულიყვენენ. მათ
 გადასცეს აგრეთვე შეკოჭილი
 მეგზური და შეუთანხმდნენ,
 რომ თუ [ისინი] ღამით მწვერ-
 ვალს დაიკავებენ და დაიცავენ
 სიმაგრეს, ხოლო გათენებისთა-
 ნავე საყვირით მისცემენ დარ-
 ჩენილებს ნიშანს, მაშინ მწვერ-
 ვალზე მყოფნი თავს დაესხმიან
 [იმათ, ვისაც] ხელთ აქვთ გა-

¹ ე. ი. მოხალისეებს.

3 ἔπορεύοντο πληθὺς ὡς δισχιλί-
 λιοι· Καὶ ἕδωρ πολὺ ἦν ἐξ
 οὐρανοῦ· Ξενοφῶν δὲ ἔχων τοὺς
 ὀπισθοφύλακας ἤγειτο πρὸς τὴν
 φανεράν ἐκβασιν, ὅπως ταύτη
 τῇ ὁδοῦ οἱ πολέμοιοι προσέχουσιν
 τὸν νοῦν καὶ ὡς μάλιστα λά-
 3 θοιοὶν οἱ περιόντες. ἔπει δὲ
 ἦσαν ἐπὶ χαράδρῳ οἱ ὀπισθοφύ-
 λακες ἦν ἔδοι διαβάντας πρὸς
 τὸ ὄρθιον ἐκβαίνειν, τηρικαῦ-
 τα ἐκυλίνδουν οἱ βάρβαροι ὀλοι-
 τρόχους ἀμαξιαίους καὶ μείζους
 [καὶ ἐλάττους], οἱ φερόμενοι
 πρὸς τὰς πέτρας πταίνοντες διε-
 σφενδονῶντο· καὶ πατάσασιν
 οὐδὲ πελάσαι οἶόν τ' ἦν τῇ
 4 εἰσόδοῦ. ἔνιοι δὲ τῶν λοχαγῶν,
 εἰ μὴ ταύτη δύναιντο, ἄλλῃ
 ἐπειρῶντο· καὶ ταῦτα ἐποίουν
 μέχρι σκότος ἐγένετο· ἔπει δὲ
 ᾤοντο ἀφανεῖς εἶναι ἀπίοντες,
 τότε ἀπῆλθον ἐπὶ τὸ δεῖπνον·
 ἐτύγχανον δὲ καὶ ἀνάριστοι
 ὄντες [αὐτῶν οἱ ὀπισθοφυλα-
 κῆσαντες]. οἱ μέντοι πολέμοιοι
 οὐδὲν ἐπαύσαντο δι' ἄλλης τῆς
 νυκτὸς κυλινδούντες τοὺς λί-
 θους. τεκμαίρεσθαι δ' ἦν τῷ
 φόρῳ.

დასასვლელი, რომელიც მო-
 ჩანს, დანარჩენები კი რაც შე-
 იძლება სწრაფად წამოვლენ
 2 მათ საშველად. შეთანხმდნენ
 თუ არა ასე, დაახლოებით 2000
 კაცამდე [მოხალისე] მაშინვე
 გაემართა. დიდი წვიმა მო-
 დიოდა. ქსენოფონტი გაუძღ-
 ვა არიერგარდს წინ აღმართუ-
 ლი უღელტეხილისაკენ, რათა
 მტრებს ამ გზის მიმართ გაემა-
 ხვილებინათ ყურადღება და არ
 3 შეემჩნიათ შემოვლით მიმავალ-
 ნი. მაშინ, როდესაც არიერ-
 გარდი მიუახლოვდა ხრამს,
 რომელიც უნდა გადაეარათ
 აღმართზე ასასვლელად, ბარბა-
 როსებმა დაიწყეს იმოდენა
 ქვების დაგორება, რომ [თითო
 ქვა] ერთ ურემს აავსებდა, [ავ-
 ორებდნენ] უფრო დიდ ქვებს
 [და უფრო მომცროსაც]. ქვები
 ეხეთქებოდნენ კლდეებს, იმ-
 სხვრეოდნენ და ამიტომ ყოვე-
 ლად შეუძლებელი იყო ხრამ-
 4 თან მიახლოვება. ლოხავოსთა-
 გან ზოგიერთმა [დაინახა, რომ
 იქ გავლა] შეუძლებელია [და
 შეეცადა] სხვაგან გასულიყო.
 [ამ ცდაში იყვნენ ისინი] ვიდ-
 რე არ დაბნელდა. ხოლო, რო-
 ცა მათი აზრით მოწინააღმდე-
 გე მათ წასვლას ვერ შეამჩნევ-
 და, ისინი სასადილოდ გაემარ-
 ნენ. [არიერგარდის მეომრებს
 შორის ისეთებიც] იყვნენ, ვი-
 საც საუზმეც კი [არ] ჰქონდა

[ნაქამი]. მტრები კი მთელი ღამე სმაურობდნენ და აგორებდნენ ქვებს, რასაც გრიალი მოწმობდა.

§ 5—6: ამასობაში მოხალისეთა რაზმი, რომელიც შემოვლით მიდიოდა მწვერვალის დასაკავებლად, წააწყდა დარაჯებს. ელინებმა გარეკეს დარაჯები და ეგონათ, რომ ხელთ იგდეს მწვერვალი. მაგრამ ისინი შეცდნენ, რადგან მათ დაჰყურებდა მთა, სადაც იდგნენ მოწინააღმდეგის რაზმები და იცავენენ იმ გზას, რომელიც ელინებს ესაქიროვბოდათ.

7 ... Καὶ τὴν μὲν νύκτα ἐνταυθα διήγαγον· ἐπεὶ δ' ἡμέρα ὑπέφαινε, ἐπορεύοντο σιγῇ συντεταγμένοι ἐπὶ τοὺς πολεμίους· καὶ γὰρ ὀμίχλη ἐγένετο, ὥστ' ἔλαθον· ἐγγύς προσελθόντες· ἐπεὶ δὲ εἶδον ἀλλήλους, ἦ τε σάλπιγξ ἐφθίεχθετο καὶ ἀλαλάξαντες ἔεντο ἐπὶ τοὺς ἀνθρῶπους. οἱ δὲ οὐκ ἐδέξαντο, ἀλλὰ λιπόντες τὴν ὁδὸν φεύγοντες ὀλίγοι ἀπεθνήσκον· εὐζῶνοι γὰρ ἦσαν...

§ 8—9: ქვირილობისის რაზმი პირველი შეუერთდა მოხალისეებს. ქსენოფონტმა კი არიერგარდი ორად გაჰყო: ერთი ნაწილი ალაღს წინ გაუძღვა, ხოლო მეორე უკან მიჰყვებოდა.

10 ... Πορεύομενοι δ' ἐντυγχάνουσι λόφῳ ὑπὲρ τῆς ὁδοῦ κατελιγμένῳ ὑπὸ τῶν πολεμίων, ὁδὸς ἡ ἀποκόψαι ἦν ἀνάγκη ἢ διεξελθῆναι ἀπὸ τῶν ἄλλων Ἑλλητῶν· καὶ αὐτοὶ μὲν ἄν ἐπορεύθησαν ἡπερ οἱ ἄλλοι, τὰ δὲ ὑποζύγια οὐκ ἦν ἄλλη ἢ ταύτη·
11. ἐκβῆγαί. ἔνθα δὴ παρακελευ-

7 ...[ელინებმა] ღამე იქ გაატარეს. ხოლო როცა ინათა, უხმოდ საბრძოლო წყობილებაში გაემართნენ მტრის წინააღმდეგ. ჩამოწვა ნისლი და ამის გამო [ისინი მტერს] შეუძინველად მიუახლოვდნენ, ხოლო როცა [მოწინააღმდეგეებმა] ერთიმეორე შეამჩნიეს, [ელინებმა] დასცეს საყვირი და საბრძოლო ყიჟინა და ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. მან ვერ გაუძლო ელინების იერიშს], მიატოვა გზა და გაიქცა. დაიღუპნენ ცოტანი, რადგან ისინი ძალიან მარდები იყვნენ...

10 ...წინ მიმავალნი წააყდნენ ამალეებულ ადგილს, [რომელიც] გზას ზემოდან [დაჰყურებდა] და დაკავებული იყო მტრების მიერ. სხვა გზა არ იყო, ან [მტრები] უნდა გამოედევნათ, ანდა დანარჩენ ელინებს უნდა მოწყვეტოდნენ. შეიძლებოდა იმ გზით წასვლა, რომლითაც

σάμενοι ἀλλήλοις προσβάλλουσι
 πρὸς τὸν λόφον ὀρμίζουσιν τοῖς
 λόχοις, οὐ κύνῃ ἀλλὰ κατα-
 λιπόντες ἄφοδον τοῖς πολεμίοις,
 12 εἰ βούλονται φεύγειν. καὶ τῶς
 μὲν αὐτοὺς ἀναβαίνοντας ὄπη
 ἐδύναντο ἕκαστος οἱ βάρβαροι
 ἐτόξευον καὶ ἔβαλλον, ἐγγὺς
 δ' οὐ προσέειπτο, ἀλλὰ φυγῆ
 λέιπousι τὸ χωρίον. καὶ τοῦτόν
 τε παρεληλύθεισαν οἱ Ἕλληνας
 καὶ ἕτερον ὀρῶσιν ἔμπροσθεν
 λόφον κατεχόμενον ἐπὶ τοῦτον
 13 αὐτοῖς ἐδόκει πορεύεσθαι. ἐν-
 νοήσας δ' ὁ Ξενοφῶν μὴ, εἰ
 ἔρημον καταλείποι τὸν ἑαλωκότα
 λόφον, [καὶ] πάλιν λαβόντες
 οἱ πολέμιοι ἐπιθοῖντο τοῖς ὑπο-
 ζυγίοις παριοῦσιν — ἐπὶ πολὺ
 δ' ἦν τὰ ὑποζύγια ὅτε διὰ στε-
 νῆς τῆς ὁδοῦ πορευόμενα —
 καταλείπει ἐπὶ τοῦ λόφου λο-
 χαγούς Κηφισόδωρον Κηφισο-
 φῶντος Ἀθηναῖον καὶ Ἀμφι-
 κράτην Ἀμφιδήμου Ἀθηναῖον
 καὶ Ἀρχαγόραν Ἀργεῖον φυγά-
 ῶν, αὐτοὺς δὲ σὺν τοῖς λοιποῖς
 ἐπορεύετο ἐπὶ τὸν δεύτερον
 λόφον, καὶ τῷ αὐτῷ τρόπῳ καὶ
 τοῦτον ἀφῆκεν.

დანარჩენები მიდიოდნენ, მაგ-
 რამ საპალნის პირუტყვს სხვა
 გზა არ ჰქონდა და იქ უნდა
 11 ასულიყო. მაშინ დაიწყეს ერ-
 თიმეორის გამხნეება, დაი-
 რაზმნენ სწორ ლოხებად¹³ და
 ეკვეთნენ ბორცვს, ოღონდ არა
 ყოველი მხრიდან, არამედ
 მტრებს გასავალი დაუტოვეს
 [იმ შემთხვევისათვის], თუ ისი-
 ნი გაქცევაზე იფიქრებდნენ.
 12. ვიდრე [ელინები], ბორცვზე
 აღიოდნენ ისე, ვისაც როგორ
 შეეძლო, ბარბაროსები ესრო-
 დნენ მათ ისრებს და სტყორც-
 ნილდნენ [ქვებს]. [კარლუხები]
 ისე გაიქცნენ და მიატოვეს სი-
 მაგრე, რომ [ელინები] ახლო
 არ მიუშვეს. [ელინებმა] გადა-
 იარეს ის [შემალღება] და როცა
 წინ მტრების მიერ დაკავებუ-
 ლი მეორე ბორცვი დაინახეს,
 გადაწყვიტეს მაშინვე გაელაშ-
 ქრათ მის წინააღმდეგ. ქსენო-
 13 ფონტს კი ეშინოდა ცარიელი
 დაეტოვებინა იერიშით აღებუ-
 ლი ბორცვი, რომ მტრებს ხელ-
 მეორედ არ დაეკავებინათ იგი
 და არ დასხმოდნენ თავს იქვე
 მიმავალ ალას. ალალი გზის
 სივიწროვის გამო დიდ მანძილ-
 ზე იყო გაკიმული და ისე მიდი-
 ოდა. [ამიტომ] მან დატოვა
 ბორცვზე ლოხაგოსები კეთე-
 სოდორე, ძე კეთისოფანტე
 ათენელისა, ამფიკრატე, ძე
 ამფიდემე ათენელისა, და არ-

14 Ἔτι δὲ αὐτοῖς τρίτος μαστὸς
 λοιπὸς ἦν πολὺ ὀρθιότητος ὁ
 ὑπὲρ τῆς ἐπὶ τῷ πυρὶ κατα-
 ληφθείσης φυλακῆς τῆς νυκ-
 15 τὸς ὑπὸ τῶν ἐπιελοντῶν. ἐπεὶ
 δ' ἐγγὺς ἐγένοντο οἱ Ἕλληγες,
 λείπουσιν οἱ βάρβαραι ἀμαχητὶ
 τὸν μαστὸν, ὥστε φασμαστὸν
 πᾶσι γενέσθαι, καὶ ὑπώπτουσιν
 δεῖσαντας αὐτοὺς μὴ κυκλω-
 θήεντες πολιορκοῖντο ἀπολιπεῖν·
 οἱ δ' ἄρα ἀπὸ τοῦ ἄκρου κα-
 θισθῶντες τὰ θπισθιν γιγνόμενα
 πάντες ἐπὶ τοὺς ὀπισθοφύλα-
 16 κας ἐχώρουν. καὶ Ξενοφῶν μὲν
 σὺν τοῖς νεωτάτοις ἀνέβαινον
 ἐπὶ τὸ ἄκρον, τοὺς δὲ ἄλλους
 ἐκέλευσεν ὑπάγειν, ὅπως οἱ
 τελευταῖοι λόγοι προσμίξειαν,
 καὶ προελθόντας κατὰ τὴν ὁδὸν
 ἐν τῷ ὀμαλῷ θίεσθαι τὰ ὄπλα
 εἶπε.

17 Καὶ ἐν τούτῳ τῷ χρόνῳ ἦλθιν
 Ἁρχαγόρας ὁ Ἀργεῖος πεφευ-

გოსიდან დევნილი არხაგორა,
 თვით კი სხვებთან ერთად გა-
 ემართა მეორე ბორცვის წი-
 ნაალმდეგ—და აიღო იგი იმა-
 ვე სერხით.

14 მათ კიდევ უნდა დაეკავები-
 ნათ მესამე, ბევრად უფრო
 ციცაბო მაღლობი, სწორედ
 ის, რომელიც [მდებარეობდა
 იმ ადგილის] ზემოთ [სადაც
 იმყოფებოდნენ] დარაჯები,
 ღამით მოხალისეებმა რომ
 15 შეიპყრეს. როდესაც ელინები
 ახლოს მივიდნენ, ბარბარო-
 სებმა უბრძოლველად დასტო-
 ვეს მაღლობი, რამაც ყველა
 გააოცა. [ისინი] დაეჭვდნენ.
 სომ არ შეეშინდათ [კარდუ-
 ხებს] იმისა, რომ [ელინები]
 გარს შემოერტყმიან მათ და
 ალყაში მოაქცევენ. მაგრამ
 გამოირკვა, რომ [კარდუხებმა]
 მწვერვალისა და დაინახეს უკან
 მომავალნი და სუყველამ არი-
 ერგარდის წინააღმდეგ გაი-
 16 ლაშქრა. ქსენოფონტი შედა-
 რებით ახალგაზრდა მეომრებ-
 თან ერთად ავიდა მწვერვალზე.
 დანარჩენებს კი უბრძანა ნელა
 ეართა წინ, რათა ბოლო ლოხე-
 ბი შეერთებოდნენ [მათ];
 ამასთან უთხრა, რომ როდესაც
 გზას გაივლიდნენ [და]
 ვაკეზე [გავიდოდნენ], დაეშვათ
 იარაღი.

17 ამ დროს მოვიდა არხაგორა
 არგოსელი, რომელიც გამო-

γὼς καὶ λέγει ὡς ἀπεκόπησαν
 ἀπὸ τοῦ λόφου καὶ ὅτι τιμῶσαι
 Κηφισόδωρος καὶ Ἐμφικράτης
 καὶ οἱ ἄλλοι ὄσοι μὴ ἀλάμενοι
 κατὰ τῆς πέτρας πρὸς τοὺς
 18 ὀπισθοφύλακας ἀφίκοντο. ταῦτα
 δὲ διαπραξάμενοι οἱ βάρβαροι
 ἦγον ἐπ' ἀντίπορον λόφον τῷ
 μαστῷ· καὶ ὁ Ξενοφῶν διελέ-
 γετο αὐτοῖς δι' ἔρμηνέως περὶ
 σπονδῶν καὶ τοὺς νεκροὺς
 19 ἀπήτει. οἱ δὲ ἔφασαν ἀποδώ-
 σαι ἐφ' ἧ μὴ καίειν τὰς οἰκίας.
 συγμολόγει ταῦτα ὁ Ξενοφῶν.
 ἐν ᾧ δὲ τὸ μὲν ἄλλο στρατεύμα
 παρήει, οἱ δὲ ταῦτα διελέγον-
 το, πάντες οἱ ἐκ τούτου τοῦ τόπου
 συνερρήσαν. ἐνταῦθα ἵσταντο
 20 [οἱ πολέμιοι], καὶ ἐπεὶ ἤρξαντο
 καταβάνειν ἀπὸ τοῦ μαστοῦ
 πρὸς τοὺς ἄλλους ἔνθα τὰ ὕψα
 ἔκειντο, ἴεντο ὁ δὴ οἱ πολέμιοι
 πολλῶν πλήθει καὶ θοοῦν καὶ
 ἐπεὶ ἐγένοντο ἐπὶ τῆς κορυ-
 φῆς τοῦ μαστοῦ ἀφ' οὗ Ξενο-
 φῶν κατέβαιναν, ἐκύλινδον
 πέτρους· καὶ ἐνός μὲν κατέα-
 ξαν τὸ σκέλος, Ξενοφῶντα δὲ
 ὁ ὑπασπιστῆς ἔχων τὴν ἀσπίδα
 21 ἀπέλιπεν· Ἐὐρύλοχος δὲ Λουσι-
 εὺς [Ῥαρκάς] προσέδραμεν αὐτῷ
 ὀπίσθεν, καὶ πρὸ ἀμφοῖν προ-
 βεβλημένος ἀπεχώρει. καὶ οἱ
 ἄλλοι πρὸς τοὺς συντεταγμένους
 ἀπήλθον.

ექცა [მტერს] და თქვა, რომ
 ისინი გამოჩეკეს მაღლობი-
 დან, რომ კეთისოდორე, ამ-
 ფიკრატე და აგრეთვე სხვები,
 ვინც კლდიდან ვერ გადმოხ-
 ტა არიერგარდამდე მოსასე-
 18 ლელად, დახოცეს. ამის შემ-
 დგ ბარბაროსები ავიდნენ
 [ელინების მიერ] დაკავებუ-
 ლი მაღლობის მოპირდაპირე
 ბორცვზე. ქსენოფონტი თარ-
 ჯიმნის მეშვეობით დაელაპა-
 რაკა მათ ზავის შესახებ და
 მოსთხოვა მოკლულთა გაცე-
 19 მა¹⁴. [კარღუხებმა] უპასუხეს
 [ელინებს], რომ მისცემენ
 [მოკლულებს] იმ პირობით,
 თუ ისინი არ დასწვავენ მათ
 სახლებს. ქსენოფონტი და-
 თანხმდა და ვიდრე ჯარის
 დარჩენილმა ნაწილმა გაიარა
 და ვიდრე მოლაპარაკება [მიმ-
 დინარეობდა] იმ მიდამოები-
 დან ყველა [მოწინააღმდეგემ]
 20 თავი მოიყარა იქ. ხოლო, რო-
 დესაც [ელინებმა] დაიწყეს ჩა-
 მოსვლა მაღლობიდან თავისი-
 ანებთან, სადაც [ისინი იდგ-
 ნენ] და იარაღი ჰქონდათ და-
 შვებულის, მტრები მთელი ძა-
 ლებით და ხმაურით გაეშურ-
 ნენ მათკენ და როცა მიაღწი-
 ეს იმ მაღლობის მწვერვალს,
 საიდანაც ქსენოფონტი დაეშ-
 ვა, დაიწყეს კლდეების დაგო-
 რება. ერთ [მეომარს] დაუშს-
 ხვრიტს ბარძაყი, ხოლო ქსე-

- ნოფონტი დარჩა საქურველ-
მტვირთველის გარეშე. რო-
- 21 მელსაც ფარი ჰქონდა. მაგრამ
მასთან მოიხრბინა პოპლიტმა
ევრილოქე ლუსიელმა [არკა-
დიიდან], ორივეს მიეფარა და
ისე დაიხია უკან. დანარჩენე-
ბიც წავიდნენ მწყობრში და-
რაზმული [მეომრებისაკენ].
- 22 Ὁκ δὲ τούτου πᾶν ἔμαυ ἐγέ-
νετο τὸ Ἑλληνικόν, καὶ ἐσκήνη-
σαν αὐτοῦ ἐν πολλαῖς καὶ κα-
λαῖς οἰκίαις καὶ ἐπιτηδεῖοις
θαψιλέσι· καὶ γὰρ οἶνος πολὺς
ἦν, ὥστε ἐν λάκκοις κοινατοῖς
εἶχον. Ξινοφῶν δὲ καὶ Χερί-
σοφος διεπράξαντο ὥστε λαβόν-
τες τοὺς νεκροὺς ἀπέδωσαν τὸν
ἡγεμόνα...
- 22 ამის შემდეგ ელინების მთე-
ლმა [ლაშქარმა] ერთად მოიყა-
რა თავი და განლაგდა მრავალრიცხოვან და მშვენიერ სახლებში, რომელიც სავსე იყო სურსათით. იქ ღვინო ისე ბევრი იყო, რომ სილით ამო-
ლესილ ორმოებში ჰქონდათ
- 23 [შენახული]. ქსენოფონტმა და
ქეირისოფოსმა მიაღწიეს იმას,
რომ მიიღეს მოკლულთა [გვა-
მები, სანაცვალოდ კი] გაუშ-
ვეს მეგზური...
- 23 [შენახული]. ქსენოფონტმა და
ქეირისოფოსმა მიაღწიეს იმას,
რომ მიიღეს მოკლულთა [გვა-
მები, სანაცვალოდ კი] გაუშ-
ვეს მეგზური...
- 27 Ἦν δὲ καὶ δὴ τότε αὐτοῖς τοῖς
ἀναβᾶσι πολλὰ πράγματα παρ-
εἶχον οἱ βάρβαροι πάλιν κατα-
βαίνουσι· ἐλαφοὶ γὰρ ἦσαν
ὥστε καὶ ἐγγύθεν φεύγοντες
27 ბარბაროსები მრავალ სიძნე-
ლეს უქმნიდნენ [ელინებს] მა-
შინაც კი, როცა ისინი მიაღ-
წევდნენ მწვერვალს და ისევ
ძირს ეშვებოდნენ. ისინი იმ-
დენად მარდები იყვნენ, რომ
[რაც არ უნდა] ახლო მისუ-
ლიყვნენ [ელინებთან]. მაინც
ახერხებდნენ [გაქცევას. მათ
არ ჰქონდათ სხვა იარაღი,
გარდა მშვილდ-ისრისა და
- 28 ἀποφεύγειν· οὐδὲν γὰρ εἶχον
ἄλλο ἢ τόξα καὶ σφενδόνας.
ἄριστοι δὲ καὶ τοξόται ἦσαν·
εἶχον δὲ τόξα ἐγγύς τριπλήχη,
τὰ δὲ τοξέσματα πλέον ἢ διπλή-
χη· εἰλκον δὲ τὰς νευρὰς δπό-
τε τοξέουσιεν πρὸς τὸ κάτω τοῦ
τόξου τῷ ἀριστερῷ ποδῷ προσ-
βαίνοντες. τὰ δὲ τοξέσματα
- 28 შურდულეებისა. ისინი ბრწყინ-
ვალე მშვილდოსნები იყვნენ.
მათ. ჰქონდათ სამწყურთიანი

ἐχώρει: διὰ τῶν ἀσπίδων καὶ
 διὰ θωράκων. ἐχρῶντο δὲ αὐ-
 τοῖς οἱ Ἕλληγες, ἐπεὶ λάβειεν,
 ἀκοντίοις ἐναγυλῶντες. Ὡν
 τούτοις τοῖς χωρίοις οἱ Κρήτες
 χρησιμώτατοι ἐγένοντο. ἦρχε
 δὲ αὐτῶν Στρατοκλῆς Κρής.

მშვილდები. ხოლო მშვილდის
 ისრები 2 წყრთას აღმატებო-
 და. სროლის დროს ისინი
 [მშვილდის] ბოლოს აჭერდნენ
 მარცხენა ფეხს და ისე მოზი-
 დადნენ ხოლმე ლარს. მათი
 ისრები ფარებსა და ჭავშანს
 ატანდა. როცა ელინები
 ხელთ იგდებდნენ ხოლმე [ამ
 ისრებს], უკეთებდნენ მათ
 სასროლ ღვედებს და როგორც
 სატყორცნ შუბებს ხმარობდ-
 ნენ. ამ მხარეში ყველაზე გა-
 მოსაღვეგნი კრეტელები აღმო-
 ჩნდნენ. მათ მეთაურობდა
 სტრატოკლე კრეტელი.

IV, 3

IV, 3

1 Ταύτην δ' αὖ τὴν ἡμέραν
 ἠπλίσθησαν ἐν ταῖς κώμαις
 ταῖς ὑπὲρ τοῦ πεδίου παρὰ τὸν
 Κεντρίτην ποταμὸν, εὖρος ὡς
 δῖπλεθρον, δς ὀρίζει τὴν ᾠδρ-
 μενίαν καὶ τὴν τῶν Καρδοῦχων
 χώραν. καὶ οἱ Ἕλληγες ἐνταῦ-
 θα ἀνεπαύσαντο ἄσμενοι ἰδόν-
 τες πεδίον. ἀπειχε δὲ τῶν
 ὀρέων ὁ ποταμὸς ἕξ ἧ ἑπτὰ
 2 στάδια τῶν Καρδοῦχων... τότε
 μὲν οὖν ἠπλίσθησαν μάλα ἠδῶως
 καὶ ἀπιτήδεια ἔχοντες καὶ πολ-
 λά τῶν παρεληλυθότων πόνων
 μνημονεύοντες. ἑπτὰ γὰρ ἡμέ-
 ρας ὄσασπερ ἐπορεύθησαν διὰ
 τῶν Καρδοῦχων, πάσας μαχόμε-
 νοι διέτελεσαν, καὶ ἔπαθον
 κακὰ ὄσα οὐδὲ τὰ σύμπαντα

1 მთელი ეს დღე [ელინებმა]
 დაჰყვეს სოფლებში იმ ველის
 ზემოთ, რომელიც მდინარე
 კენტრიტის გასწვრივია [გადა-
 შლილი]!5. [კენტრიტის] სიგა-
 ნე დაახლოებით ორი პლეთ-
 რონია. იგი საზღვრავს არმე-
 ნიას კარდუხების ქვეყნისაგან.
 აქ ელინებმა დაინახეს ველი
 და შვებით ამოისუნთქეს. მდი-
 ნარე კარდუხების ქვეყნიდან
 ექვსი თუ შვიდი სტადიონით
 2 იყო დაშორებული. [აქ ისინი]
 დიდი სიამოვნებით განლაგდ-
 ნენ ღია ცის ქვეშ. მათ
 ჰქონდათ სურსათი და ისინი
 იგონებდნენ ბრძოლებს, რომე-
 ლიც თავს გადახდათ. ის შვიდი
 დღე, რომელიც მათ მოანდო-

ὑπὸ βυσιλείῃς καὶ Τισσαφέρ-
 νους. ὡς οὖν ἀπὴλλαγμένοι
 τούτων ἡδέως ἐκοιμήθησαν.
 3 Ἄμα δὲ τῇ ἡμέρᾳ ὄρωσιν ἰπ-
 πεῖς που πέραν τοῦ ποταμοῦ
 ἐξῶπλισμένους ὡς καλῶσοντας
 διαβαίνειν, πεζοὺς δ' ἐπὶ ταῖς
 ἔχθραις παρατεταγμένους ἄνω
 τῶν ἰππέων ὡς καλῶσοντας
 εἰς τὴν Ἀρμενίαν ἐκβαίνειν.
 4 ἦσαν δ' οὗτοι Ὀρόντα καὶ Ἀρ-
 τούχα Ἀρμένιοι καὶ Μάρδοι
 καὶ Χαλδαῖοι μισθοφόροι. ἐλέ-
 γοντο δὲ οἱ Χαλδαῖοι ἐλεύθε-
 ροί τε καὶ ἄλκιμοι εἶναι. ὄπλα
 δ' εἶχον γέρρα μακρὰ καὶ λόγ-
 5 χας. αἱ δὲ ἔχθραι αὐτοὶ ἐφ' ὧν
 παρατεταγμένοι οὗτοι ἦσαν τρία
 ἢ τέτταρα πλέθρα ἀπὸ τοῦ πο-
 ταμοῦ ἀπέιχον· ὁδὸς δὲ μία
 ὄρωμενη ἦν ἄγρουσα ἄνω ὡσπερ
 χειροποιήτος· ταύτῃ ἐπειρῶντο
 6 διαβαίνειν οἱ Ἕλληες. ἐπεὶ δὲ
 πειρωμένοις τὸ τε ὑδωρ ὑπὲρ
 τῶν μαστῶν ἐφαίνετο, καὶ τρα-
 χὺς ἦν ὁ ποταμὸς μεγάλοις
 λίθοις καὶ οὗτ' ἐν τῷ ὑδατι
 τὰ ὄπλα ἦν ἔχειν· εἰ δὲ μὴ,
 ἦρπαζεν ὁ ποταμὸς· ἐπὶ τε τῆς
 κεφαλῆς τὰ ὄπλα εἴ τις φέροι,
 γυμνοὶ ἐγίγνοντο πρὸς τὰ τοξεύ-
 ματα καὶ τὰλλα βέλη ἀνε-
 χάρησαν καὶ αὐτοὺς ἐστρα-
 τοπεδεύσαντο παρὰ τὸν ποτα-
 7 μόν. ἔνθα δὲ αὐτοὶ τὴν πρόσ-
 θεν νύκτα ἦσαν ἐπὶ τοῦ ὄρους
 ἑώρων τοὺς Καρδούχους πολ-

მეს კარღუხების ქვეყნის გავ-
 ლას, სულ ბრძოლებში გა-
 ატარეს. ამასთან იმდენი უბე-
 ლურება განიცადეს, რამ-
 დენიც [მათთვის არ მიუყენე-
 ბიათ] ერთად მეფესა¹⁶ და ტი-
 საფერესს¹⁷. ისინი მიეცნენ სი-
 ამოვნებას, თითქოს ყოველი-
 ვე მართლაც გათავდა.

3 გათენებისას [ელინებმა] მდი-
 ნარის მეორე ნაპირზე დაინა-
 ხეს შეიარაღებული მხედრები,
 რომელნიც, როგორც ჩანს, აპი-
 რებდნენ მათთვის [მდინარის]
 გადალახვაში ხელის შეშლას
 და აგრეთვე ქვეითები, რომე-
 ლნიც მხედრების ზემოთ, ●
 ფერდობებზე გამწკრივებულ-
 იყვნენ და [ელინების] არმენი-
 აში შექრისათვის ხელის შეშ-
 4 ლას აპირებდნენ. ისინი იყ-
 ნენ ორონტისა და არტუხის¹⁸
 მოქირავნეები — არმენიელე-
 ბი, მარდები¹⁹ და ხალდები²⁰.
 ამბობდნენ, რომ ხალდები თა-
 ვისუფალნი და მამაცნი არიან;
 მათი იარაღი იყო გრძელი
 წნული ფარები და შუბები. ის
 5 ფერდობები, რომელზეც ისი-
 ნი დარაზმულიყვნენ, 3 თუ 4
 პლეთრონით იყო დაშორებუ-
 ლი მდინარეს. ერთადერთი
 გზა, რომელიც მოჩანდა, მი-
 დიოდა. ზევით და, როგორც
 ჩანს, ხელოვნური იყო. აქ
 ცდილობდნენ ელინები [მდი-
 ნარის] გადალახვას. მაგრამ

λοὺς συνειλεγμένους ἐν τοῖς
ἑπτακῆσιν. ἐνταῦθα δὴ πολλὴ ἀμυ-
μία ἦν τοῖς Ἑλλησιν, ὁρῶσι
μὲν τοὺς ποταμοὺς τὴν δυσπορίαν,
ὁρῶσι δὲ τοὺς διαβαίνειν κω-
λύσοντας, ὁρῶσι δὲ τοὺς διαβαί-
νουσιν ἐπικεισσομένους τοὺς Καρ-
δούχους ἔπισημεν.

6 როცა სცადეს, წყალი მათ-
მკერდებს ასცდა. მდინარის
ფსკერიც ოღროზოღრო იყო
და ლოდიანი. არ შეიძლებო-
და აგრეთვე იარაღის წყალში
ტარება, რადგან ის მდინარეს
მიჰქონდა. ვინც სცადა იარა-
ღის თავზე წალება, ისინი ის-
რებისა და სხვა სასროლი ია-
რალისათვის მისაწვდომი აღ-
მოჩნდნენ. ამიტომ [ელინებმა]
დაიხიეს უკან და მდინარის ნა-

7 პირას დაბანაკდნენ. იქ კი, სა-
დაც თვითონ გაატარეს წინა
ღამე, მთებზე იარაღსაბმული
მრავალი კარდუხი შენიშნეს.
მაშინ კი ელინები დიდ სასო-
წარკვეთილებას მიეცნენ; ისი-
ნი ხედავდნენ, რომ მდინარე
გადაულახავია, ხედავდნენ აგ-
რეთვე მათ, ვინც ხელს უშლი-
და [მდინარეზე] გადასვლაში,
ხედავდნენ კარდუხებსაც, რო-
მელნიც მზად იყვნენ [მდი-
ნარის] გადალახვისას უკნიდან
დასხმოდნენ მათ თავს.

§ 8—24: ეს დღე და მომდევნო ღამე ელინებმა შიშში გაატარეს. ქსენოფონტმა ნახა სიზმარი, თითქოს ფეხები ხუნდებით ჰქონდა შებორცილი და ხუნდები თავისი დასცდა. ეს სიზმარი ელინებს კარგად ენიშნათ. მართლაც ქსენოფონტთან დილით მარბინა ორმა ჰაბუქმა და აუწყა მას, რომ ისინი მდინარის ფონს წააწყდნენ. გადაწყდა ესარგებლათ ამ ფონით. ფონი ხეირისოფოსს, როგორც მთავარ მეთაურს უნდა გადაელახა და ნახევარი არმია გადაეყვანა, ხოლო არმიის მეორე ნახევარი დარჩებოდა აქეთ ნაპირზე ქსენოფონტთან ერთად. როცა ხეიროსოფოსი მდინარეს გადადიოდა, ქსენოფონტი თავისი რაზმით ფიცხლად გაეშურა არმენიის მთებისაკენ, რომ მტერს ჰგონებოდა, თითქოს იგი აქ აპირებდა მდინარეზე გადასვლას. ამ მანევრის შემდეგ, როცა ქსენოფონტმა დაინახა, რომ ხეიროსოფოსი მშვიდობიანად გადავიდა მეორე მხარეს, თვითონაც მდინარის ფონს მიაშურა, რადგან კარდუხებმა დაიწყეს ბარში დაშვება და, როგორც ჩანს, თავდასხმას აპირებდნენ.

- 25 ...Καὶ Χειρίσοφος μὲν τὰ ἄνω
κατεῖχε, Δύκιος δὲ σὺν ὀλίγοις
ἐπιχειρήσας ἐπιδιῶξαι ἔλαβε
τῶν σκευοφόρων τὰ ὑπολειπό-
μενα καὶ μετὰ τούτων ἐσθῆτά
τε καλὴν καὶ ἐκπώματα. καὶ
- 26 τὰ μὲν σκευαφόρα τῶν Ἑλλη-
νων καὶ ὁ ὄχλος ἀκμὴν διέ-
βαινε, Ξενοφῶν δὲ στρέψας
πρὸς τοὺς Καρδούχους ἀντί-
τὰ ὄπλα ἔθηκε, καὶ παρήγ-
γειλε τοῖς λοχαγοῖς κατ' ἐνω-
μοτίας ποιήσασθαι ἕκαστον τὸν
ἑαυτοῦ λόχον, παρ' ἀσπίδα
παραγαγόντας τὴν ἐνωμοτίαν
ἐπὶ φάλαγγος· καὶ τοὺς μὲν
λοχαγούς καὶ τοὺς ἐνωμοτάρ-
χους πρὸς τῶν Καρδούχων
ἶναι, οὐραγούς δὲ καταστήσα-
- 27 σθαι πρὸς τοῦ ποταμοῦ. οἱ δὲ
Καρδοῦχοι ὡς ἑώρων τοὺς ὀπισ-
θοφυλάκας τοῦ ὄχλου ψιλο-
μένους καὶ ὀλίγους ἦδη φαινο-
μένους, θάττον δὴ ἐπήσαν
ῥῆδᾶς τινας ἄδοντες. ὁ δὲ Χει-
ρίσοφος, ἐπεὶ τὰ παρ' αὐτῶ
ἀσφαλῶς εἶχε, πέμπει παρὰ
Ξενοφῶντα τοὺς πελταστὰς
καὶ σφενδογήτας καὶ τοξότας
καὶ κελεύει ποιεῖν ὅ τι ἂν
παραγγέλλῃ.
- 25 ...ხეირისოფოსმა აიღო [მთის]
მწვერვალი, ლიკიოსი²¹ კი
მცირე [რაზმით] დაედევნა
[ვაქეულ მტერს] და ხელში
ჩაიგდო მიტოვებული ალალი
და, სხვათა შორის, ლამაზი
- 26 ტანსაცმელი და თასები. რო-
გორც კი ელინების ალალი და
საალალო რაზმები [მდინა-
რებზე] გადავიდნენ, ქსენოფონ-
ტმა [თავისი რაზმები] პირაით
კარღუხების წინააღმდეგ მი-
ბრუნა და უბრძანა ლონაგო-
სებს, რომ თითოეულს თავისი
ლოხი ენომოტიების მიხედ-
ვით დაეწყო, გამოეყვანა ისინი
მარცხნივ, რათა შექმნილიყო
ფალანგის წყობა²². ლონაგო-
სებსა და ენომოტარქოსებს²³
[უბრძანა მან] კარღუხებზე გა-
ლაშქრება, ხოლო არიერგარ-
დის მეთაურებს—მდინარესთან
- 27 დარჩენა. როცა კარღუხებმა
დაინახეს, რომ ალალის [დამც-
ველი] არიერგარდი დაუსტდა
და თითქოს შემცირდა კიდევ,
ისინი უფრო ჩქარა წავიდნენ
რალაც სიმღერების მღერით.
ხეიროსოფოსმა კი, რაკი მას
საშიშროება არ მოელოდა,
ქსენოფონტთან გაგზავნა პელ-
ტასტები, მეშურღულენი და
მშვილდოსნები და უბრძანა
მათ, რომ მისი ბრძანებები
შეესრულებინათ...
- 30 Οἱ δὲ Καρδοῦχοι δρῶντες ὀλι-
γους ἦδη τοὺς λοιπούς, πολ-
- 30 კარღუხებმა დაინახეს, რომ
[არიერგარდში] უკვე ცოტა-

λοι γὰρ καὶ τῶν μένειν τεταγ-
 μένων ἦρχοντο ἐπιμελόμενοι οἱ
 μὲν ὑποζυγίων, οἱ δὲ σκευῶν,
 οἱ δ' ἑταιρῶν, ἐνταυθὰ δὴ ἐπέ-
 κειντο φρασέως καὶ ἦρχοντο
 31 σφενδογᾶν καὶ τοξεύειν. οἱ δὲ
 "Ἕλληγες παιανίσαντες ἄρμη-
 σαν δρόμῳ ἐπ' αὐτούς· οἱ δὲ
 οὐκ ἐδέξαντο· καὶ γὰρ ἦσαν
 ὠπλισμένοι ὡς μὲν ἐν τοῖς ὄρε-
 σιν ἰκανῶς πρὸς τὸ ἐπιδραμεῖν
 καὶ φεύγειν, πρὸς δὲ τὸ εἰς
 - χεῖρας δέχεσθαι οὐχ ἰκανῶς.
 32 ἐν τούτῳ σημαίνει· δαλπιγκτής·
 καὶ οἱ μὲν πολέμοιοι ἔφευγον
 πολὺ ἔτι θᾶττον, οἱ δὲ "Ἕλλη-
 γες τάναντία στρέψαντες ἔφευ-
 γον διὰ τοῦ ποταμοῦ ἐπι τά-
 33 χιστα. τῶν δὲ πολεμίων οἱ
 μὲν τινες αἰσθόμενοι πάλιν
 ἔδραμον ἐπὶ τὸν ποταμὸν καὶ
 τοξέουντες ὀλίγους ἔτρωσαν,
 οἱ δὲ πολλοὶ καὶ πέραν ἕντων
 τῶν Ἕλληγῶν ἔτι φανεροὶ ἦσαν
 φεύγοντες.

ნილა დარჩენენ: — ბევრი მათ-
 განიც კი, ვისაც ნაბრძანები
 ჰქონდა დარჩენა, წაეიდა.
 [ისინი გზა და გზა] მეთვალ-
 ყურეობდნენ ვინ საპალნე პი-
 რუტყვს, ვინ ქონებას და ვინ
 ჰეტერებს²⁴—ამიტომ შეუტო-
 ეს თამამად და დაუწყეს [ელი-
 ნებს] შურდულით ქვების
 ტყორცნა და ისრების სრო-
 31 ლა. ელინებმა წამოიწყეს პე-
 ანი²⁵ და სირბილით ეკვეთნენ
 მათ. [კარლუხებმა] ვერ გაუძ-
 ლეს [შემოტევას]; ისინი, რო-
 გორც მთიელები, საკმაოდ
 კარგად იყვნენ აღჭურვილი
 შესატევად და უკანდასახე-
 ვად, მაგრამ ხელჩართული
 ბრძოლისათვის [მათი შეიარა-
 32 ლება] საკმაო არ იყო. ამ დროს
 მებუყემ ნიშანი მისცა, მტრე-
 ბი კიდევ უფრო სწრაფად გა-
 იქცნენ; ელინებიც პირუტყ
 შეტრიალდნენ და რაც შეიძ-
 ლებოდა ჩქარა გაიქცნენ მდი-
 ნარის გადასალახავად. მტერ-
 33 თავან ვინც ეს შეამჩნია, უკან
 მდინარისაკენ გამობრუნდა და
 დაუშინა [ელინებს] ისრები და
 ზოგიერთები დააშავა კიდევ,
 მაგრამ [კარლუხების] უმრავ-
 ლესობა მაშინაც კი გარბოდა,
 როცა ნათელი გახდა, რომ
 ელინები [მდინარის] მეორე
 მხარეს იმყოფებიან...

1 Ἐπεὶ δὲ διέβησαν, συνταξάμενοι ἀμφὶ μέσον ἡμέρας ἐπορεύθησαν διὰ τῆς Ἀρμενίας πεδῖον ἅπαν καὶ λείους γηλόφους οὐ μείον ἢ πέντε παρασάγγας· οὐ γὰρ ἦσαν ἐγγὺς τοῦ ποταμοῦ κώμαι διὰ τοὺς πολέμους τοὺς πρὸς τοὺς Καρδούχους.

1 [მდინარის] გადალახვის შემდეგ, დაახლოებით შუადღისას, [ელინები] დაირაზმნენ და იარეს არმენიაში არა ნაკლებ 5 ფარასანგისა, სავსებით ეკე ადგილზე და შიშველ მიწის ბორცვებზე. აქ მდინარის ახლოს არ იყო სოფლები კარდუხებთან ომის გამო.

§ 2—17: ბერძენთა არმია მიემართება არმენიაში. მას ფეხდაფეხ მისდევს დასავლეთ არმენიის სატრაპი ტირიბაზი. ამის გამო ბერძნები ჭერ ერიდებიან სოფლებში შესვლას, ბოლოს კი იძულებული ხდებიან შევიდნენ. რადგან დიდი თოვლი მოვიდა. ისინი აგზავნიან მთებში მზვერავს, რომელიც ტყვედ იგდებს სპარსელს და მოჰყავს იგი ბერძენთა ბანაკში. სპარსელი ტყვე დაჰკითხეს.

18 ... ὁδὲ εἶπεν ὅτι Τιρίβαζος εἶη ἔχων τῆν τε ἑαυτοῦ δύναμιν καὶ μισθοφόρους Χάλυβας καὶ Ταόχους· παρεσκευάσθαι δὲ αὐτὸν ἔφη ὡς ἐπὶ τῇ ὑπερβολῇ τοῦ ὄρους ἐν ταῖς στενοῖς, ἥπερ μοναχῇ εἶη πορεία, ἐνταῦθα ἐπιθησόμενον τοῖς Ἕλλησιν.

18 ...მან* თქვა, რომ ტირიბაზს²⁶ ყავს თავისი ჯარი და მოქირავნეები—ხალიბები და ტაოხები²⁷. მან განაცხადა აგრეთვე, რომ [ტირიბაზი] ამზადებს თავდასხმას ელინებზე ვიწრობებში იქ, სადაც ერთადერთი გასავლელი არსებობს.

IV, 5-ში და VI, 6.1-ში აღწერილია ბერძენთა მსვლელობა არმენიაში. ისინი მიემართებიან დიდ თოვლში და მრავალი სიძნელის გადალახვა უხდებათ. ბოლოს მიაღწევენ მდინარე ფასისს.

4 Μετὰ τοῦτο ἐπορεύθησαν ἑπτὰ σταθμοὺς ἀνὰ πέντε παρασάγγας τῆς ἡμέρας παρὰ τὸν Φᾶσιν ποταμόν, εὐρος πλεθριαίων.
5 ἐντεῦθεν ἐπορεύθησαν σταθμοὺς δύο παρασάγγας δέκα ἐπὶ δὲ τῇ εἰς τὸ πεδῖον ὑπερ-

4 ამის შემდეგ [ელინებმა] იარეს შვიდ გადასავლად დღეში ხუთ-ხუთი ფარასანგი მდინარე ფასისის გასწვრივ²⁸. [ფასისის] სიგანე ერთი პლე-
5 თრონია. შემდეგ იარეს ორ გადასავლად 10 ფარასანგი.

* ე. ი. სპარსელმა ტყვემ.

βολῆ ἀπήντησαν αὐτοῖς Χάλυ-
βες καὶ Τάοχοι καὶ Φασαῖνοι.

მთის გადასასვლელთან, რო-
მელიც ვაკეზე ეშვებოდა, მათ
დახვდნენ ხალიბები, ტაოხე-
ბი და ფასიანები²⁹.

§ 6—27: ბერძენ სტრატეგოსთა სამხედრო თათბირი ხალიბებთან, ტაოხებთან და ფასიანებთან ბრძოლის წინ. ბერძნები იმარჯვებენ ბრძოლაში და იკავებენ მთის გადასასვლელს.

IV 7,

VI, 7

1 Ἐκ δὲ τούτων ἐπορεύθησαν
εἰς Ταόχους σταμίους πέντε
παρασάγγας τριάκοντα· καὶ
τὰ ἐπιτήδεια ἐπέλειπε· χωρία
γὰρ ἔχουσιν ἰσχυρὰ οἱ Τάοχοι.
ἐν οἷς καὶ τὰ ἐπιτήδεια ἀπαν-
2 τα εἶχον ἀνακεκομισμένοι. ἐπε-
δ' ἀφίκοντο πρὸς χωρίον ὃ
πόλιν μὲν οὐκ εἶχεν οὐδ' οἰκί-
ας — συνεληλυθόντες δ' ἦσαν
αὐτόσδε καὶ ἄνδρες καὶ γυναι-
κες καὶ κτήνη πολλὰ· Χειρίσοφος
μὲν οἶν πρὸς τούτο προσέβαλ-
λεν εὐμῆς ἦκων· ἐπειδὴ δὲ ἦ
πρώτη τάξις ἀπέχಾಮεν, ἄλλη
προσῆει καὶ αὐμῆς ἄλλη. οὐ
γὰρ ἦν ἀμύροισι περιστῆναι,
ἀλλ' ἀπότομον ἦν κῆκλψ.

1 აქედან [ელინებმა] ტაოხების
ქვეყანაში³⁰ ხუთ გადასავლად
ოცდაათი ფარასანგი იარეს.
[იქ] მათ შემოაკლდათ სანო-
ვავე, რადგან ტაოხები ცხოვ-
რობდნენ მიუვალ სიმაგრე-
ებში და მთელი თავისი სურ-
სათი იქ ჰქონდათ ატანილი.
2 როდესაც [ელინებქ] მივიდ-
ნენ ერთ გამაგრებულ ად-
გილთან, რომელიც ქალაქი
არ იყო და სადაც შენობებიც
არ მოიპოვებოდა, თუმც იქ
თავი მოეყარათ მამაკაცებს
და ქალებს მრავალ პირუტყვ-
თან ერთად, ხეირისოფოსი
მისვლისთანავე თავს დაესხა
5 Ἐνταυθα ἔμειναν ἡμέρας
 τετταράκοντα πέντε. ἐν δὲ ταύ-
 ταις πρῶτον μὲν τοῖς θεοῖς
 ἔμισαν, καὶ πομπὰς ἐποί-
 ησαν κατὰ ἔθνος ἕκαστοι
 τῶν Ἑλλήγων καὶ ἀγῶνας γυ-
 μνικούς. τὰ δ' ἐπιτεθεῖο ἑλάμ-
 βανον τὰ μὲν ἐκ τῆς Παφλα-
 γονίας, τὰ δ' ἐκ τῶν χωρίων
 τῶν Κοτυωριτῶν· οὐ γὰρ πα-
 ρεῖχον ἀγορὰν οὐδὲ εἰς τὸ τεῖ-
 χος τοὺς ἀσθινοῦντας ἐδέχοντο.

5 იქ დაყვეს 45 დღე. ამ დროის
 განმავლობაში ჯერ ღმერთებს
 შესწირეს მსხვერპლი და მო-
 აწყვეს ალღუმი, ცალ-ცალკე
 ელინური ტომების მიხედვით
 და გიმნასტიკური ასპარეზო-
 ბა. სურსათს [ელინები] იღებ-
 დნენ როგორც პაფლაგონიი-
 დან. ისე კოტიორელების სი-
 მაგრეებიდან, რადგან მათ არ
 გაუზსნეს [ელინებს] ბაზარი და
 ავადმყოფებიც კი არ შეუშვეს
 [კოტიორას] კედლებს იქეთ.

7 Ἐν τούτῳ ἔρχονται ἐκ Σινώπης
 πρέσβεις, φοβούμενοι περὶ τῶν
 Κοτυωριτῶν τῆς τε πόλεως, ἦν
 γὰρ ἐκείνων καὶ φόρον ἐκείνοις
 ἔφερον, καὶ περὶ τῆς χώρας,
 ὅτι ἤκουσον ὀηουμένην. καὶ
 ἐλθόντες εἰς τὸ στρατό-
 πεδον ἔλεγον· προηγόρει δὲ
 8 εἶναι λέγειν· Ἐπειμψεν ἡμᾶς,
 ὃ ἄνδρες στρατιῶται, ἡ τῶν
 Σινωπέων πόλις ἐπαινέσοντάς
 τε ἡμᾶς ὅτι νικάτε Ἕλληνας
 ὄντες βαρβάρους, ἔπειτα δὲ
 καὶ ξυνησθησομένους ὅτι διὰ
 πολλῶν τε καὶ θειῶν, ὡς ἡμεῖς
 ἠκούσαμεν, πραγμάτων σεσω-
 9 μένοι πάρεστε. ἀξιόσμεν δὲ
 Ἕλληνας ὄντες καὶ αὐτοὶ ἵψ'
 ἡμῶν ὄντων Ἑλλήνων ἀγαθὸν
 μὲν τι πάσχειν, κακὸν δὲ μηδέν·
 10 οὐδὲ γὰρ ἡμεῖς ἡμᾶς οὐδὲν
 πώποτε ὑπήρξαμεν κακῶς ποι-
 οῦντες. Κοτυωρίται δὲ οὗτοι
 εἰσὶ μὲν ἡμέτεροι ἄποικοι, καὶ
 τὴν χώραν ἡμεῖς αὐτοῖς ταύτην
 παραδεδώκαμεν βαρβάρους ἀφε-
 λόμενοι· διὸ καὶ ὄχασμόν ἡμῖν
 φέρουσιν οὗτοι· τεταγμένον καὶ
 Κερασούντιοι καὶ Τραπεζούν-
 11 τιοι· ὥστε ὁ, τι ἂν τούτους
 κακὸν ποιήσητε ἡ Σινωπέων
 πόλις νομίζει πάσχειν. νῦν δὲ
 ἀκούομεν ἡμᾶς εἰς τε τὴν πόλιν
 βίβ' παρεληλυθότας ἐνίους σκη-
 νοῦν ἐν ταῖς οἰκίαις καὶ ἐκ
 τῶν χωρίων βίβ' λαμβάνειν ὧν

7 ამ დროს სინოპიდან მოვიდ-
 ნენ ელჩები, რომელნიც ში-
 შობდნენ კოტიორელთა ქა-
 ლაქის გამო, რადგან (კოტიო-
 რა) მათი იყო და ხარკსაც უბ-
 დილა მათ და აგრეთვე—ქვე-
 ყნის გამო, რომელიც, გაგო-
 ნილი ჰქონდათ, რომ ნადგურ-
 დებოდა. ბანაკში მოსვლისას
 მათ განაცხადეს—მათი სახე-
 ლით ლაპარაკობდა ჰეკატო-
 ნიმე სახელგანთქმული რო-
 გორც დახელოვნებული ორა-
 8 ტორი⁷⁰—„მომრებო, ჩვენ
 გამოგვგზავნა სინოპელთა ქა-
 ლაქმა, რათა ქება შეგასხათ
 თქვენ იმის გამო, რომ ელი-
 ნები ხართ და ბარბაროსებს
 სძლიეთ, ამასთან ერთად მო-
 ხარული ვართ, რომ თქვენ,
 როგორც გვსმენია, გადაურ-
 ჩით მრავალსა და დიდ სიძ-
 ნელებს და [ახლა] აქ იმყო-
 9 ფებით. რაკი ჩვენც ელინები
 ვართ და თქვენც, სამართლი-
 ანად მიგვაჩნია, რომ თქვენ-
 გან ელინებისაგან სიკეთე
 განვიცადოთ და არამც და
 10 არამც — სიბოროტე, რადგან
 ჩვენ არასოდეს არ განვიწ-
 რახავს თქვენს მიმართ ცუ-
 დის ჩადენა. ეს კოტიორელე-
 ბი კი ჩვენი კოლონისტები
 არიან. ჩვენ მათ გადავეციით
 ეს ქვეყანა, რომელიც ბარბა-
 როსებს წავართვიით და ამის
 გამო ისინი [ისე როგორც]

12 ἂν ὀθήσῃτε οὐκ αἰσθόμενοι. ταῦτ' οὖν οὐκ ἀξιοῦμεν· εἰ δὲ ταῦτα ποιήσετε, ἀνάγκη ἡμῖν καὶ Κορύθῳ καὶ Παφλαγονίας καὶ ἄλλον ὄντινα ἂν ὀνύμεθα

13 φίλον ποιεῖσθαι. Πρὸς ταῦτα ἀναστὰς Ξενοφῶν ὑπὲρ τῶν στρατιωτῶν εἶπεν· Ἡμεῖς δὲ, ὡ ἄνδρες Σιωνაπεις, ἵκομεν ἀγαπῶντες ὅτι τὰ σώματα ὀνύμεθα καὶ τὰ ὄπλα· οὐ γὰρ ἦν ὀνύατον ἅμα τε [τὰ] χρήματα ἄγειν καὶ φέρειν καὶ τοῖς

14 πολεμίοις μάχεσθαι. καὶ νῦν ἐπεὶ εἰς τὰς Ἑλληνίδας πόλεις ἦλθομεν, ἐν Τραπεζοῦντι μὲν, παρῆγον γὰρ ἡμῖν ἀγοράν, ὠνούμενοι εἶχομεν τὰ ἐπιτηθεῖα, καὶ ἀνθ' ὧν ἐτίμησαν ἡμᾶς καὶ ξένια ἔδωκαν τῇ στρατιᾷ, ἀντετιμῶμεν αὐτούς, καὶ εἴ τις αὐτοῖς φίλος ἦν τῶν βαρβάρων, τούτων ἀπειχόμεθα· τοὺς δὲ πολεμίους αὐτῶν ἐφοῦς αὐτοὶ ἠγοῦντο κακῶς ἐποιούμεν ὅσον ἐθυνάμεθα. ἐρωτᾷτε

15 ὅτ' αὐτούς ὀποιῶν τινῶν ἡμῶν ἔτυχον· πάρεσι γὰρ ἐνθάδε οὐδ' ἡμῖν ἠγεμόνας διὰ φιλίαν

16 ἢ πόλιν ξυνέπεμψεν. ὅποι' ὃ' ἂν ἐλθόντες ἀγοράν μὴ ἔχωμεν, ἂν τε εἰς βάρβαρον γῆν ἂν τε εἰς Ἑλληνίδα, οὐχ ὑβρεῖ ἀλλὰ ἀνάγκη λαμβάνομεν τὰ ἐπιτηθεῖα· καὶ Καρδούχους καὶ Ταόχους καὶ Χαλδαίους καὶ περ βασιλέως οὐχ ὑπηκόους ὄντας

კერასუნტელები და ტრაპეზუნტელები დაწესებულ ბე-
 11 ვარას გვიხდიან⁷¹. ამიტომ მათდამი ცუდის ჩადენას სინოპელთა ქალაქი განიხილავს [ისე, თითქოს ამ ზიანს თვით] განიცდიდეს. ახლახან გავიგეთ ისიც, რომ თქვენ ძალით შეხვედით ქალაქში და ზოგიერთი თქვენთაგანი სახლებშიც კი დასახლდა, რომ სიმაგრეებიდან ძალით მიგქონდათ ის, რაც გქირდებოდათ, და არა დაყვავებით. ყოველ-
 12 ლივე ეს რა თქმა უნდა, არასაკადრისად მიგვაჩნია და თუ თქვენ [კვლავაც] ასე იმოქმედებთ იძულებული [გავხედებით შევეუკავშირდეთ] კორიულას, პათლაგონიას და კიდევ სხვას, ვინც კი შეიძლება ჩვენი მეგობარი გახდეს⁷².

13 ქსენოფონტი ადგა და ჯარის სახელით [შემდეგი] უპასუხა: „სინოპელი მოქალაქენო, ჩვენ მოვედით კმაყოფილნი იმით, რომ გადავარჩინეთ [ჩვენი] სიცოცხლე და [ჩვენი] იარაღი. შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ქონების ტარებაცა და მტრებთან
 14 ბრძოლაც. ახლა კი, როცა ელინურ ქალაქებში მოვედით [თუნდაც] ტრაპეზუნტში, იქ ჩვენ ბაზარი გავგიხსნეს და ვიღებდით სურსათს, ამის სანაცვლოდ ჩვენც პატივში

[δμως] και μάλα φοβερούς θμωσ
 πολεμίους έκτησάμεθα διὰ τὸ
 ἀνάγκην εἶναι λαμβάνειν τὰ
 ἐπιτήδεια, ἐπεὶ ἀγορὰν οὐ πα-
 18 ρεῖχον. Μάκρωνας δὲ καίπερ
 βαρβάρους ὕπτας, ἐπεὶ ἀγορὰν
 οἶαν ἐδύναντο παρεῖχον, φίλους
 τε ἐνομιζόμεν εἶναι καὶ βίᾳ οὐ-
 δὲν ἐλαμβάνοιμεν τῶν ἐκείνων.

გვეყავდა ისინი, ვინც პატევს
 გვეცემდა და ჯარისთვისაც სა-
 ჩუქრები მოჰქონდა, ხოლო იმ
 ბარბაროსებს, რომელნიც მა-
 თი მეგობრები იყვნენ, ვინ-
 ლობდით. მათ მტრებს კი,
 რომელთა წინააღმდეგ იმათ
 მიეყავდით, როგორც შეგვე-
 ძლო ვნებას ვაყენებდით.
 15 ჰკითხეთ თვით მათ* როგორე-
 ბი ვიყავით ჩვენ, მით უმე-
 ტეს, რომ აქ იმყოფებიან [ის
 პირები], რომელნიც ქალაქ-
 მა***, მეგობრობის ნიშნად,
 მეგზურებად გამოგვყავოლა.
 16 სადაც არ უნდა მივდიოდეთ
 ეს ბარბაროსების მიწა-წყა-
 ლი იქნება, თუ ელინებისა,
 თუ იქ ბაზარს არ გვიხსნიან
 ჩვენ თვითონ მიგვაქვს სურ-
 სათი, მაგრამ არა თავხედობის
 [საფუძველზე], არამედ აუცი-
 17 ლებლობის გამო. კარდუხებს,
 ტაოხებს და ხალღებს, თუმც
 [ისინი] მეფის მორჩილება-
 ში არ იმყოფებიან და ძა-
 ლიან საშიშნიც არიან, ჩვენ
 მაინც მტრად მოვეკიდეთ,
 რადგან აუცილებელი გახდა
 სურსათის წართმევა, რაკი
 ისინი ბაზარს არ გვიხსნიდ-
 18 ნენ. მაკრონებმა, მართალია,
 [ისინი] ბარბაროსები არიან,
 შეძლებისდაგვარად მაინც

* ე. ი. ტრაპეზუნტელებს.

** ე. ი. ტრაპეზუნტმა.

- 19 Κοτυωρίτας δὲ, οὖς ὑμετέρους φατὲ εἶναι, εἴ τι αὐτῶν εἰλήφαμεν, αὐτοὶ αἰτίοι εἰσιν· οὐ γὰρ ὡς φίλοι προσεφέροντο ἡμῖν, ἀλλὰ κλείσαντες τὰς πύλας οὔτε εἶσω ἐδέχοντο οὔτε ἔξω ἀγορὰν ἔπεμπον· ἤτινωντο δὲ τὸν παρ' ἡμῶν ἀρμოსτήν
- 20 τούτων αἴτιον εἶναι.—ὁ δὲ λέγεις βίᾳ παρελθόντας σκηνοῦν, ἡμεῖς ἡξιοῦμεν τοὺς κάμνοντας εἰς τὰς στέγας δεῖξασθαι· ἐπεὶ δὲ οὐκ ἀνέφωγον τὰς πύλας, ἢ ἡμῶς ἐδέχετο αὐτὸ τὸ χάριον ταύτῃ εἰσελθόντες ἄλλο μὲν οὐδὲν βίαιον ἐποιήσαμεν, σκηνοῦσι δ' ἐν ταῖς στέγαις οἱ κάμνοντες τὰ αὐτῶν ὀαπανῶντες, καὶ τὰς πύλας φρουροῦμεν, ὅπως μὴ ἐπὶ τῷ ὑμετέρῳ ἀρμოსτῆ ὥσιν οἱ κάμνοντες ἡμῶν. ἀλλ' ἐφ' ἡμῖν ἢ κομίσασθαι ὅταν βουλώμεθα. οἱ δὲ ἄλλοι, ὡς ὄρατε, σκηνοῦμεν ὑπαίθριοι ἐν τῇ τάξει, παρεσκευασμένοι, ἀ μὲν τις εὐ ποιῆ, ἀντ' εὐ ποιεῖν, ἀν δὲ κακῶς ἀλέξασθαι.
- 21

- გაგვიხსნეს ბაზარი და ჩვენც მეგობრებად ჩავთვალეთ [ისინი] და ძალით არათფერი არ წავვიერთმევია. კოტიორელებს
- 19 კი, რომლებიც, როგორც ამბობთ, თქვენები არიან, თუ რამე წავართვით, თვითონ არიან დამნაშავენი, რადგან ისინი მოგვეპყრნენ ჩვენ არა როგორც მოყვრებს, არამედ გადაგვიკეტეს კარები, არ შეგვიშვეს შიგნით, არც სურსათი გამოგვიგზავნეს და განაცხადეს, რომ ამაში თქვენი პარმოსტია⁷³ დამნაშავე.
- 20 რაც შეეხება შენს სიტყვებს, თითქოს ჩვენ ძალით შევედით [ქალაქში და იქ] დავბინავდით, [ამაზე უნდა გითხრა შემდეგი]: ჩვენ ვთხოვდით [კოტიორელებს] ავადმყოფებისათვის თავშესაფარის მიცემას, ხოლო როცა მათ კარი არ გაგვიღეს, მაშინ, რა თქმა უნდა, შევედით სიმაგრეში იქედან, საიდანაც შეიძლებოდა. სხვა მხრივ კი არავითარი სიბოროტე არ ჩავვიდენია. ავადმყოფები სახლებში დაბინავდნენ და ცხოვრობდნენ თავის ხარჯზე. ჩვენ ვლარაჯობთ კარებს, რათა ჩვენი ავადმყოფები თქვენი პარმოსტის მორჩილებაში არ აღმოჩნდნენ და მათი წაყვანა შეე-

* იველისხმება: ქალაქში.

- 22 *A δὲ ἠπείλησας ὡς ἦν ἡμῖν
δοκῆ Κορύλλαν καὶ Παφλαγῶνας
ξυμμαχούς ποιήσεσθαι ἔφ' ἡμᾶς,
ἡμεῖς δὲ ἦν μὲν ἀνάγκη ἢ πο-
λεμήσομεν καὶ ἀμφοτέροις ἢ ὅη
γάρ καὶ ἄλλοις πολλαπλασίοις
ἡμῶν ἐπολεμήσαμεν. ἂν δὲ δοκῆ
ἡμῖν καὶ φίλον ποιεῖσθαι τὸν
Παφλαγῶνα — ἀκούομεν δὲ αὐ-
23 τὸν καὶ ἐπιθυμεῖν τῆς ἡμετέρας
πόλεως καὶ χωρῶν τῶν ἐπι-
θαλαττίων—πειρασόμεθα ξυμ-
πράττοντες αὐτῷ ὡς ἐπιθυμεῖ
φίλοι γίγνεσθαι.

- ძლოთ, როცა კი მოგვესურ-
21 ვება. დანარჩენები, როგორც
ხედავთ, დავბინავდით ღია
ციხეებში საბრძოლო მდგომა-
რეობაში და მზად ვართ სი-
კეთე მივუტანოთ მათ, ვინც
კეთილად მოგვეპყრობა და
სამაგიერო ვუზღაოთ ბორო-
22 ტებისათვის. რაც შეეხება
შენს ქაღილს, თითქოს თქვენ
განზრახული გაქვთ შეკრათ
კავშირი ჩვენს წინააღმდეგ
კორიულისთან და პაფლაგონი-
ასთან, თუ გარდუვალი იქნება
ერთსაც შევებრძოლებით და
მეორესაც: ჩვენ ხომ უკვე ვი-
ომეთ სხვებთან, თქვენზე ბევ-
რად უფრო მრავალრიცხოვან
[მტრებთან]. ამასთან, იქნებ
ჩვენც გადავწყვიტოთ მეგო-
ბრობის გაბმა პაფლაგონიას-
თან, [მით უმეტეს] გაგონილი
23 გვაქვს, რომ მას თვალი უქი-
რავს თქვენ ქალაქზე და
ზღვისპირა სიმაგრეებზე.
ჩვენ შევეცდებით დავუმეგო-
ბრდეთ მას და ხელი შევუწე-
ყოთ მის ზრასებებს.

§ 24—25: ქსენოფონტის სიტყვის შემდეგ სინოპელებმა მოიბოდიშეს და ყოვე-
ლივე პეტრონიუსს დაუფიქრებელ ლაპარაკს დააბრალეს. ამასთან უბრძანეს კოტიო-
რელებს, რომ სტუმართმოყვარეობის ნიშნად ძღვენი გამოეგზავნათ მოქირავნეთა-
ვის.

მე-5 წიგნის მე-6 თავში აღწერილია ბერძენთა თათბირი მათი შემდგომი მგზავ-
რობის შესახებ. სინოპელები ურჩევენ მათ ზღვით გამგზავრებას. ქსენოფონტს კი უნ-
და შავი ზღვის სანაპიროზე ახალშენის დაარსება. ამას წინააღმდეგენ სხვა სტრატეგო-
სები, რომელთაც მიმართეს პერაკლელ და სინოპელ სოვდაგრებს და უთხრეს, რომ
თუ ისინი ფულს არ მისცემენ მეომრებს, მაშინ ეს უკანასკნელნი დარჩებიან პონ-

ტოზე. სოვდაგრები პირღებთან ფელის მიცემას; ქსენოფონტიც უარს ამბობს თავს განზრახვაზე და ელადში გამგზავრებაზე თანხმღება. როცა ეს ცნობილი ზღუბა პერაკელუღებისათვის, ისინი მოქირავნებს უგზავნიან ზომალღებს, ზოლო დაპირე-ბულ ფულს კი არა. მაშინ სტრატეგოსებმა, რომღებიც მეომრებს ჯამაგირის მიცე-მას შეპირღნენ, ამ უქანასქნელთა შიშით გადაწყვიტეს აენტურახე წასელა.

V, 6

- 36 ...*Ἐρχονται πρὸς Ξενοφῶντα καὶ λέγουσιν ὅτι μεταμέλῳι αὐτοῖς, καὶ δοκοῖη κρατῆστον εἶναι πλεῖν εἰς Φάσιον, ἕπει πλοῖα ἔστι, καὶ κατασχεῖν τῆν*
 37 *Φασιανῶν χῶρον. Αἰήτου δὲ σῖδοῦς ἐτύγχανε βασιλεύσαν αὐ- τῶν...*

V, 6

- 36 ...[სტრატეგოსები] მივიღნენ ქსენოფონტთან და უთხრეს, რომ ისინი ინანიებენ [ყოველი-ეეს]. ამასთან გამოთქვეს აზ-რი, რომ უმჯობესია ფასისი-საკენ გაცურვა, რაკი ზომალ-ღები არის, და ფასიანთა ქვე-ყნის დაპყრობა. იქ მაშინ აიე-ტის შვილიშვილი მეფობ-ღა.⁷⁴

ქსენოფონტმა უარი თქვა გაცხადებინა ჯარისათვის ეს გეგმა. მაშინ სტრატე-გოსებმა თვით გადაწყვიტეს ამის გაკეთება, მაგრამ მთ არაფერი არ გამოუვიღათ და კოლხეთში ლაშქრობის გეგმა განუხორციელებელი ღარჩა. „ანაბასისის“ მეხე-თე წიგნის მე-7 და მე-8 თავებში და დანარჩენ ორ (II და III) წიგნებში (გარდა უქა-ნასქნელი ორი პარაგრაფისა, რომელთა თარგმანიც წარმოდგენილი გვაქვს) მოთხ-რობილია ბერძენ მოქირავნეთა თავგადასავალი კოტიორიდან პერგამონამღე მგზავ-რობის ღროს.

VII, 8

- 25 (*Ἀρχοντες δὲ οἷδε τῆς βασι- λέως χῶρος ὄσῳν ἐπέλθομεν. Λυδίας ᾽Αρτίμας, Φρυγίας ᾽Αρτακάμας, Λυκαονίας καὶ Καππαδοκίας Μυθραδάτης, Κι- λικίας Συσέννεის, Φοινίκης καὶ ᾽Δραβίας Δέρρης, Σურίας καὶ ᾽Ασσυρίας Βέλεσუს, Βαβυλωνος ᾽Ρωπάρρας, Μιγδίας ᾽Αρβήμας, Φασιανῶν καὶ ᾽Εσπερι- τῶν Τριβάζος· Καρδοσχοι δὲ*
 8. თ. მიქელაძე

VII, 8

- 25 (მმართველები მეფის იმ ქვე-ყნებისა, რომელნიც გავიარეთ, იყვნენ: ლიდიისა—არ-ტიმასი, ფრიგიისა — არტაკა-მასი, ლიკაონიისა და კაპადო-კიისა — მითრიდატე, კილი-კიისა—სვიენესი, ფინიკიისა და არაბეთისა — ღერნესი, სირიისა და ასირიისა—ბე-ლესუსი, ბაბილონისა—როპა-რი, მედიისა—არბაკასი, ფა-

και Χάλυβες: και Χαλ-
 δατοι και Μάκρωνες και
 Κόλχοι και Μοσσύνοι-
 κοι και Κοίτοι και Τιβα-
 ρηνοί αυτόνομοι Παφλαγο-
 νίας, Κορύλας Βιθύων Φαρ-
 νάβαζος, τῶν ἐν Ἑβρώπη Θρα-
 κῶν Ξεσθης. Ἄριθμος συμπά-
 σης τῆς δόου τῆς ἀναβάσεως
 και καταβάσεως σταθμοὶ δια-
 κόσιοι δεκαπέντε, παρασάγγαι
 χίλιοι ἑκατὸν πενήκοντα. στά-
 δια τρισμύρια τετρακισχίλια
 διακόσια πενήκοντα πέντε.
 χρόνου πλήθος τῆς ἀναβάσεως
 και καταβάσεως ἐναυτὸς και
 τρεῖς μῆνες).

სიანებისა და ჰესპერიტები-
 სა⁷⁵—ტირიბაზი; კარლუხები,
 ხალიბები, ხალდები, მაკრო-
 ნები, კოლხები, მოსინიკები,
 კოიტები და ტიბარენები და-
 მოუკიდებელნი არიან⁷⁶. პაფ-
 ლაგონიას [განაგებდა] კორიუ-
 ლა⁷⁷, ბითვინიას—ფარნაბაზი,
 ევროპელ თრაკიელებს —
 26 სევთე. მთელი გზის სიგრძე
 როგორც შიდა ქვეყანაში
 ლაშქრობის, ისე უკანდახვეის
 დროს [შეადგენს]—215 სტათ-
 მოსს, 1150 ფარასანგს, 34255
 სტადიონს, შიდა ქვეყანაში
 ლაშქრობის და უკანდახვეის
 დროის ხანგრძლივობა კი წე-
 ლიწადსა და 3 თვეს).

ქ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

1. ბაბილონი—უძველესი ქალაქი ჩრდილოეთ შუამდინარეთში. ახლანდელი ხილა ერაყში. ეს სახელწოდება აქადურად ნიშნავს ღმერთის კარიბჭეს. ქალაქი იხსენიება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ძვ. წ. XVIII საუკუნეში, მეფე ხამურაბის დროს. ჰყარგავს თავის მნიშვნელობას ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს, როდესაც სელევკოსმა ბაბილონიდან ახლადდაარსებულ სელევკიაში გადაასახლა მოსახლეობის უმრავლესობა. ძვ. წ. II საუკუნისათვის ბაბილონი სწყვეტს თავის არსებობას.

2. ძვ. წ. VIII საუკუნეში კასპიის ზღვის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩამოყალიბებას იწყებს მიდიის სახელმწიფო. მადების ტომებისა და მათ წინააღმდეგ ასურეთის ბრძოლის შესახებ ცნობები ასურულ წყაროებში ჩნდება ჯერ კიდევ ძვ. წ. IX ს. საისტორიო ტრადიცია მიდიელთა ტომების გაერთიანებას და მიდიის სახელმწიფოს წარმოქმნას მიაწერს დეიოკეს (ძვ. წ. VIII ს. დასასრული). განსაკუთრებულ ძლიერებას მიდიამ მიაღწია კიანსარის მეფობაში (ძვ. წ. VII ს. დასასრული). მან დაამბო ასურეთის იმპერია და შორეული ლიდიის წინააღმდეგაც კი ილაშქრა. ძვ. წ. VI საუკუნიდან წინა აზიაში ჩნდება ახალი ღიდი ძალა აქემენიდური სპარსეთის სახით. მიდიის უკანასკნელ მეფეს ასტიავს ბრძოლა უხდება სპარსეთის იმპერიის დამაარსებელთან კიროსთან, მარცხდება მასთან ბრძოლაში და მიდიის სახელმწიფოსაც ბოლო ედება (იხ. Herod., I, 96—99; И. М. Дьяконов, История Мидии, М.-Л., 1956; И. Алнев, История Мидии, Баку, 1960).

3. სუზა—ძველად ელამის დედაქალაქი. შემდეგში სპარსეთის აქემენიდების იმპერიის მთავარი ქალაქი. ამ ადგილს დღესაც სუზა ეწოდება. მდებარეობს თანამედროვე ერაყში.

4. ეკბატანა—მიდიელთა მთავარი ქალაქი. შემდგომში აქემენიდების საზაფხულო რეზიდენცია; უკავშირებენ თანამედროვე ჰამადანს. ეკბატანას დაარსებას საისტორიო ტრადიცია მიაწერს დეიოკეს (Διοδοτος), რომელიც ამავე ტრადიციის მიხედვით მიდიელი ტომების

პირველ გამაერთიანებლად, და მიდიის სახელმწიფოს ფუძემდებლად გვევლინება (იხ. Herod., I, 96—99).

5. ლიდია მდებარეობდა მც. აზიის დასავლეთ ნაწილში. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში შეადგენდა ფრიგიის სამეფოს ნაწილს. ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომლის დედაქალაქია სარდე. განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია კრეზუს (Κρείσσις) მეფობაში (ძვ. წ. VI ს. შუა ხანები). ძვ. წ. 546 წელს სპარსეთის მეფემ კიროსმა ტყვედ იგდო კრეზუსი და ლიდიის სამეფოსაც ბოლო მოეღო. ლიდია შევიდა აქემენიდური სპარსეთის შემადგენლობაში, როგორც სატრაპია, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (შდრ. შესავალი წერილი, გვ. 12).

6. იოხიას (Ίωακίμ) უყოლებდნენ მც. აზიის დასავლეთი სანაპიროს ვიწრო ზოლს და სანაპიროსთან ახლოს მდგომ კუნძულებს მილეტსა და ფოკეას შორის. ამ ქვეყნის უძველეს მოსახლეობას შეადგენდნენ აქვეელი ბერძნები, რომლებიც შეცვალეს შუა საბერძნეთში მოზინადრე ტომებმა იონელებმა. ამ უკანასკნელთა სატომო სახელი დაედო საფუძვლად აღნიშნული მხარის სახელწოდებას.

7. იგულისხმება სპარსეთის მეფე არტაქსერქსე II (ძვ. წ. 404—358 წწ.), რომელსაც კარგი მეხსიერებისათვის უწოდეს Abiataka (ბერძნ. ἀβιάκας) (იხ. შესავალი წერილი, გვ. 15, 16).

8. სტრატეგოსი [στρατηγός] ამ შემთხვევაში სარდალი ბერძნულ სამყაროში უმაღლესი სამხედრო თანამდებობა იყო. ათენში, მაგალითად, ძვ. წ. 501—500 წლიდან კლისთენეს რეფორმების შედეგად მოქმედებდა კოლეგია ათი სტრატეგოსისა, რომელიც არქონტ-პოლემარქოსს (ე. ი. არქონტ-მთავარსარდალს) ემორჩილებოდა. ამ მოვალეობას ცხრა არქონტიდან ჩვეულებრივ მესამე არქონტი ასრულებდა ხოლმე. სტრატეგოსებს ირჩევდნენ ერთი წლით. ამასთან, არ შეიძლებოდა სტრატეგოსად აერჩიათ მოქალაქე, რომელსაც არ ჰქონდა მიღწეული 30 წლის ასაკი (იხ. შესავალი წერილი, გვ. 9, 10), უფრო გვიან სტრატეგოსების კოლეგია კიდევ უფრო დიდ უფლებებს იღებს და მნიშვნელობას უკარგავს არა მარტო არქონტ-პოლემარქოსის თანამდებობას, არამედ ფაქტიურად იკავებს არქონტთა კოლეგიის ადგილს და გადაიქცევა მმართველობის უმაღლეს ორგანოდ.

9. კარდუხების მთები თანამედროვე ქუთისტანის მთიანეთს შეესაბამება (იხ. შესავალი წერილი, გვ. 33, 34).

10. კარდუხების ბინადრობის ადგილი, როგორც დავინახეთ, შედარებით ზუსტად განისაზღვრება: ჩრდილოეთით საზღვარი გადიოდა

მდ. კენტრიტზე (თანამედროვე ბოტან-ჩაი), რომელიც კარდუხების ქვეყანას არმენიისაგან გამოყოფდა, დასავლეთით—მდ. ტიგროსზე, ხოლო სამხრეთით თანამედროვე ქ. ჯიზრეს მიდამოებში. მასასადამე, ისინი ცხოვრობდნენ თანამედროვე ქურთისტანის მთიანეთის დასავლეთ ნაწილში.

ქსენოფონტი კარდუხების სახელის ასეთ დაწერილობას იძლევა *ααρδουχοι*. ამ ეთნიკურ ტერმინს თუ ჩამოვაცლით ბერძნული სახელობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ნიშანს *οι*, მივიღებთ ადგილობრივ ფორმას *კარდუხ*. წყაროებში დამოწმებულია ამ ტომის სახელწოდების სხვა ვარიანტებიც: *Χορδουχοι* (პლუტარქესთან, იხ. SC, I, გვ. 489) და *Cordueni* (ფესტუსთან, SC, II, გვ. 321). კარდუხები უნდა იყოს ნაგულისხმები ახ. წ. მე-4 ს. პირველი ნახევრის მწერლის ევსევის ცნობაში, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ნოეს კილობნის ნაშთები ახლაც არის კორდუაიების მთებზე (*ἔτι τῶν Κορδαίων ὄρει*) არმენების ქვეყანაში (SC, I, გვ. 665). თუ აღნიშნულ ვარიანტებსაც მოვაშორებთ ბერძნულ-ლათინურ სუფიქსებს, მივიღებთ შემდეგ ფორმებს: *გორდუენ*, *კორდუენ* და *კორდუ*.

რაკი კარდუხების სატომო სახელის მაწარმოებელი ერთ შემთხვევაში არის *ხ*, ხოლო მეორეში *ენ*, მაშინ ამ ტერმინის ფუძე-სიტყვა შესაბამისად ყოფილა: *კარდუ*, *გორდუ*, *კორდუ*. ეს ფუძისეული ფორმა, როგორც დავინახეთ, უშუალოდაა დაცული ევსევის ცნობაში.

აღნიშნულ ფუძე-სიტყვას ამ ნახევარი საუკუნის წინათ ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა და გამოთქვა მოსაზრება, რომ *კარდუ* სიტყვა დაცულია ქართველების ეროვნულ სახელწოდებაში *ქართული* (იხ. ქართველი ერის ისტორია, წ. I—II, 1913, გვ. 34—35). იმავე აზრს ადგან *ადონცი*, რომელიც აღნიშნავდა, რომ სამართლიანადაა უარყოფილი ნათესაობა კარდუხებისა და ქურთებისა, რომელთაც ძველი მწერლები აღნიშნავენ *χέρτοι*-ს სახელწოდებით (H. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 398, შნშ. 1, იქვე სათანადო ლიტერატურა: Noldeke, Kardu und kurden. Festschrift für H. Kiepert, Berlin, 1898, გვ. 73 და სხვ.).

მართლაც, თუ საძიებელი სატომო სახელის ვარიანტებს დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ერთ შემთხვევაში თავკიდური ბგერაა *კ* და მისი ლათინური შესატყვისი *C*, ხოლო მეორეში—*გ*. ეს გარემოება

შეიძლება მიუთითებს იმაზე, რომ აქ საქმე გვაქვს ბერძნულ-ლათინური ენებისათვის უჩვეულო ბგერის გადმოცემის ცდასთან. ეს უცხო თავკიდური ბგერა ადვილი შესაძლებელია ყოფილიყო ქ. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ არქანჯელო ლამბერტის შრომაში დაცულია წმ. ეპიფანეს ცნობა, რომელშიც ქართველთა სახელი გადმოცემულია ტერმინით *Cardiensium*; ყოველ შემთხვევაში ამ ტერმინს ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს არქანჯელო ლამბერტი (იხ. მისი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 8—9). აქ ორი გარემოება იქცევს ყურადღებას: ერთი, რომ იტალიელი მწერალი კანონზომიერად თვლის ქართული ქ ბგერის ლათინური C ბგერით გადმოცემას, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ *Cardiensium* ასევე კანონზომიერ შესატყვისად მიაჩნია ტერმინისა ქართველი.

საძიებელი ტერმინის ვარიანტებში ყურადღებას იქცევს თავკიდური ბგერების მომდევნო ბგერათა ვარიაციაც: ერთ შემთხვევაში გვაქვს ა. (შდრ. კარდუხი), ხოლო მეორეში ო (შდრ. გორდუენი, კორდუენი, კორდუ). ეს მოვლენა ახსნილია მეგრულ-ქართულის ურთიერთობის ნიადაგზე: ქართული ა, როგორც წესი, მეგრულში ო-ს იძლევა. შესაბამისად, ქართული ტერმინი ქართველი მეგრულში ქორთუ-ს გვაძლევს. როგორც ჩანს, კარდუხების სახელის ონიანი ვარიანტები ხსენებულ წყაროებში მეგრულ-ჭანური ტომების მეშვეობითაა შესული (იხ. Г. А. Меликишвили, Наирн-Урарту, 1954, გვ. 399). ამაზე შეიძლება მიუთითებდეს ისიც, რომ ონიანი ვარიანტები ნაწარმოებია ენ სუფიქსით, რომელიც (ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, გვ. 210—202) ვარიანტია კრებითობისა და წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელი ან სუფიქსისა. აღსანიშნავია, რომ ან სუფიქსი და მისი ვარიანტები (ან, ონ) უპირატესად დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) ტომების ეთნიკურ სახელებს აწარმოებს (შდრ. ზანი, ჭანი (ვარიანტი—ჟენი) სვანი, ფასიანი, მაკრონი, ტიბარენი, სკვითინი resp. სკვითენი და სხვ.).

ამრიგად, შეიძლება მართლა ვიფიქროთ, რომ კარდუხების მეზობლად ბინადრობდნენ მეგრულ-ჭანური ტომები, რომლებიც თავისებურად აწარმოებდნენ კარდუხების სახელს. კარდუხების მეგრულ-ჭანურ მოსახლეობასთან მეზობლობაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე „ანაბასისში“ მოხსენებული სახელი კარდუხების სასაზღვრო მდინარისა *Κενρπτης*. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქსენოფონტისეული კენტრიტი „უეკველია ქართულ კინტრიშს უდრის“ (ქართველი

ერის ისტორია, I—II, 1913, გვ. 39, შნშ.). ამ სახელწოდების მდინარე დამოწმებულია აქარაშიც, სადაც ოდითგან ქანური ტომები ცხოვრობდნენ. ხოლო სუფიქსი ში, რომლითაც ნაწარმოებია ეს სახელი, მას დასავლურ-ქართულ ტოპონიმიკის სფეროში აქცევს.

როგორც ვხედავთ, მოიპოვება სრულიად გარკვეული მასალა საიმისოდ, რომ კარდუხები ქართველი ტომების წრეს მივაკუთვნოთ. მაგრამ მეორე მხრივ გასარკვევია ისიც, თუ როგორ აღმოჩნდნენ კარდუხები შორს სამხრეთით. ივ. ჯავახიშვილისათვის ეს საკითხი არ არსებობდა, რადგან მისი კონცეპციით ქართველები კავკასიაში სამხრეთიდან იყვნენ მოსული. შემდგომი ხანის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უარი თქვა აღნიშნულ კონცეპციაზე და ეს საკითხი ასახსნელი დარჩა. ამიტომაც, რომ ი. დიაკონოვმა ასე დააყენა საკითხი: „И зачем бы оседлым с глубокой древности грузинским племенам было покидать освоенные тысячелетием их труда районы ради того, чтобы осесть в неприступных горах Курдистана? (იხ. ВДИ, 1954, № 3, გვ. 93). დიაკონოვი კარდუხებს ხური-ურარტულ ტომად თვლიდა, ხოლო ტერმინი „კარდუხი“ არ მიაჩნდა ეთნიკურ ტერმინად. მაგრამ რაკი ეს ტერმინი, როგორც დავინახეთ, ძველთაგანვე ორი სხვადასხვა წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსით (ბ ი და ე ნ) იწარმოება ეს იმის მაჩვენებელია, რომ ფუძე სიტყვა (კ არ დ უ. გ ო რ დ უ, კ ო რ დ უ) ქვეყანას აღნიშნავდა, ხოლო ტერმინი მთლიანად ამ ქვეყნის მცხოვრებს.

რამდენიმე წლის წინ კარდუხების საკითხს კვლავ შეეხო გ. მელიქიშვილი (იხ. მისი К Истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. გვ. 107—109 და შნშ. 241) და წამოაყენა შესაძლებლობა, რომ კარდუხები მუშქების ერთ-ერთი ტომია. ამასთან, ავტორი გარკვეულ კავშირს ხედავს კარდუხებსა და დასავლეთის მუშქებს შორის. კერძოდ, იგი კარდუხების—გორდუენების სახელწოდებას უკავშირებს ფრიგიის დედაქალაქის სახელს „გორდიონი“ და ფრიგიის დინასტიურ სახელს „გორდია“. ავტორი ამავე დროს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ კარდუხების სახელი იმალებოდეს სახელწოდებაში „კატმუხი“|| „კუტმუხი“, რომელიც დამოწმებულია ასურულ წყაროებში კარდუხების გავრცელების რაიონში მუშქების შემოსევის წინა ხანებში ძვ. წ. XIV—XIII სს.

11. აღსანიშნავია, რომ ტიგროსის ზემო წელზე, ერგანი მადენში არის ლითონის მდიდარი საბადოები, რომელიც უძველესი დროიდან მუშავდება (იხ. Ксенофонт, „Анабасис“, перевод, статья и приме-

ჩანია მ. ი. Максимовой, გვ. 269, №8. 3. იქვე ლიტერატურა: Н. v. d. Osten, Explorations in Hittite Asia Minor in 1929: Oriental Inst. of the Univ. of Chicago. Orient. Inst. Communications № 8 (1929), გვ. 159).

12. ქეირისოფოსი—კიროსის ერთ-ერთი სტრატეგოსი, წარმოშობით ლაკედემონიდან (Anab., I, 4, 3). სპარსელთა ტყვეობას ასცდა შემთხვევით, რადგან გაგზავნილი იყო სურსათის საშოვნელად (Anab., II, 5,37). სპარსელთა მიერ ბერძენის სტრატეგოსების დახოცვის შემდეგ მოქირავნეთა არმიაში ყველაზე უფროსი და გავლენიანი სტრატეგოსია, რომელიც ქსენოფონტთან ერთად ხელმძღვანელობდა მოქირავნეთა გაყვანას შავი ზღვისაკენ.

13. ლოხი (λῆξις) ეწოდებოდა სამხედრო რაზმს, რომელსაც მეთაურობდა ლოხაგოსი (λοχαγός). სამხედრო დაყოფის თვალსაზრისით ლოხი შეესაბამებოდა რომაულ ცენტურიას (Centuria). ლოხის შედგენილობა ყოველთვის ერთი არ იყო, შესაბამისად მასში შემავალი ჯარისკაცების რაოდენობაც იცვლებოდა. თუკიდიდეს ცნობით (V, 68,3) ყოველი ლოხი შედგებოდა 4 პენტეკოსტისისაგან (πεντεκιστας), რომელიც ჩვეულებრივ აღნიშნავდა 50 კაციან რაზმს, თუმცა ამ ქვედანაყოფში შეიძლება მეტი მეომარიც ყოფილიყო გაერთიანებული, ხოლო ყოველი პენტეკოსტისი—4 ენომოტიისაგან (ἑννομοτιαι). ეს ტერმინი სიტყვასიტყვით ფიცით შეკავშირებულს ნიშნავს. ენომოტიებში გაერთიანებული მეომრები ერთიმეორესთან ფიცით იყვნენ შეკრული. ქსენოფონტის მიხედვით ლოხში 2 პენტეკოსტისი შედიოდა, ხოლო პენტეკოსტისში 2 ენომოტია. სწორი ლოხი (λῆξις ἄριστη) ისეთ წყობას ეწოდებოდა როდესაც ლოხი დარაზმებული იყო კოლონად, ე. ი. წყობა სიღრმეში იყო წასული და არა განში მსგავსად ფალანგისა. ბრძოლის ველის თავისებურებათა მიხედვით სწორ ლოხში რიგში შეიძლება ერთი მეომარიც მდგარიყო. ამასთან, ყოველი სწორი ლოხი ერთიმეორისაგან დიდი მანძილით იყო დაშორებული, რაც მეომრებს ბრძოლის დროს მანევრირების საშუალებას აძლევდა.

14. ძველი ბერძნები დიდ ცოდვად თვლიდნენ მიცვალებულების დაუკრძალავად დატოვებას. მაგალითად, ჰომეროსის „ილიადის“ რამდენიმე სიმღერა (II., XVII—XXII პატროკლეს გვამისათვის ბრძოლის აღწერისადმი) მიძღვნილი. ბერძნები არაფერს არ იშურებდნენ ოლონდ კი ეპატრონათ თავიანთი მიცვალებ-

ბულებსათვის და სათანადო ადათწესების მიხედვით დაეკრძალათ ისინი. ეს განსაკუთრებით მძაფრადაა აღწერილი „ილიადის“ XXII სიმღერაში, როდესაც მომაკვდავი ჰექტორი ემუდარება განრისხებულ აქილევსს—რამდენიც გინდა სპილენძი და ოქრო მოითხოვე, ჩემი მშობლები გამოგიგზავნიან, ოღონდ კი ჩემი გვამი შინ დააბრუნე, რომ ტროელებმა უკანასკნელი პატივი დამდონო (იხ. II, XXII, 237–243).

15. როგორც აღნიშნული იყო (იხ. შესავალი, გვ. 34) ქსენოფონტის აღწერილობის მიხედვით შესაძლებელია კენტრიტის ზუსტი იდენტიფიკაცია. იგი თანამედროვე ბოტან-ჩაის შეესაბამება. კენტრიტის სახელწოდების შესახებ იხ. შნშ., 10.

16. იგულისხმება კიროსის უფროსი ძმა არსაკი მეფობაში არტაქსერქსე II (ძვ. წ. 404—358 წწ.) იხ. შნშ. 7.

17. ტისაფერნე ჰიდარნესის ძე, ცნობილი სპარსელი დიდებული დაროს II ნოთოსის (ძვ. წ. 423—404 წწ.) და არტაქსერსე II (ძვ. წ. 404—358 წწ.) კარზე. მას მოუხდა მოღვაწეობა ძალიან რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. მისი და სტატირა ცოლად ჰყავდა დაროს II უფროს ვაჟს არსაკს (შემდგომში არტაქსერქსე II), ხოლო მის ძმას ტერიტუხმესს დაროს II ქალიშვილი (ე. ი. არსაკის და) ამესტრისი. ტისაფერნე განსაკუთრებით აღზევდა 413 წ., როცა აჯანყდა ლიდიის სატრაპი პისუთნე, რომელიც დაამარცხა მან და ჭილდოდ ლიდიის სატრაპია მიიღო. მაგრამ, 412 წლამდე ტისაფერნემ ვერ შეძლო პისუთნეს შვილის ამორგების დამორჩილება. მალე ტისაფერნეს მღვდომარეობა შეირყა: 410 წ. მისმა ძმამ ტერიტუხმესმა მოაწყო დიდი შეთქმულება დაროს II წინააღმდეგ. მას შეთქმულება გაუგეს. ამით ისარგებლა დაროს II მეუღლემ პარისატისმა, რომელიც ფაქტიურად იმპერიას განაგებდა, და გააწყვეტინა ჰიდარნესის მთელი საგვარეულო. მხოლოდ არსაკის ვედრებამ გადაარჩინა სტატირა, რომელიც პარისატისმა მრავალი წლის შემდეგ მაინც მოწამლა. პარისატისის შურისძიებას გადაურჩა ტისაფერნეც. პარისატისმა დაითანხმა დაროს II და ლიდიის, ფრიგიის და კაპადოკიის მმართველად თავისი საყვარელი შვილი კიროსი დაანიშნინა. ტისაფერნემ დაკარგა ლიდია. იგი დაინიშნა კარიისა და იონიის ქალაქების მმართველად, რის გამოც პარისატისისა და კიროსის დაუძინებელ მტრად იქცა. 405 წ. დაროს II ავად გახდა და სამეფო კარზე დაისვა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. ტახტი უფროს შვილს არსაკს ეკუთვნოდა, პარისატისი კი ცდილობდა როგორმე კიროსი გაემეფებინა.

ნა. დარიოსის გარდაცვალებამდე (404 წლის აპრილამდე) რამდენიმე ხნით ადრე არსაკმა მოახერხა ტახტზე ასვლა. ტისაფერნემ დრო იხელთა და არსაკთან დაასმინა კიროსი, თითქოს იგი შეთქმულებას ამზადებდა მის წინააღმდეგ. არტაქსერქსეს ბრძანებით კიროსი შეიპყრეს. მაგრამ პარისატისმა იხსნა იგი და კვლავ დაუბრუნა მას თავისი სატრაპია. გაბოროტებული კიროსი ახლა უკვე მართლა შეუდგა მზადებას თავისი ძმის არტარქსერქსე II წინააღმდეგ გასალაშქრებლად (შდრ. Anab., I, 1,3 და შმდ.). ეს ლაშქრობა და მისი შედეგებია სწორედ, როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, აღწერილი „ანაბასისში“, კიროსის სიკვდილის შემდეგ ტისაფერნემ შეიტყუა ბერძენი სტრატეგოსები და დაახოცინა ისინი (იხ. Anab., II, 5,1—48). შემდეგ მან შეუტია ბერძნულ პოლისებს, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ სპარტამ მას ომი გამოუცხადა. პირველად წარმატება ტისაფერნეს მხარეზე იყო. 396 წ. აზიაში ჩამოდის სპარტის მეფე აგესილავი, რომელმაც გაანადგურა ლიდია და სასტიკი დამარცხება აგემა ტისაფერნეს სარდესთან. განრისხებულმა არტაქსერქსე II, როგორც ჩანს, არც თუ პარისატისის შეგონების გარეშე. თავი მოჰყვეთა ტისაფერნეს (შდრ. Xenophon, Hell., III, 4, 25) და ბოლო მოუღო ჰიდარნესის საგვარეულოს (იხ. W. W. Tarn, დასახ. ნაშრომი, CAH, VI, გვ. 3, 4, 19).

18. არმენიაშიაქ იგულისხმება აღმოსავლეთი არმენია, რომელმაც ტიგროსის ზემო წელზე მდებარეობდა. მას განაგებდა არტაქსერქსე II-ის სიძე (ქალიშვილის ქმარი) ორონტი, რომელიც კიროსის არმიას ებრძოდა ადრევე ტისაფერნესთან ერთად (შდრ. Anab., II, 4,8—9 და შმდ., აგრეთვე III, 4, 13). არტუხი, როგორც ჩანს, ორონტის სარდალი იყო. ვ. ტარნი აღმოსავლეთ არმენიას მიიჩნევს დარიოსის 18 სატრაპიად (CAH, VI, გვ. 12). მაგრამ, როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს არმენიის ერთი ნაწილის შემდგომ გამოყოფასთან, არმენიის, რომელიც ჰეროდოტეს ალაროდიას უნდა შეესაბამებოდეს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში არმენიის ორ ადმინისტრაციულ ერთეულად, აღმოსავლეთ და დასავლეთ არმენიად, გაყოფას დარიოსის მე-18 სატრაპია არსებითად ძველ ფარგლებში რჩება; მასში კვლავ ერთიანდებიან ჰესპერიტები (=ჰეროდოტეს სასპერიტებს), არმენია (=ჰეროდოტეს ალაროდიას) და ფასიანები. ამ უკანასკნელთა ნაცვლად ჰეროდოტე მათიენებს ასახელებს (იხ. Anab., IV, 4, 4; VII, 8,25. შდრ. Herod., III, 94. შდრ. აგრეთვე, თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცული ერთი ცნობის შესახებ; საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXI, № 2, 1958, გვ. 251).

19. მარდები (Μάρδοι) — მომთაბარე სპარსული ტომი (ზღრ. Herod., I, 125, 4, აგრეთვე Strab., XI, 6. 2).

20. სალდები (Χαλδαῖοι) — ქანების ერთ-ერთი ტომი. მათ შესახებ დაწერილებით იხ. შნშ. 59.

21. ლიკიოსი ცხენოსანთა რაზმის მეთაური იყო მოქირავნეთა არმიაში (იხ. Anab., IV, 3, 27).

22. ფალანგის წყობა სწორი ლოხის საწინააღმდეგო წყობაა. ასეთ შემთხვევაში ლოხში შემავალი ენომოტიები, წინააღმდეგ სწორი ლოხის წყობისა (იხ. შნშ. 13), როცა ენომოტიები ერთიმეორის უკან იდგნენ და სიღრმეში იყვნენ გაზიდული, დგებიან ერთიმეორის გვერდით, ამასთან მეომრები უდგებიან ერთიმეორეს მარცხნივ (παρὰ δεξιῶν, ფარის მხარეს). მაშასადამე, განში ერთი მეომარი კი არ დგას, როგორც ეს სწორ ლოხში იყო, არამედ იმდენი, რამდენი ენომოტიაც შედიოდა ლოხში.

23. ენომოტარქოსი (ἐνωμοτάρχος) ეწოდებოდა ენომოტიის მეთაურს, რომელიც მწყობრში სათავეში ედგა ენომოტიას.

24. ჰეტერა (ἑταῖρα) ეწოდებოდათ თავისუფალი ყოფაქცევის ქალებს, რომელნიც არმიებს თან მიჰყვებოდნენ ხოლმე ლაშქრობის დროს. ჰეტერები ალალთან ერთად ჩვეულებრივ არმიის არიერგარდში იმყოფებოდნენ.

25. პეანი (παῖς) — გუნდური ჰიმნი, რომელიც სრულდებოდა აპოლონის სადიდებლად, უფრო იშვიათად არტემიდასი. პეანში ჩვეულებრივ შესთხოვდნენ ხოლმე ლეთაებას დახმარებოდა მათ მტრების დაძლევაში ან ავადმყოფის განკურნებაში და სხვ. ამისდა მიხედვით პეანი სხვადასხვა იყო: სამადლობელი პეანი, ძლევის პეანი (გავიხსენოთ ჰექტორის მოკვლის შემდეგ აქილევის სიტყვები: „ახლა იმდერეთ ძლევის პეანი აქვევლთ ძენო“ (II., X XII, 391), საბრძოლო პეანი და სხვ. ქსენოფონტის ტექსტში, როგორც ჩანს, საბრძოლო პეანი იგულისხმება.

26. ტირიბაზი დასავლეთ არმენიის სატრაპი. დასავლეთი არმენია აღმოსავლეთ ეფრატის (თანამედროვე მურად-სუ) აუზში მდებარეობდა. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რომ ტირიბაზი განაგებდა აგრეთვე ჰესპერიტებსაც (= ჰეროდოტეს სასპერიტებს), მაშინ დასავლეთი არმენია დარიოსის 18-ე სატრაპიას უნდა შეესაბამებოდეს (ზღრ. შნშ. 18. იხ. აგრეთვე თ. მიქელაძე, ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 32-ა, 1955, გვ. 24, 25 და შმდ.).

27. ხალიბების და ტაოხების შესახებ იხ. შნშ. 30 და 66. ეს ცნობა კი სხვა მხრივაც იქცევის ყურადღებას: ცალკეული ტომები, რომელნიც, როგორც ირკვევა, სპარსეთის მორჩილებაში იმყოფებოდნენ, ძვ. წ. V ს. დასასრულს გვევლინებიან სპარსეთის ჯარში არა მოვალე მოლაშქრეებად, არამედ მოჭირავნეებად. მაშასადამე, ბეგარა და ვალდებულება ნებაყოფლობითი ურთიერთობითაა შეცვლილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სპარსეთის მორჩილებაში მყოფ ზოგიერთ ხალხებს მოუპოვებია თავისუფლება. ამის შესახებ ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცულია პირდაპირი ცნობა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან უთითებს ოდესღაც სპარსეთის მორჩილებაში მყოფი ხალხების ცხოვრებაში მომხდარ დიდ სოციალ-ეკონომიურ ძვრებზე (იხ. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცული ერთი ცნობის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXI, № 2, 1952).

28. ამ ცნობის განმარტება და მოჭირავნეთა მარშრუტის იდენტიფიკაცია იხ. შესავალ წერილში, გვ. 28—30, აგრეთვე. შნშ. 29.

29. ფასიანები, როგორც აღნიშნული იყო, ბინადრობდნენ ფასის-არაქსის ზემო წელზე მერმინდელ ბასიან-ჰასანყალას რაიონში. ამ ტომის სახელწოდებამ *ფაძაჯოი* იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ფიქრობდა, რომ ბ ა ს ი ა ნ ი, სახელწოდება პუნქტისა მდ. არაქსის ზემო წელზე, სახენაცვალი ფორმაა სახელისა ფ ა ს ი ა ნ ი, რომელიც თავის მხრივ უნდა მომდინარეობდეს სიტყვისაგან ფ შ ა, ფ შ ა ნ ი (ნიშნავს წყაროს, სათავეს) და ფ შ ი ა ნ ი, რაც წყაროებით, სათავეებით და, საერთოდ, წყლით მდიდარ ან ჰაობიან ადგილს ნიშნავს (Царевич Вахушти, География Грузии, введение, перевод и примечания М. Г. Джанашвили, ИКОИРГО, кн. XXIV, вып. 5-й; Тифлис, 1904, გვ. 183, შნშ. 529). ასეთივე აზრისაა პ. ინგოროყვა. მისი შეხედულებით ფ ა ს ი ა ნ ი, ფ ა ს ი ს ი, ფუძით ფ ა ს ი უკავშირდება ფ შ ა || ფ ს ი ფუძიან სიტყვებს ფ შ ა ტ ა ლ ა, ფ შ ა ნ ი და ა. შ. (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 164—186 519). ტერმინები *ფაძაჯოი* და *ფაძაჯ* რომ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ეს აშკარაა. ტერმინში *ფაძაჯოი*, *ოი* ბერძნული სახელობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ნიშანია. მაშასადამე, ადგილობრივი ფორმა სიტყვისა არის *ფაძაჯ*. ამ უკანასკნელში კი ა ნ უნდა იყოს ის წარმომავლობა-კრებითობის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სუფიქსი, რომელიც თავისი ვარიანტებითურთ (ან, ონ) ისტორიულ და დღემდე ცოცხალ დასავლურ-ქართულ სატომო სახელებს აწარმოებს (შდრ. სვ-ან-ი, ჰ-ან-ი, ტიბარ-ე ნ-ი ვარიანტი—ტიბარ-ა ნ-ი, მაკრ-

ო ნ-ი, შკვით-ენ-ი და სხვ.). ამრიგად, საძიებელი ტერმინის ფუძეა ფ ა ს, ან როგორც ფიქრობენ, ფ ა ს თ და ამ უკანასკნელის სევანური შესატყვისი ფ ა შ დ (შდრ. ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადილეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში. შრომები, ტ. III, გვ. 122; გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ. 59—60). ი კი შეიძლება აქ ინფიქსი იყოს, რომლის მეშვეობითაც სიტყვათწარმოების დროს ა ნ სუფიქსი ფუძეს უკავშირდება (შდრ. ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, 1937, ტ. I, გვ. 210). ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ანტიკურ წყაროებში ფართოდ გავრცელებულ დასავლეთ საქართველოს მდინარეთა სახელწოდებასთან ფაძჃ დაკავშირებით. აქაც სიგმა ბერძნულ სუფიქსად გამოიყურება. ფორმა ფ ა ს ი ს ი ბერძნული მწიგნობრული გზით ჩანს შემოსული ქართულში (ფ ა ს ი ს + ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი). მაშასადამე, აქაც სიტყვის ფუძეა ფ ა ს. ახლა საკითხი ისმის ფ ა ს resp. ფასთ და ფ ს ი. ფ ს ე და მათ შესატყვის ფ შ ა ფუძეთა ურთიერთ მიმართების შესახებ. როგორც დავინახეთ, მკვლევარები (მ. ჯანაშვილი, პ. ინგოროყვა) ამ ფუძეთა იგივეობის მომხრენი არიან. აღნიშნული ფუძეების ურთიერთდამთხვევის შესაძლებლობას სავსებით არც ს. ჯანაშია უარყოფდა (ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადილეური) ელემენტები საქართველოს ტოპონიმიაში, შრომები, ტ. III, გვ. 117—123). თუ გამოვალთ იქიდან, რომ ფ ა ს სიტყვა, როგორც წესი, საფუძვლად უდევს სიტყვა ფ ა ს ი ს ს, რომელიც მდინარის სახელწოდებაა და, რაც მთავარია, არა ერთი რომელიმე მდინარისა, არამედ რამდენიმესი (რიონის, ჭოროხის, არაქსის, იბ. ს. ჯანაშია, ფასიდი, შრომები, ტ. II, გვ. 271—281), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა ფ ა ს ი ზოგად, საფიქრებელია, წყალთან დაკავშირებულ ცნებას გამოხატავდა. ამ სიტყვის საკუთარ სახელად ქცევა მისი ისტორიის შემდგომ ეტაპს უნდა ასახავდეს. ასეთი ვარაუდის გაზიარების შემთხვევაში ფ ა ს და ფ ს ა||ფ ს ე||ფ ს ი სიტყვები, რომელნიც ჩერქეზულ ენებში წყლის და მასთან დაკავშირებულ ცნებებს გამოხატავენ, სემანტიკურად ემთხვევა ურთიერთს. საყურადღებოა, რომ ფ ა ს სიტყვით ნაწარმოები სახელები ისტორიულად და დღემდე დამოწმებულია ფასის-არაქსის ზემო წელზე, ჭოროხის ხეობაში და რიონის ხეობაში ფასი-ბასიანის მთებამდე (რაქაში).

შესაბამისად, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ფ ა ს ი ა ნ ი ფასისის აუზში მცხოვრებს, ფ ა ს ი ს ე ლ ს აღნიშნავს. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ქსენოფონტი კოლხეთსაც ფასიანთა ქვე-

ყანას (Φασαγῶν χάρα) უწოდებს (Anab., V, 6, 36) თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფასი სიტყვა, რომელიც საფუძვლად უდევს ტერმინს ფასიანი და თავისი შინაარსით წყალს უკავშირდება, აღნიშნავს მდინარეებს, მდინარეთა ხეობებს, სადაც მდინარეთა სათავეებია, და ა. შ., დამოწმებულია ისეთ მხარეებში, რომელნიც წყლის სიუხვით (მდინარეებით, ტბებით, წყაროებით) გამოირჩევიან, შეიძლება გვეფიქრა, რომ ფასიანი წყლით უხვი ქვეყნის მცხოვრებს აღნიშნავს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ფილოსტრატე უმცროსის შემდეგი ცნობა: „არგო, რომელმაც გაიარა ბოსფორი და ქსიმპლეგადი და რომელსაც მიჰყავდა ორმოცდაათნი, ახლა ფასისში დგას. ჰხედავთ თვით მდინარის ღმერთსაც, ხშირ ლერწამში მწოლარეს. მას მკაცრა გარეგნობა აქვს: ყალყზე შემდგარი ხშირი თმა, საზარელი წვერი და ღია ფერის თვალები. უხვი ნაკადი მოედინება ქურჭლიდან კი არა, როგორც ამას ჩვეულებრივ გამოსახავენ ხოლმე, არამედ მთელი მისი სხეულიდან და წარმოსადგენს ხდის, თუ რაოდენი ძალა აქვს მის ვარდნას პონტოში“ (SC, I ვ, გვ. 644). ამ ცნობიდან, ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ ფასიანთა ქვეყანაში წყლის კულტი იყო გამეფებული და თავყანს სცემდნენ ფასისს—წყლის ღვთაებას. რაც შეეხება ფასიანების ეთნიკური კუთვნილების საკითხს, თვით ტერმინი და მისი წარმოება მიუთითებს მათს კუთვნილებაზე დასავლურ-ქართული ეთნიკური წრისადმი, ამის სასარგებლოდ მეტყველებს ფასიანების ეთნიკური ვარემოცვაც, (ჰესპერიტები, ხალიბები, ტაოხები). დასასრულ, გასათვალისწინებელია ბერძნული ტრადიცია, რომელიც შეიძლება ადგილობრივი თქმულებიდან მომდინარეობდეს. ძვ. წ. III ს. ბუკოლიკური პოეტის თეოკრიტეს სქოლიოებში არის ასეთი ცნობა: „მნასეასი! ამბობს, რომ კოლხებმა თავისი სახელი მიიღეს კოლხისაგან, რომელიც ფასისის ვაჟი იყო“ (SC, I₂, გვ. 398). იმავე თქმულებას იმეორებს ეესტათი თესალონიკელი დიონისეს „ქვეყნის აღწერის“ კომენტარებში (ВДИ, 1948, № I, გვ. 252). მაშასადამე, გენეალოგიურადაც ფასიანები კოლხებს უკავშირდებიან (იხ. თ. შიქელაძე, ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის; მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 32-ე, 1955, გვ. 23—35). ეს გარემოება სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. საქმე ისაა, რომ, როგორც ირკვევა, კოლხური ეთნიკური ელემენტის ბუდე სამხრეთ-დასავლეთი

1 აღქსანდრიელი მეცნიერი, ცხოვრობდა ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარში, ფიქრობენ, რომ ერატოსთენეს მოწაფე იყო.

საქართველო იყო და ანტიკური წყაროების აიეტის სამეფოც იქაა საძიებელი. კოროხისა და ფასის-არაქსის სათავეებთან კოლხური ტომის ფასიანების არსებობა კიდევ ერთი მძლავრი საბუთია ამ მოსაზრების სასარგებლოდ (იხ. თ. მიქელაძე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის; საქ. მეცნ. აკად. საზოგ. რეცენიერებათა განყოფილების მოამბე, ტ. II, 1960, გვ. 164—198).

30. ანტიკურ წყაროებში ტაოხების სატომო სახელის ორი ვარიანტია დაკული *ταοχι* (ამ ფორმას, როგორც ვხედავთ, ქსენოფონტი ხმარობს) და *ταοι*, რომელიც ქსენოფონტის თანამედროვესა და თანამოლაშქრეს სოფაინეტე სტიმფალიოსელს ჰქონია დამოწმებული (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. III, გვ. 279, 284). დიოდორე სიცილიელი, რომელიც, როგორც ცნობილია, კიროსის მოქირავნეთა ლაშქრობის აღწერისას სოფაინეტე სტიმფალიოსელის შრომას ემყარება. ტაოხებს უწოდებს *χταοι* (Diod., XIV, 29). ცხადია, რომ ეს ფორმა მიღებულია გადამწერთა შეცდომის შედეგად, ხოლო დიოდორეს, ისევე, როგორც სოფაინეტეს *ταοι* უნდა ჰქონოდა. სოფაინეტე სტიმფალიოსელს, როგორც ვხედავთ, დაუცავს ტაოხების სატომო სახელის რამდენადმე გამარტივებული ფორმა, რომელიც ფუძე-სიტყვა უნდა იყოს ორივე ვარიანტისათვის. ქსენოფონტის ვარიანტში „ხ“ სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსია, როგორც ფიქრობენ, ხური-ურარტული წარმოშობისა. მაგრამ ადრევე შემჩნეული იყო, რომ „ხ“ ელემენტი, როგორც მრავლობითობის მაწარმოებელი, იმთავითვე იყო დამახასიათებელი როგორც ქართული გვარისახელებისა და სატომო სახელების (ტაოხი, დიაუხი, ჭავახი და სხვ.) წარმოებისათვის, ისე ადიღეური ენებისათვის (იხ. ს. ჭანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, III, გვ. 101 და შმდ.; გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XIII, 1955, გვ. 6—8). მაშასადამე, ტაოხი ნიშნავს ტაო ქვეყნის მცხოვრებს, ტაოელს. როგორც ცნობილია, ტაო ეწოდებოდა ისტორიული საქართველოს უძველეს პროვინციას, რომელსაც დღემდე ტაო ჰქვია (თანამედროვე ოლთისის ოლქი) და სადაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები (გვ. 41) ტაოხები ცხოვრობდნენ. ტაოხებს დიაუხის თუ დიაუეხის (*diauhi* || *Diauehi*) სახელით იცნობენ ურარტული წყაროები, ხოლო ასურულ ტექსტებში მათ დაიანის (*Daiaeni* || *Daiani*) უწოდებენ (იხ. ალ. სვანიძე, ქართველი ტომები, ეურნალი „განათლება“, № 9, 1912. გვ. 651; იხ. აგრეთვე პ. უშაკოვი, საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლე-

ბის აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში, საქ. სახელმწ. მუზეუმის მო-
ამბე, ტ. X, 1940, გვ. 255—258. მისივე, К походам урартийцев в
Закавказье, ВДИ, 1945, № 2, გვ. 32, შმდ., Г. А. Меликишвили,
Найри-Урарту, 1954, გვ. 58). დაიანნი დიდი და ძლიერი გაერთიანება
იყო, რომელიც პირველად ძვ. წ. მეოთხრამეტე საუკუნის მიწურულში იხსე-
ნიება ტეგლათფილესერ I წარწერაში (D. D. Lucenbill, Ancient
Records of Assyria and Babylonia, Chicago, 1926 I, გვ. 81 და
შმდ.). დაიანის გაერთიანებას ეკავა სამხრეთ-დასავლეთი
საქართველო და სამხრეთით თანამედროვე ერზერუმამდე ვრცელ-
დებოდა. როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნიკური გარემოცვა
საფიქრებელს ხდის, რომ დაიანის მოსახლეობა დასავ-
ლურ-ქართული იყო. ამ მონაცემებმა, აგრეთვე მოცემული მხარის ტო-
პონიმიკამ და არგონავტების მითის ანალიზმა დაგვასმეინა საკითხი
იმის შესახებ, რომ ერთის მხრივ არგონავტების მითში აიეტის სამეფოს
სახით, ხოლო მეორეს მხრივ ჰეროდოტესთან აია-კოლხეთის სახით
დაიანის გაერთიანება ხომ არ აირეკლა (დაწვრილებით იხ. თ. მ. ი. ქე-
ლ ა ძ ე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის
გენეზისასათვის, საქ. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნიერებათა განყ-ბის მოამბე,
ტ. II, გვ. 174 შმდ). სულ ანლახან გ. მელიქიშვილმა ტაოხები ჰესპერ-
იტებს დაუკავშირა. ავტორის აზრით, რაკი ფასიანები და ხალიბები
სატომო სახელების მიხედვით ორგანულად უკავშირდებიან დასავლურ-
ქართულ მოსახლეობას, ისღა დავერჩინია, რომ ქსენოფონტის ძირითა-
დი ტექსტის ტაოხებში ვიგულისხმობთ ჰესპერიტები, რომლებიც ჩა-
ნართად მიჩნეულ „ანაბასისის“ უკანასკნელ პარაგრაფში (VII, 8, 25)
არიან მოხსენებული. ამასთან, ავტორს მიაჩნია, რომ ტაოხები ტირი-
ბაზის სატრაპიაში (ტირიბაზის სატრაპიის შესახებ იხ. შნშ. 26,
შმდ. შნშ. 18) შემავალი ხალხია. (იხ. Г. А. Меликишвили, К
истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 268). მაგრამ, სწორედ,
ქსენოფონტის „ანაბასისის“ ძირითად ტექსტშია ხაზგასმული, რომ კარ-
ღუხები, ტაოხები და ხალდეები არ იმყოფებიან სპარსეთის მეფის მორ-
ჩილებაში და ერთობ ძლიერნი არიან (Anab., V, 5, 17, შმდ. თ. მ. ი. ქე-
ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცული ერთი ცნობის შესახებ,
საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXI, № 2, 1958, გვ. 249 და შმდ.). აღსა-
ნიშნავია, რომ ეს სიტყვები ქსენოფონტს ეკუთვნის, ოღონდ არა რო-
გორც „ანაბასისის“ ავტორს; იგი ამ სიტყვებით მიმართავს სინოპელ ელ-
ჩებს, რათა აჩვენოს მათ, რომ, მართალია, კარღუხები, ტაოხები და ხალ-
დეები არ იყვნენ სპარსეთის მეფის ქვეშევრდომები, ე. ი. არც ჩვენი

მტრები. მაგრამ ჩვენ მათ ვეომებოდით, ისევე როგორც კოტიორელებს, რადგან მათ არ უნდოდათ სურსათის მოცემაო. გარდა ამისა, არც ტაოხებისა და ჰესპერიტების ტერიტორია ემთხვევა ერთმანეთს: ტაოხები, როგორც ნაჩვენები იყო ისტორიულ ტაოში ბინადრობენ, ხოლო ჰესპერიტები კი მათ სამხრეთ-დასავლეთით სვისპირიტში, მდ. ტიგროსის სათავეებთან, სადაც ქსენოფონტს არ გაუვლია (შდრ. შნშ. 75). რაც შეეხება იმას, რომ „ანაბასისში“ არსად არაა აღწერილი მოქირავნეთა წინააღმდეგ რამდენიმე ტომის ერთობლივი ბრძოლა, ხოლო ხალიბები, ტაოხები და ფასიანები კი ერთობლივ ებრძვიან მათ, რაც შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ისინი ტირიბაზს ემორჩილებოდნენ (შდრ. Г. А. Меликишвили დასახ. ნაშრომი გვ. 267), უნდა აიხსნას კარზე მომდგარი საშიშროებით, რომელიც სამივე მეზობელი ტომის მიწა-წყალს ერთნაირად ემუქრებოდა; ეს მოქირავნეთა შემდგომი მსვლელობითაც დასტურდება. გარდა ამისა, „ანაბასისში“ არსებულ ცნობათა თანახმად, დასახელებულ ტომთაგან არა მარტო ტაოხები, არამედ ხალიბებიც არ იმყოფებოდნენ მეფის მორჩილებაში (შდრ. Anab., VII, 8, 25).

31. აღსანიშნავია, რომ ტაოხების სიმაგრეში მხოლოდ ერთი კაცი გამოირჩეოდა თავისი ჩაცმულობით. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება მისი სოციალური უპირატესობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

32. ხალიბთა შესახებ იხ. შნშ. 66.

33. აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგ აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის მატარებელი ტომებისათვის დამახასიათებელი გრძელი ბოლოკვეთილი მახვილებისა, დასავლურ-ქართულ კულტურას მომცრო სატევრები ახასიათებს (შდრ. Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XII В, გვ. 314—315), რაც ქსენოფონტის აღწერილობითაც დასტურდება. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ხალიბთა სატევარს ქსენოფონტი უწოდებს μαχαίριον. ამ სახელწოდებაში ფუძე-სიტყვაა მ ა ხ, რომელიც ლითონის, ძირითადად კი, რკინის ცნებასთანაა დაკავშირებული. იგი საფუძვლად უდევს არა მარტო აღნიშნულ ტერმინს, არამედ ისეთ სიტყვებს, რომლითაც ბერძნულში აღინიშნება „იარაღი“, „მოქმედება“, „წარმოება“, „ხელოსნობა“, „მებრძოლი“ და სხვ. ზოგიერთი ლექსიკოგრაფი ფიქრობს, რომ მ ა ხ ფუძის მქონე სიტყვების ინდოევროპული ეტიმოლოგია საეკვოა, ხოლო სხვათა აზრით საერთოდ ეს ტერმი-

ნები ბუნდოვანი წარმოშობისაა. აკ. უ რ უ შ ა ძ ე მ მიაქცია ყურადღე-
ბა, რომ მ ა ხ ფუძე-სიტყვასთან სრულ სემანტიკურ და ფონეტიკურ
თანხვედრას იძლევა იბერიულ-კავკასური ლექსიკური მასალა. ასე, მა-
გალითად, ხუნძურად „მახა“ უდრის „რკინას“, „მახაშელ“—„ხელობას“;
ლაკურად რკინა არის „მახ“. ავტორის აზრით, იგივე მ ა ხ ფუძე მოისმის
ქართულ მ ა ხ-ე-ილ-შიც, რომელსაც საბა ორბელიანი განმარტავს: „მა-
ხული ესე არს მსწრაფლ მკუთელი რკინა“ (საბა ორბელიანი, ქართუ-
ლი ლექსიკონი, 1928, სათანადო სიტყვა). ბერძნულში მ ა ხ ფუძის მქო-
ნე სიტყვებს აქვთ როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი მნიშვნელობა.
კონკრეტულია *μάχαρα* ან *μαχαρισον* („მახვილი“, „სატევარი“,
„დანა“), ზოგადი — *μαχητής* („ხელოსანი“, „ოსტატი“, „მებრძო-
ლი“). იხ. აკ. ურუშაძე, იბერიულ-კავკასიური ენებისა და ძველი ბერძ-
ნული ენის ურთიერთობიდან... (მოხსენების თეზისები): თსუ-ს სამეც-
ნიერო სესიის მოხსენებების თეზისები, 1952, გვ. 19—21).

34. აქ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ შუბებს (ծბრუ) მხოლოდ ერ-
თი შუბის პირი ჰქონდათ *μᾶν λόγγυ ἔχον*. ამით ქსენოფონტს,
როგორც ჩანს, სურს განასხვავოს ხალიბების შუბები ბერძნულისაგან,
რომელსაც ბოლოშიც ჰქონდა წვერი (*σασρατής*) მიწაში ჩასარქობად.

35. დასახლებული პუნქტების თავისებურებათა შესახებ იხ. შესა-
ვალი წერილი, გვ. 52—57.

36. ჰარპასოსი, როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ. გვ. 41), შეესაბა-
მება ჰოროხს. ჰოროხის რამდენიმე სახელია ცნობილი ქართულ და
უცხოურ წყაროებში: *ჰოროხი*, *სპერი*, *აკამარი*, *აკამფსი-*
სი, *ფასისი* (იხ. ს. ჯანაშია, ფასილი, შრომები, ტ. II, გვ.
271—281; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 184). ამათგან
ჰარპასოსი უძველესი სახელწოდებაა, რომელიც დაცული ჩანს ადგი-
ლობრივ ტოპონომიკაშიც: მდ. ჰოროხის ზემო წელზე მთას, რომელიც
ჰოროხის ერთ-ერთ შესართავს მდ. წყალგველას გასდევს, ჰოროხის
ხეობას უერთდება და მდ. ჰოროხს დაჰყურებს ზემოდან, ადგილობრივი
მოსახლეობა დღესაც *ჰარპაზონის მთას* უწოდებს (იხ. ოთ.
ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე, მასალები ბათუმის რაიონის არქეო-
ლოგიური შესწავლისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ.
XXIV; № 6, 1960, გვ. 763).

37. „ანაბასისის“ ტექსტიდან (IV, 7, 18—21) ნათლად ჩანს, რომ
სკვითინებს ხალიბებისაგან გამოჰყოფდა ჰარპასოსი—ჰოროხი, რომე-
ლიც მათ საზღვრავდა აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთი-

დან. ჩრდილოეთიდან ისინი პონტოს ტავრით იყვენ შემოფარგლული. მაშასადამე, სკვითინებს ეკავათ ქოროზის ხეობის მარცხენა ნაწილი და პონტოს ტავრის კალთები. ფიქრობდნენ, თითქოს სკვითინები სკვითების შთამომავალი იყვნენ (იხ. Ксенофонт, Анабасис, перевод, статья и примечания М. М. Максимовой, გვ. 274, შნშ. 31; В. Н. Худатов, Опыт этнографии Кавказа в классическую эпоху, ИРГО, LXII, вып. 4, 1930, გვ. 421—426), მაგრამ ეს ვარაუდი უსაფუძვლო გამოდგა შემდეგ მოსაზრებათა გამო: პონტოს ტავრის ნაწილს, ქოროზის ქვემო წელიდან ტრაპეზუნტის ხაზამდე, სადაც სკვითინები ბინადრობდნენ, სტრაბონის მიხედვით სკვიდისი (Σκιδίται) ეწოდებოდა. ამ მთის კალთებზე მცხოვრებ ხალხს კი ჰებტაკომეტები (Strab., XII, 3, 18). ამრიგად, იმ მხარეში, რომელიც ქსენოფონტის იქ ყოფნის დროს, ე. ი. ძვ. წ. მეხუთე საუკუნის მიწურულში დასახლებული იყო სკვითინებით, სტრაბონის დროს ჰებტაკომეტები ცხოვრობდნენ. Ἐπταακμῆται „შვიდსოფლელს“ ნიშნავს. ამ ტერმინის ადგილობრივი, ოღონდ რამდენადმე ელინიზებული ფორმა დაცულია მთის სახელწოდებაში Σκιδίται, რომელიც მეგრულ-ქანური შკვიდისი (=შვიდს) შესატყვისი უნდა იყოს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I (1960), 26). აქედან ნათელია, რომ სტრაბონთან დაცული სახელწოდება Ἐπταακμῆται ბერძნული თარგმანია ქსენოფონტთან დამოწმებული ადგილობრივი სახელწოდებისა Σκιδίται. რაც ნიშნავს შკვიდსოფლელს. ამ სახელწოდების ახსნის შესაძლებლობა მეგრულ-ქანური ენის მეშვეობით, მიუთითებს იმაზე, რომ სკვითინების სახით დასავლურ-ქართულ ეთნიკურ ელემენტთან გვაქვს საქმე. მეორე მხრივ, რაკი მოცემული სახელის სემანტიკა რიცხვით სახელთანაა (შვიდთან) დაკავშირებული, საფიქრებელია, რომ ეს ეთნიკური სახელი სოციალურ ნიადაგზეა წარმოშობილი. Σκιδίται ტერმინში და მის ბერძნულ თარგმანში Ἐπταακμῆται ასახული უნდა იყოს შვიდი სათემო ერთეულის ერთ სოციალ-პოლიტიკურ ორგანიზაციად შერწყმის ფაქტი. როგორც ჩანს, სკვითინების გაერთიანება ცალკეული თემების სინოიკისმის შედეგადაა მიღებული. სინოიკისმის პროცესი ძვ. წ. V ს. დასასრულისათვის თითქმის მომთავრებული ჩანს. შექმნილია ერთი ძლიერი ეთნიკურ-პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ერთი მმართველი (ὁ τῆς γῆρας ἀρχαυ) განაგებს (Anab., IV, 7, 19). მმართველის რეზიდენციაა ქ. გვიმნიასი (Γυμνιάς) — დიდი, მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი. აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტი, როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ.

შესავალი წერილი გვ. 54—55) წინა აზიაში ლაშქრობისას მხოლოდ ოთხ ქალაქს განსაზღვრავს ასე. ქსენოფონტი სკვითინებთან მდიდარ სოფლებსაც ასახელებს. მაშასადამე, სკვითინებთან დამოწმებულია ორი ტიპის დასახლება—ქალაქი და სოფლები. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ სკვითინების კავშირი სახელმწიფურ გაერთიანებას წარმოადგენს. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ, როგორც ჩანს, სინოიკისმის პროცესი მშვიდობიანად არ მიმდინარეობდა. მთიანეთის მოსახლეობას არ უნდოდა დამორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, რისთვისაც ეს უკანასკნელი ზღვისკენ გზის ჩვენების საფასურად იყენებს მოქირავენთა არმიას მათ დასათრგუნავად (შდრ. Anab., IV, 7, 19—20). სინოიკისმის გზით წარმოშობილი სკვითინების გაერთიანება შემდეგში, ჩანს, იშლება, რადგან გვიანი დროის წყაროები ასეთ ერთეულს არ იცნობენ. მხოლოდ პონტოს ტავრის სამხრეთი კალთების მოსახლეობის ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა ძველი სახელი, რომლის ბერძნულ თარგმანსაც სტრაბონი იძლევა (დაწვრილებით იხ. თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის (სკვითინები): საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XIX, № 5, 1957, გვ. 633—639; იხ. აგრეთვე, Hans Vogt, Remarque sur la préhistoire des Langues khartvéliennes, Bedi Rarthlisa, V. XI—XII, № 36, 37, Paris, 1961, გვ. 5—12.

38. თეხესი შეესაბამება თანამედროვე ზიგანა-დაღს, საიდანაც კარგად მოჩანს შავი ზღვა. გარდა ამისა, ამ მთის ქსენოფონტთან დამოწმებული სახელი *Χίχης* დაცულია ადგილობრივ ტოპონიმიკაშიც (იხ. შესავალი წერილი, გვ. 42—43).

39. დარიოს I ჰისტასპის მიერ მოჭრილი ოქროს მონეტა, რომელიც სპარსული ტალანტის $1/3000$ შეადგენდა, ე. ი. დაახლოებით ტოლი იყო 8,4 გრამისა.

40. მაკრონები (*Μακρονες*) ბინადრობდნენ ტრაპეზუნტსა და ზიგანა-დაღს შორის. „ანაბასისში“ არსებული ცნობების მეშვეობით მათი მიწა-წყალი შეიძლება უფრო კონკრეტულად წარმოვიდგინოთ: სამხრეთი საზღვარი მაკრონებისა გადიოდა მდ. მაჩკა-დერეზე. ეს ის მდინარეა, რომელსაც ქსენოფონტი „სასაზღვროს“ უწოდებს. აღმოსავლეთით მაკრონები კაზიკლი-დალით ისაზღვრებოდნენ. ამ მთის კალთები უკვე მთიელ კოლხებს ეკავათ. დასავლეთით მაკრონები, როგორც ჩანს, ვრცელდებოდნენ კერასუნტის ხაზამდე და აქ მოსინიკებს ესაზღვრებოდნენ. ამაზე უნდა მიუთითებდეს ჰეროდოტეს ცნობა, რომელშიც მაკრონები და მოსინიკები ერთად არიან დასახლებული

(Herod, III, 94, 2). მაკრონთა სატომო სახელს უკვე დიდიხანია უკავშირებენ ეთნიკურ ტერმინებს მ ა რ გ ა ლ ი და მ ე გ რ ე ლ ი (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I—II, 1913, გვ. 85). მართლაც მაკრონი ქართულ-მეგრული ტერმინების მ ე გ რ ე ლ ი, მ ა რ გ ა ლ ი ექვივალენტი უნდა იყოს. იგი ნაწარმოებია ჭანური ო ნ სუფიქსით. ხოლო „ქართულის მეღერ «გ“-ს ყრუ „კ“-თი გადმოცემა ბერძნულში ბუნებრივია“ (არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 4). რომ ეს ასეა, ეს ჩანს კლავდიუს პტოლემეაიოსთან (V, 9,5) დაცულ ტერმინში *Μακροναίη*, რომელიც ფაქტიურად, ქართული ეგრისის ბერძნული დაწერილობაა. როგორც ტერმინებში მ-ე-გ-რ-ე-ლ-ი, მ-ა-რ-გ-ა-ლ-ი ფუძეა ე-გ-რ-დ-ა-ა-რ-გ, რომელიც ქვეყნის სახელს აღნიშნავს (მღრ. ე-გ-რ-ი-ს-ი), ასევე ტერმინში მ-აკ-რ-ონი გამოიყოფა ფუძე-სიტყვა აკრ *resp.* ა-გ-რ. რომ ამ უკანასკნელში გ-რ თანხმოვანთა ადგილმონაცვლეობა დასაშვებია, ეს ნათლად ჩანს მეგრულ-ქართული ე-გ-რ-ა-გ-რ-ის მაგალითზე. ყველა აღნიშნულ ვარიანტში მ წარმომავლობის აღმნიშვნელი ჯი-ველესი თავსართია (მღრ. ეგვიპტე—მეგვიპტელი, აწყური—მაწყვერელი, ტბეთი—მტბევაარი და ა.შ.). რაც შეეხება სუფიქსებს, ისინიც წარმომავლობა-კუთვნილების მაჩვენებელია; ო-ნ-ზე უკვე ვთქვით, ე-ლ-ი და ა-ლ-ი კი დღემდე ცოცხალი სუფიქსია ქართულში და მეგრულში. წარმოდგენილ განმარტებას ადასტურებს სტრაბონის პირდაპირი მითითება, რომ მაკრონები მის დროს სანების სახელს ატარებდნენ (Strab., XII, 3, 18). ნათელია, რომ მაკრონები მეგრულ-ჭანურ ტომებს ეკუთვნოდნენ.

41. სასაზღვრო მდინარე უნდა შეესაბამებოდეს მდ. მაჩკა-დერეს, ხოლო ის მდინარე, რომელსაც სასაზღვრო ერთეოდა, ძველი პიქსიტი, დღევანდელი დეირმენ-დერე უნდა იყოს (იხ. შესავალი წერილი, გვ. 43—44).

42. პელტასტი ეწოდებოდა მსუბუქად შეიარაღებულ მეომარს. ძვ. წ. V ს. დასასრულსა და ძვ. წ. IV ს-ში, მოქირავნეობის წარმოშობა-განვითარებასთან ერთად პელტასტების რაზმები განსაკუთრებით ფართო გავრცელებას პოულობენ და თანდათან ცვლიან მძიმედ შეიარაღებულ ჰოპლიტებს. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ნაცვლად ლითონის ჯავშნისა, პელტასტები სელის აბჯარს ატარებდნენ, ხოლო ნაცვლად სპილენძის ფარისა ხმარობდნენ ტყავის მრგვალ ფარებს, რომელთაც ეწოდებოდა *πίλτη* (სიტყვისაგან *πίλξ* — „ტყავი“). ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები პელტასტების სახელიც *πελτασταις*. კიროსის მოქი-

რაენეთა არმია შედგებოდა როგორც პელტასტებისაგან, ისე მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტებისაგან.

43. ერთობ საინტერესო ეპიზოდია აღწერილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნულ სამყაროს მონებით ქ. ტრაპეზუნტი ამარაგებდა. ყოველ შემთხვევაში მაკრონების ტრაპეზუნტთან სიახლოვე ამას გვაეარაუდებინებს. ქსენოფონტის აღნიშნული ცნობა, მართალია, უძველესია. მაგრამ ერთადერთი უწყება არაა ბერძნულ სამყაროში ქართველ ტომების წარმომადგენელთა მონად ყოფნის შესახებ. მაგალითად, ელინისტური ხანის (III—II სს) დელფოსის წარწერებში მოხსენებულია ტიბარენი მონა (A. Валлон, История рабства в античном мире, I—II, 1941, გვ. 68). მართალია, აღნიშნულ ცნობებში მხოლოდ ერთეული ფაქტებია დამოწმებული, მაგრამ ისინიც ნათლად უნდა მიუთითებდნენ, რომ ბერძნულ ახალშენებს (ან იქნებ ადგილობრივ მოსახლეობასაც ამ ახალშენების მეშვეობით) სხვა საქონელთან ერთად მონებიც გაჰქონდათ.

44. ეს შთა უნდა შეესაბამებოდეს კაზიკლი-დაღს (იხ. შესავალი წერილი, გვ. 44).

45. ფალანგა (φάλαγγε) ეწოდებოდა მძიმედ შეიარაღებული მეომრების ჰოპლიტების მწყობრს, რომელიც, ჩვეულებრივ, მეომართა 15 მწყრივისაგან შედგებოდა (მწყრივი შეიძლება ყოფილიყო მეტიცა და ნაკლებიც). ფალანგა რამდენადმე მოუხეშავ, მაგრამ ერთობ საშიშ ძალას წარმოადგენდა მოწინააღმდეგისათვის.

46. ჰოპლიტებს უწოდებდნენ მძიმედ შეიარაღებულ მეომრებს. მათ შეიარაღებას შეადგენდა ლითონის ჯავშანი და მუზარადი, სპილენძგადაკრული დიდი ხის ფარი, შუბი და მახვილი. ჰოპლიტების რიგები ათენში, ჩვეულებრივ ივსებოდა მესამე ფენიდან ზევგიტებისაგან, ე. ი. იმ ხალხისაგან, რომელთა შემოსავალი ორასი მედიმნი მარცვალი; ღვინო თუ ზეთი იყო (1 მედიმნი დაახლოებით 40—41 ლიტრს უდრის).

47. ამ თაფლს ამავე მიდამოებში ახსენებს სტრაბონიც. მისი ცნობის თანახმად ჰომპეუსის მეომრებს, რომლებმაც გასინჯეს ეს თაფლი იგივე ბედი ეწვიათ, რაც კიროსის მოქირავენებს (ზღრ. Strab., XII, 3, 18).

48. ტრაპეზუნტი დღევანდელ ტრაბზონს შეესაბამება. წერილობითი წყაროების ცნობათა საფუძველზე ფიქრობდნენ, რომ იგი სინოპს უნდა დაეარსებინა ძვ. წ. VIII ს. 'შუა ხანებში, VIII ს. მეორე ნახევარში კი ტრაპეზუნტი და მისი მეტროპოლია სინოპი კიმერიელებ-

მა გაანადგურეს, ხოლო ძვ. წ. VII ს. 30-იან წლებში სინოპში კვლავ ჩაე-
ყარა საფუძველი ბერძნულ პოლისს (М. И. Максимова, Античные
города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956, გვ. 31—52).
მაგრამ, ამ მოსაზრების გაზიარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ
სინოპში,—შავიზღვისპირეთის ამ უმთავრეს და უძველეს ცენტრში—
აღმოჩენილი ანტიკური ნაწარმის ყველაზე ადრეული ნიმუში ძვ. წ.
VI ს. შუა ხანებს განეკუთვნება. როგორც მოსალოდნელი იყო, არც სი-
ნოპის კოლონიებში: კოტიორაში, კერასუნტსა და ტრაპეზუნტშია მი-
კვლევული დღესდღეობით უფრო ადრეული კვალი ბერძენთა დამკვიდ-
რებისა (იხ. Дж. Хайнд, Памятники античных городов южного
Причерноморья, СА, № 3, 1964, გვ. 174, 175, 186; იქვე სათანადო
ლიტერატურა). ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ძვ. წ. V ს. დასასრუ-
ლისათვის, როგორც ეს „ანაბასისიდან“ ნათლად ჩანს, ტრაპეზუნტი სი-
ნოპის ახალშენია. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-
ზღვისპირეთის სინოპის კოლონიათაგან (კერასუნტი, კოტიორა), ქსენო-
ფონტი მხოლოდ ტრაპეზუნტს უწოდებს მკიდროდ დასახლებულ ქა-
ლაქს (πίλις οὐκ οὐκ αὐτῆς). შეიძლება ეს გარემოება მიუთითებს იმაზე,
რომ ტრაპეზუნტი შედარებით სხვებთან უფრო ძველი კოლონიაა.

49. კოლხების ბინადრობის ადგილი ზოგადად შეიძლება განისა-
ზღვროს. ისინი ცხოვრობდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სა-
ნაპიროზე, ტრაპეზუნტ — კერასუნტის მხარეში. დასავლეთით, რო-
გორც ნახვენები იყო, კოლხები კერასუნტის იქითაც ვრცელდებოდ-
ნენ და ესაზღვრებოდნენ მოსინიკებს. სამხრეთით კოლხები მაკრონებს
ემიჯნებოდნენ, მათ აქ ეკავათ კაზიკლი-დალის კალთები (იხ. შესავა-
ლი წერილი, გვ. 44, 48—50, აგრეთვე, შნშ. 40). ქსენოფონტი პირვე-
ლი მწერალია, რომელიც ტრაპეზუნტ-კერასუნტის მხარეს კოლხეთს
უწოდებს, ხოლო ამ მხარის მოსახლეობას კოლხებს. ამასთან დაკავშირე-
ბით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქსენო-
ფონტი ამ სატომო სახელს ხმარობს ზოგადი, კრებითი მნიშვნელობით.
ქსენოფონტთან კოლხებში იგულისხმება არასაკუთრივ კოლხები, არამედ
სხვა ტომები, რომელთაც ამ რაიონში სხვა წყაროები ახსენებენო.
(Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 69—70).
შესავალ ნაწილში აღნიშნული გეგმონდა, რომ „ანაბასისი“, წყაროთა
უმრავლესობის მსგავსად, არ არის აგებული სხვადასხვა ცნობების ან
მონაცემების ანალიზზე. ამ ნაწარმოებში ასახულია ის, რაც ავტორმა
თავისი თვალთ ნახა და თავისი ყურით გაიგონა. ამიტომ ძნელია იმის
თქმა, რომ ქსენოფონტი ტერმინს „კოლხი“ ხმარობს არა კონკრეტუ-
ლი, არამედ ზოგადი, კრებითი მნიშვნელობით. მან ხომ ეს სახელი,

როგორც ჩანს, ჯერ კოლხების მეზობელი მაკრონებისაგან გაიგო. იგი წერს: მაკრონები „...სამი დღის განმავლობაში თან მიჰყვებოდნენ მათ, ვიდრე არ მიიყვანეს ელინები კოლხების საზღვართან“ (Απαβ., IV, 8, 8). გარდა ამისა, ქსენოფონტს ამ ტომისა და ქვეყნის სახელი უნდა გაეგო თვით კოლხებისგან, რომელნიც ცდილობდნენ შეთანხმებოდნენ მოქირავნეებს და ტრაპეზუნტელი ბერძნებისაგან, რომელნიც შუამავლობდნენ კოლხებსა და მოქირავნეთა შორის. ამასთან, ქსენოფონტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტრაპეზუნტიცა და კერასუნტიც კოლხების ქვეყანაში არსებული ელინური ქალაქებიაო. ამიტომ უფრო მართებული ჩანს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ ტრაპეზუნტის მხარის მიმართ სახელწოდებას „კოლხეთი“ ვიწრო ტომობრივი მნიშვნელობა ჰქონდა (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ—ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 11—12).

50. აქ მხედველობაშია მთიელი კოლხები, რომლებსაც მოქირავნეები შეეტაკნენ. მთიელ კოლხებს, როგორც ჩანს, მტრობა ჰქონდათ სანაპიროს ბერძნულ მოსახლეობასთან. ბარში მცხოვრები კოლხები კი პირიქით კარგ ურთიერთობაში იყვნენ ტრაპეზუნტთან და ცდილობდნენ ასეთივე ურთიერთობა დაემყარებინათ მოქირავნეებთანაც.

51. დრილები, როგორც ჩანს, დასავლურ ქართული ტომია, რომელიც მდ. ხარშუტის ხეობაში ცხოვრობდა. ამაზე მეტყველებს დრილების გარემოცვა და აგრეთვე არიანეს პირდაპირი მითითება—ჩემი აზრით, დრილები სანები არიანო (იხ. ВДИ, 1948, № 1, გვ. 270). ნ. ადონცი დრილების სახელად მიიჩნევს პირველ ნახევარს სახელწოდებისა დე რ ჰ ა ნ ი, რომელიც ორი, დრილებისა და ჭანების სატომო სახელიდან შემდგარი ჰგონია მსგავსად ტერმინისა Armeno-chalybes (Н. Адонц, დასახ. ნაშრომი. გვ. 57); ქსენოფონტმა დრილების ყოფაცხოვრების საინტერესო აღწერილობა დაგვიტოვა. ამ ცნობათა მიმოხილვა იხ. М. И. Максимова, Местное население юго-восточного Причерноморья по „Анабасису“ Ксенофонта, ВДИ, 1951, № 1, გვ. 250—262; იგივე მიმოხილვა აქვს წარმოდგენილი ავტორს მეორე ნაშრომში, იხ. М. И. Максимова. Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., გვ. 118—145.

52. მეალაფენი ეწოდებოდათ საგანგებო მეომრებს, რომელთა მოვალეობა იყო ალაფის შეგროვება. ალაფი მათ მიჰქონდათ ხოლმე ხელშუბებით (მიძაქიონ). აქედან მომდინარეობს მათი სახელიც—მიძაქიონი.

53. ψιλιζ ჩვეულებრივ ნიშნავს „შიშველს“, „მოტიტვლებულს“, „თავდაუხუარავს“, „უიარაღოს“. მოცემულ კონტექსტში ეს ტერმინი

უკანასკნელი მნიშვნელობითაა ნახმარი და გულისხმობს მსუბუქად შეიარაღებულ მეომრებს, რომელთაც თავდაცვის საშუალებები არ ჰქონდათ.

54. მაცნე ტოლმიდე, წარმოშობით ელიდელი (ელიდა პელოპონესის, სამხრეთ საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს). ტოლმიდე „ანაბასისში“ ჩანს თითქმის ლაშქრობის დასაწყისიდან (მდრ. Anab., II, 2, 20; III, 1, 46). დრილების ქვეყანაში ლაშქრობის შემდეგ კი იგი აღარ იხსენიება.

55. სოფაინეტე სტიმფალიოსელი (სტიმფალიოსი ქალაქი არკადიაში, პელოპონესის (სამხრეთ საბერძნეთის) ცენტრალურ პროვინციაში) კიროს მცირის ერთ-ერთი სტრატეგოსი. როგორც ჩანს, სოფაინეტე სტიმფალიოსელი და სტეფანე ბიზანტიელის მიერ მოხსენებული სოფაინეტე, რომელსაც კიროსის „ანაბასისი“ დაუწერია, ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. სოფაინეტეს შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენს ხელთაა მხოლოდ მისი ზოგიერთი ცნობის ანარეკლი, რომელიც სტეფანე ბიზანტიელის ნაშრომშია ასახული (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, III, გვ. 279, 284).

56. ზოგიერთი მკვლევარი ექვს გამოთქვამს, რომ ანტიკური კერასუნტი ახლანდელ გირესუნის ადგილას მდებარეობდა (A. Boucher, L'Anabase de Xenophon, Paris-Nancy, 1913, გვ. 259; Ксенофонт, Анабасис, перевод, статья и примечания М. И. Максимовой, გვ. 276), მაგრამ სხვადასხვა მონაცემების თანხედრა იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ანტიკური კერასუნტი თანამედროვე გირესუნის მიდამოებშია საძიებელი (იხ. შესავალი წერილი, გვ. 45—48).

57. მოსინიკების ეთნიკურ სახელს მეცნიერები სხვადასხვანაირად ხსნიან. მ. მაქსიმოვას აზრით, ეს ტერმინი ბერძნული სიტყვებისგან შედგება და მოსინებში, ე. ი. ხის კოშკებში მცხოვრებლებს ნიშნავს (Ксенофонт, Анабасис, გვ. 277, შნშ. 16). სხვათა აზრით, მართალია, ეს ტერმინი არ უნდა იყოს ბერძნული სიტყვა, მაგრამ ინდო-გერმანული კია, სიტყვის მეორე ნაწილს კი არავითარი კავშირი არ აქვს ბერძნულ სიტყვასთან *οἰκοί* (იხ. W. R. Halliday, Mossynos and Mossinoikoi, The Classical Review, V. 37, 1923, № 5—6, გვ. 106—107). ძნელი დასაჯერებელია, რომ ადგილობრივი მოსახლეობას ბერძნული სიტყვებისაგან შემდგარი სახელი ეტარებინა, არ ჩანს ისიც, რომ ეს სახელი ადგილობრივი სახელის ბერძნული თარგმანი იყოს. ძნელი წარმოსადგენია მოსინიკების ინდო-გერმანული წარმომავლობაც. ის გარემოება,

რომ უძველესი დროიდან ეს მიდამოები დღემდე ქართველი და მათი მონათესავე ტომებითაა დასახლებული, საეხეობით გამოირიცხავს აღნიშნულ შესაძლებლობას. კლასიკურ წყაროებში მოსინიკების სახელი უპირატესად გადმოიკემა როგორც *μωσσησικισι*, ე. ი. როგორც ეს ქსენოფონტს აქვს. ამ ფორმას ხმარობენ ძვ. წ. VI საუკუნიდან ჰეკატე მილეტელი (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 289), ჰეროდოტე (III, 91; 2; VII, 78), ძვ. წ. IV ს. მეცნიერი ევდოქსე კნიდოსელი (გეორგიკა, III, გვ. 282) და მრავალი სხვა. ფსევდო-სკილაქს კარიანდელს. ნიკოლოზ დამასკელსა (ВДИ, № 1, 1948, გვ. 255) და არტემიდორე დალდისელს (SC, I₂, გვ. 512) ამ ტერმინის შეკვეცილი ფორმა აქვთ დაცული *σικισι*. დაბოლოების გარეშე. ასეთივე შეკვეცილი ფორმა აქვს დამოწმებული პლინიუსსაც. საგულისხმოა, რომ პლინიუსი საძიებელი ტერმინის თავიკიდურ ნაწილში მ-ო-ს კი არ იძლევა, როგორც ეს ავტორთა უმრავლესობას აქვს, არამედ, მ-ა-ს (ВДИ, 1948, № 1, გვ. 255). ივ. ჭავჭავიძე აღნიშნავდა, რომ მოსინიკების სახელწოდებაში ფუძე სიტყვაა *σσησ*, „კ“ სადაურობის აღმნიშვნელი მაწარმოებელია, რომელსაც ელინიზაცია აქვს განცდილი, ხოლო მ-ო ვარიანტებით მ-უ, მ-ე, მ-ა სადაურობის მაჩვენებელი თავსართია. ორი სიგმა ამ ტერმინში უნდა გადმოსცემდეს აფრიკატს, ამ შემთხვევაში კ-ს. „ამგვარად,—ივ. ჭავჭავიძის მიხედვით.—„სსეინიკი“, „სსანიკი“ უდრის სომხურ „ჭანიკ“-ს, „ჭანიკ“-ს, ბერძნულ „ტძანიკე“-ს, ოსმალურ „ჯანიკ“-ს და ქართულ ჭანეთს... მაშასადამე, „მოსსეინიკი“-ს სახელში ჭანების სახელის უძველესი ფორმა ყოფილა შენახული“ (ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, I—II, 1913, გვ. 26). არ არის გამოირიცხული შესაძლებლობა, რომ *μω-σσησ-ი* სახელი გადმოსცემდეს სვან სახელს, ამასთან თუ ორი სიგმა მართლაც უცხო ბგერის გამოხატვის ცდაა—ამ სახელის სვანურ ვარიანტს: გავისსენოთ სვან ცნების აღმნიშვნელი ქვემოსვანური ფორმა მ-უ-შ-უ-ნ-ი. ყოველ შემთხვევაში, ქართველური წარმოება *μω-σσησ* ტერმინისა აშკარაა (შდრ. თ. მიქელაძე, სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, I 1967, გვ. 91—92). მოსინიკების სამხრეთით ბინადრობა არ უნდა იყოს შემაფერხებელი გარემოება ასეთი ვარაუდისათვის, რადგან არის მასალა, რომელმაც შეიძლება სვანების სამხრეთიდან მოსვლა დაგვიდასტუროს. ქსენოფონტის, როგორც თვითმხილველი ისტორიკოსის ცნობებს მოსინიკების შესახებ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა მხრივაც. „ანაბასისის“ ცნობათა ანალიზი შესაძლებლო-

ბას იძლევა დავადგინოთ მოსინიკებთან ერთი მხრივ სოფლის მეურ-
ნეობის მრავალი დარგის (მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, მევენა-
ხეობა-მელვინეობის, ზღვის სარეწების), ხოლო მეორე მხრივ ხელოს-
ნობის დარგების—რკინის მეტალურგიის, რკინის ნაწარმის დამზადების,
მეტყავეობის, ფეიქრობის, მეთუნეობის განვითარების მაღალი დონე;
მოსინიკებს სათანადო სიმაღლეზე ჰქონდათ სააღმშენებლო ტექნიკაც,
კერძოდ დასახლებული პუნქტების მშენებლობის საქმე. ზოგიერთი ავ-
ტორი მოსინიკების დასახლებულ პუნქტებს ამიერკავკასიის ციკლოპურ
ნაგებობებს ადარებს (იხ. М. И. Максимова, Местное население
юго-восточного Причерноморья, გვ. 118—144), მაგრამ, როგორც აღ-
ნიშნული გვაქვს, ეს შედარება ფორმალური ხასიათისაა (იხ. შესავალი წე-
რილი, გვ. 56—57).

58. ტიმესითეოსი—ტრაპეზუნტელი მოქალაქე, მოსინიკების პროქსე-
ნი. პროქსენი (πρόξενος) ეწოდებოდა პირს, რომელიც სტუმართმოყვა-
რეობის ფიციით იყო შეკრული მეორე ხალხის წარმომადგენელთან, ან
შთელ გაერთიანებასთან. ასეთ ურთიერთობას ელინურ სამყაროში გვა-
როვნულ საზოგადოების ხანაში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო შემდგომი
განვითარება კლასიკურ ხანაში პპოვა. ამ დროს პროქსენიის მეშვეობით
ხორციელდებოდა ძირითადად სავაჭრო, ხოლო ზოგჯერ დიპლომა-
ტიური ურთიერთობა, ან ცალკეულ ქალაქებს შორის ან ამ ქალაქების
სოვდაგრებსა და სავაჭრო ამხანაგობებს შორის. სწორედ ასეთი
ურთიერთობის მოწესრიგება ევალებოდა პროქსენს. პროქსენის მოვა-
ლეობაში შედიოდა თავის ქვეყანაში დაეცვა იმ ქვეყნის მოქალაქის
უფლებები და სავაჭრო ინტერესები, რომლის პროქსენადაც ის ითვ-
ლებოდა. თავის მხრივ იგი იმ ქვეყანაში, რომლის პროქსენიც იყო, რი-
გი პრივილეგიებით სარგებლობდა. პროქსენად ჩვეულებრივ ირჩევდ-
ნენ ისეთ პირს, რომელიც ნავალი იყო საპროექსენო ქვეყანაში, უკვე
ჰქონდა ამ უქანასკნელთან დამყარებული გარკვეული ურთიერთობა,
იციოდა მათი ენა, ზნე-ჩვეულებანი და ერკვეოდა ამ ქვეყნის ეკონომიურ
და პოლიტიკურ მდგომარეობაში. ტიმესითეოსი ყველა ამ მოთხოვნას
აკმაყოფილებდა. როგორც ვხედავთ, „ანაბასისის“ ტექსტიდან ნათლად
ჩანს, რომ ტიმესითეოსმა კარგად იციოდა მოსინიკების ქვეყანაში არსე-
ბული პოლიტიკური ვითარება: მან უთხრა ელინებს, რომ მოსინიკები
ორ ნაწილად არიან გათიშულები და ებრძვიან ერთმანეთს ძალაუფ-
ლებისათვის. გარდა ამისა, მანვე შეახვედრა ელინებს პირიქითელი მო-
სინიკები და მათ შორის მოლაპარაკების დროს თარჯიმნის მოვალეო-
ბას ასრულებდა.

59. ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი ნავები(πλιστον μισόξυλον) გავრცელებული ყოფილა მთელ კოლხეთში. ჰიპოკრატე ფასისის—რიონის აუზის მცხოვრებთა შესახებ გადმოგვცემს: „ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ზეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია“ (თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1965, გვ. 45, იხ. აგრეთვე მ. გეგეშიძე, წყლის ტრანსპორტი, მიმომხილველი, 1953, გვ. 241).

60. მეტროპოლისი (Μητρόπολις)—აქ როგორც ტექსტიდან ჩანს, მოსინიკების ქალაქის ხასიათსა და დანიშნულებას კი არ აღნიშნავს, ე. ი. მისი მთავარი ქალაქობის შინაარსს კი არ გადმოგვცემს, როგორც ეს დრილეზის შესახებ ცნობაშია (Απαι., V, 2, 3), არამედ საკუთარი სახელია ამ ქალაქისა. ირკვევა, რომ ქალაქის ამგვარი სახელწოდება, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ადგილობრივი სახელის ბერძნულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, გამონაკლისი არ არის და იმ დროს მას სხვადასხვა ქვეყნის ქალაქი ატარებდა. ეს სახელწოდება დაკავშირებული იყო ღმერთთა დედის კულტთან, რომელიც ესოდენ გავრცელებული იყო მცირე აზიაში და აღნიშნავდა მოცემული ქალაქის „დედა ქალაქობას“, ან უკეთ, „დედის ქალაქობას“, ე. ი. ამ ქალაქების დაარსება მიეწერებოდა ღმერთების დედას, ანდა ნიშნავდა იმას, რომ ისინი ღმერთთა დედის სახელზეა აგებული. ამ მხრივ საინტერესო განმარტება აქვს სტეფანე ბიზანტიელს: „მეტროპოლისი, ფრიგიის (ქალაქი), დაფუძნებული ღმერთთა დედის მიერ (ἀπὸ τῆς μητρὸς τῶν θεῶν), როგორც ამბობს ალექსანდრე! წიგნში „ფრიგიის შესახებ“. არის ფრიგიაში მეორე ქალაქი ამავე სახელწოდებით. მესამე ლიდიიაში, მეოთხე თესალიაში, მეხუთე აკარნანიაში, ეთნიკურია „მეტროპოლიტეს“. მეექვსეა დორიებისა. მეშვიდე პონტოში მცხოვრებ მოსინიკებისა. მერვე სკვითიაშია. მეცხრე ევბეაზე. მეათე ზემო თესალიაში“ (გეორგიკა, III, გვ. 282. იხ. აგრეთვე თ. მიქელაძე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, გვ. 193, 194).

61. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ მოსინიკებთან მიმდინარეობს მწვავე სოციალური ბრძოლა, რომელშიც ასახულია გვაროვნული წყობის რღვევა (იხ. შესავალი წერილი, გვ. 58).

¹ იგულისხმება ძვ. წ. I ს. მწერალი ალექსანდრე პოლიპისტორი (გეორგიკა, III, გვ. 286, შნშ. 1).

62. შდრ. ანაბასისი, IV, 7, 16.

63. მოსინიკების მეფეებში სპეციალისტები მართებულად უნდა გულისხმობდნენ კულტის მსახურებს, ქურუმებს (M. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, გვ. 140—141). ამის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ასეთი ხეფე—ბასილევსი მოსინიკებს ერთზე მეტი ჰყავდათ. დიოდორეს ცნობით (XIV, 10, 7) მოსინიკების მეფეები მთელ სივრცეს ატარებდნენ თავის ხის კოშკებში და იქიდან აძლევდნენ ხალხს განკარგულებებს. როგორც ჩანს, ამ განკარგულებებში წინასწარმეტყველება და მისნობა იგულისხმება. სამწუხაროდ, ზუსტად არ არის ცნობილი ამ კულტის მსახურთა კასტა არსებობდა და მათი თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო თუ არა. პომპონიუს მელას ცნობით (SC II, გვ. 117) მოსინიკები მეფეებს ხმის მიცემით ირჩევდნენ (Reges suffragio deligunt). რას ემყარება ეს ცნობა, ძნელი გასარკვევია.

64. სხეულის ტატუირება სხვა ძველ ხალხებთანაცაა დადასტურებული და მაჩვენებელია დატატუირებულთა წარჩინებული წარმომავლობისა (M. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, გვ. 140).

65. ეს ცნობა აშკარად გაუგებრობაზეა აგებული. ამასთან, თუ მას კარგად ჩაუვკვირდებით, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნება, რომ თვით ქსენოფონტი არ უნდა ყოფილიყო მოწმე ამ ამბებისა, რადგან იგი თხრობის დასასრულს თავის დასკვნას კი არ აკეთებს, არამედ აღნიშნავს, რომ ლაშქრობის მონაწილეები ამბობდნენ, ასეთ ველურ ხალხს არ შეეხვედრივართო. როგორც ჩანს, ბერძნები მოწმენი გახდნენ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რელიგიური მისტიკისა, რომლის ნაწილი იყო კოიტუსის ინსცენირება. ქსენოფონტის აღწერილობიდან ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ აქ კოიტუსის იმიტაციასთან გვაქვს საქმე, რასაც თან სდევდა როკვა და სხვ. ამასთან, ასე იქცეოდა ყველა კი არა, არამედ საგანგებო ჯგუფი, რომელთაც ქსენოფონტი მდიდრების შვილებს უწოდებს და რომელთა გამორჩეულ მდგომარეობას მათი სხეულის ტატუირება მოწმობს. ქსენოფონტი სხვათა შორის დასძენს: „ისინი ცდილობდნენ შეკავშირებოდნენ ყველას დასანახად ჰეტერებს..., რადგან ასეთი იყო მათი ადათი (νόμος)“ ცხადია აქ უნდა იგულისხმებოდეს რაღაც წეს-ჩვეულება, რიტუალი. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსინიკები თავისიანებთან დაკავშირებას კი არ ცდილობდნენ, არამედ უცხოელებთან, მოკი-

რავნეთა ჰეტერებთან. ასეთი რელიგიური რიტუალი დამოწმებულია ბერძნებთან, ფინიკიელებთან და სხვა ხალხებთან და მის სოციალურ შინაარსზე კ. მარქსი და ფ. ენგელსი თავის დროზე ამახვილებდნენ ყურადღებას (იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 94, შნშ. 90; ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 262). ამ მხრივ საინტერესოა, რომ კოიტუსი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო ხშირადაა ასახული ქართველი ტომების სახვით ხელოვნებაში. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან დამზადებული სარტყელი, რომელზეც ასტრალურ ნიშნებთან და სხვა სცენებთან ერთად გამოსახულია კოიტუსის სცენა, ანდა ყაზბეგის განძის ცალკეული ნივთები და სხვა.

66. ხალიბები ჭანური ტომია, რომლის კვალი აშკარად ჩანს ვრცელ ტერიტორიაზე მდ. ჰალისის აუზიდან მდ. ჭოროხის აუზამდე უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. ხალიბები ბინადრობდნენ ლითონის საბადოებით მდიდარ მხარეში და მათ იმთავითვე გაითქვეს სახელი, როგორც მელითონეობაში დახელოვნებულმა ტომებმა. მელითონეობა, განსაკუთრებით რკინის დამუშავების დაწყების შემდეგ, როგორც ჩანს, ხალიბთა ტომობრივ სპეციალობად იქცა. აკი ამაზე მიუთითებს სწორედ ქსენოფონტის ეს ცნობაც. ხალიბურმა რკინის ნაწარმმა და თვით ხალიბებმა, როგორც მაღალი ხარისხის ფოლადის ოსტატებმა, ისე გაითქვეს ძველ სამყაროში სახელი, რომ ძველებრძნულ ენაში მათი სატომო სახელწოდება (χάλιψ) ფოლადის აღმნიშვნელ სიტყვად დამკვიდრდა. ხოლო უფრო ადრე, მიკენურ ბერძნულში რკინა-ფოლადის აღმნიშვნელ სიტყვად გავრცელებული ჩანს ჭანების სატომო სახელის უძველესი ფორმა. ქსენოფონტის აღნიშნულ ცნობაში იგულისხმება მხოლოდ ხალიბთა ერთი, მცირე ნაწილი, რომლებიც მოსინიკებს დაუმორჩილებიათ. იმ ცნობებიდან კი, რომლებიც ჰარპასოს-ჭოროხისპირელ ხალიბებს შეეხება, ნათლად ჩანს, რომ ხალიბთა ეს გაერთიანება საკმაოდ ძლიერი იყო. მას უსარგებლია სპარსეთის დასუსტებით და თავი დაუღწევია დამორჩილებული მდგომარეობისათვის. მიუხედავად ამისა, ხალიბები ქსენოფონტის დროს დაქსაქსულები და რამდენადმე დეგრადირებული ჩანან, რაც შედეგი უნდა იყოს აქემენიდთა დაპყრობებისა და ამით გამოწვეული აღმინისტრაციულ-პოლიტიკური რეფორმებისა. განსაკუთრებულ ძლიერებას ხალიბთა ტომების გაერთიანებას უნდა მიეღწია რკინის ფართო ათვი-

სების სანაში. ურარტულ წყაროში მოხსენებული ხალიტუს დიდი გაერთიანება, რომელიც მეტოქეობას უწევდა ურარტელებს, ხალიბთა ტომების გაერთიანება იყო (იხ. თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ლოკალიზაციისათვის, მაცნე, III, 1966, გვ. 126—136; თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, I, 1967, გვ. 86—109, იქვე სათანადო ლიტერატურა).

67. ტიბარენები მეგრულ-ქანური ტომია. ძველადმოსავლური წყაროები (შდრ. ARAB, I, 579, 580; АВИНУ, 28, 107—110; იხ. აგრეთვე. P. Meriggi, Le iscrizioni in eteo geroglifico del Tabal (Γ:ჭ:α:ρ:η:α), Rivista degli studi orientali, V. XXXIII, 1957, Parte I, Roma, გვ. 225—239) მოიხსენიებენ თუბალ-ტაბალის სახელით უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან. ხეთების სამეფოს დანგრევის შემდეგ ტიბარენული ტომების გაერთიანება უძლიერესთაგანი იყო ცენტრალურ მცირე აზიაში. ქსენოფონტის დროს ტიბარენებიც რამდენადმე დეგრადირებული ჩანან და ზღვისკენ არიან მიტმასნილი. ტიბარენების ეთნიკური კუთვნილებისა და : სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის სხვა ტომებთან მათი მიმართების საკითხს მრავალი მკვლევარი შეხებია (იხ. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 185—244; ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 11, 14, 18, 128 შმდ. და 229—252; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси. 1959, გვ. 72—78 და სხვა; გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ. 18—42; თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი, მაცნე I, 1967, გვ. 86—109).

68. კოტიორა, როგორც ჩანს. თანამედროვე ორდუს ადგილზე მდებარეობდა (იხ. შესავალი წერილი, გვ. 47).

69. ეს პარაგრაფი, როგორც აღნიშნული იყო (იხ. შესავალი წერილი, გვ. 60), მიჩნეულია შემდგომ ჩანართად და ამიტომ „ანაბასისის“ ტექსტის გამომცემლებს ის გამოყოფილი აქვთ. მაგრამ, რაკი ამ პარაგრაფში ასახული მონაცემები „ანაბასისის“ თხრობიდან გამომდინარეობს, ხოლო მისი ხასიათი კარგად ეგუება ჩვენი წყაროს თხრობის ხასიათს, საჭიროდ ვცანით მისი თარგმნა.

70. ჰეკატონიმე—სინოპელი მოქალაქე, რომელიც კიროსის მოქირავნეებთან გაგზავნილ ელჩობას მეთაურობდა. იგი იყო პაფლაგონიის მმართველის კორიულას პროქსენი (Anab., V, 6, 11). ფიქრობენ ჰეკატონიმეს სახელის პირველი ორი ასო EK გვხვდება ამ დროის სინოპის მონეტებზე (იხ. M. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, გვ. 103—104; W. Waddington, E. Babelon, Th. Reinach, Recueil général des monnaies d'Asie Mineure, t. I, fasc. 1, 2-e édit., Paris, 1925, გვ. 198, № 20).

71. საგულისხმოა, რომ ჰეკატონიმე კოტიორაზე სინოპელების უფლებებს ასაბუთებს იმით, რომ სინოპმა ეს ქვეყანა ბარბაროსებს (ე. ი. ადგილობრივ მოსახლეობას) წაართვა. ამ ცნობაში ერთი მხრივ აირეკლა ბერძენთა მიერ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს კოლონიზაციის ხასიათი, ხოლო, მეორე მხრივ, მეტროპოლიასა და კოლინიებს შორის ურთიერთობის თავისებურებაც. ამ ცნობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისაა, რომ იგი გვიდასტურებს ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა ადგილობრივ მოსახლეობასა და ბერძენ კოლონისტებს შორის შავი ზღვის სანაპიროთა კოლონიზაციის დროს. (იხ. M. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, 1956; თ. მიქელაძე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, ტ. II, 1960, გვ. 164—198).

72. კორიულა—პაფლაგონიის მმართველი. კორიულას მმართველობის დროს პაფლაგონია იმდენად დიდ ძალას წარმოადგენდა, რომ აღარ ასრულებდა სპარსეთის მეფის ბრძანებებს (Anab., V, 6, 8), ხოლო IV ს. 70-იან წლებში პაფლაგონიის მმართველმა ტიმ საერთოდ უარი განაცხადა სპარსეთის მორჩილებაზე. პაფლაგონიის აღმოსავლეთი საზღვარი საერთოდ მდ. პალისის ქვემო წელზე გადიოდა, ხოლო კიროსის მოქირავნეთა ლაშქრობის დროისათვის ეს საზღვარი გადმოწეული იყო ქ. კოტიორას მიდამოებამდე. ფიქრობენ, რომ ეს იყო შედეგი კორიულას მნიშვნელოვანი დაპყრობისა (იხ. M. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья. М.—Л., 1956, გვ. 103 და შმდ).

73. პარმოსტი ეწოდებოდა მოხელეს, რომელსაც სპარტელები აგზავნიდნენ მმართველად დამორჩილებულ ქალაქში. როგორც ჩანს, ეს სახელწოდება ასეთივე თანამდებობის პირის აღსანიშნავად სხვა ბერძნულმა სახელმწიფოებმაც შეითვისეს.

74. აქ, ცხადია, ფასისში და ფასიანთა ქვეყანაში მდ. არაქსი და ბასიან-ჰასანაყალას მხარე არ იგულისხმება. თუ ვივარაუდებთ, რომ ქსენოფონტი არგონავტების მითის შედარებით გვიან ინტერპრეტაციას ემყარება, მაშინ ფასისი ამ შემთხვევაში უდრის მდ. რიონს, ხოლო ფასიანთა ქვეყანა—რიონის მხარეს, ე. ი. ისტორიულ კოლხეთს. ამ ცნობაში ორი რამ იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას: ერთი რომ ქსენოფონტი ამ მხარესაც ფასიანთა ქვეყანას უწოდებს და მეორე: მას მიაჩნია, თუ იგი რაღაც ცნობას ეყრდნობა, რომ კოლხეთში აიეტის შთამომავალი მეფობს.

75. ჰესპერიტებსა და ფასიანებს, როგორც ვხედავთ, ერთი მმართველი ჰყოლიათ. მაშასადამე ეს ორი ტომი უნდა ყოფილიყო გაერთიანებული ერთ ადმინისტრაციულ ოლქში; რომელსაც ტირიბაზი განაგებდა. მაგრამ, როგორც „ანაბასისის“ სხვა ადგილიდან ირკვევა, ტირიბაზი იყო სატრაპი არა მარტო ჰესპერიტებისა და ფასიანებისა, არამედ დასავლეთ არმენიისაც (შდრ. Anab., IV, 4, 4). ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სამი ქვეყანა (ფასიანებისა, ჰესპერიტებისა და დასავლეთი არმენია) ერთი მეორის მეზობლად მდებარეობდა. ფასიანებისა და დასავლეთ არმენიის ლოკალიზაცია მეტ-ნაკლებად ზუსტად განისაზღვრება. დასადგენია ჰესპერიტების ადგილსამყოფელი. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ბერძენი მოქირავნეები სამხრეთიდან ჩრდილოეთით მოემართებოდნენ და დასავლეთ არმენიაში მოსვლამდე მათ გაიარეს კარდუხების ქვეყანა და აღმოსავლეთი არმენია, რომელსაც ორონტი განაგებდა. მაშასადამე, დასავლეთ არმენიის სამხრეთით მდებარეობდა აღმოსავლეთი არმენია, ხოლო ამ უკანასკნელის სამხრეთით—კარდუხების ქვეყანა და აქ ჰესპერიტების ყოფნა გამოსარიცხია. შემდეგ მოქირავნეებმა გადასერეს მთელი დასავლეთი არმენია აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. ვრდრე ფასის-არაქსის სათავეებამდე და ჰესპერიტებს არსაი არ შეხვედრიან. ამის შემდეგ გაიარეს ფასიანების ქვეყანა, რომლის ჩრდილოეთით ტაოხები და ხალიბები ცხოვრობდნენ. მაშასადამე, ჰესპერიტების ადგილსამყოფელი ჩრდილოეთითაც გამოსარიცხია. ქსენოფონტმა არ იცის რა ხდება ფასიანების სამხრეთით და დასავლეთი არმენიის სამხრეთ-დასავლეთით, რადგან იქ მას არ გაუვლია. სწორედ ამის გამო ჰესპერიტებზე „ანაბასისში“ არავითარი ცნობები არ მოიპოვება: ქსენოფონტმა ხომ მხოლოდ ის ქვეყნები აღწერა, რომელთა გავლაც მას მოუხდა. ხოლო ცნობა, სადაც ჰესპერიტები არიან მოხსენებული, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომელიღაც კარგად ინფორმირებული რედაქტორის ჩანართადაა მიჩნეული. ამრიგად, ჰესპერი-

ტეპი, როგორც ჩანს, ცხოვრობდნენ ფასიანების სამხრეთით ტიგროსის სათავეებთან, იქ, სადაც მდებარეობდა პროვინცია, რომელსაც სტრაბონი სვისპირიტს (Σισσιριτις) უწოდებს (Strab., XI, 48; XI, 14, 9; XI, 14, 12; სტრაბონის ამ ადგილების ინტერპრეტაცია იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 506, 507 და შმდ. იქვე ლიტერატურა). ჰესპერიტებისა და სვისპირიტის სახელებს შორის კავშირი აშკარაა. მეორე მხრივ ჰესპერიტებს აკავშირებენ ჰეროდოტეს სასპერიტებთან (Lehmann-Haupt, „Segl. Vom Kentrites bis Trapezunt“, Gnomon, E. IV, Heft 6, Berlin, 1928, გვ. 348; RE, VIII, სათანადო სიტყვა), ხოლო ამ უკანასკნელთ იბერებთან. სა აღიარებულია ქვეყნის აღმნიშვნელი სახელების მაწარმოებელ პრეფიქსად (იხ. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 97).

76. ეს ცნობა განხილული გვაქვს სპეციალურ წერილში, იხ. თ. მ. ი. ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცული ერთი ცნობის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXII, № 2; 1958, გვ. 249—255.

პირთა სახელები

ა

აგასია სტიმფილიოსელი (ბერძენი ოფიცერი) 93
 აგესილაე (სპარტის მეფე) 11, 17, 18, 124
 აღონცი ნ. 41, 119, 138
 აიეტი 113, 128, 130, 147
 აინსოროთ ვ. ფ. 34
 ალექსანდრე მაკედონელი 31
 ალექსანდრე პოლიპისტორი 142
 ალექსანდრე (თესალიის მეფე) 10
 ალიბიადე 9, 10, 12
 ამესტრისი 123
 ამინტა 31
 ამორგესი 123.
 ამფიდეზე ათენელი 70
 ამფიკრატე 70, 72
 აპოლონი 14, 125
 არბაკასი 113
 არდაფრენესი 26
 არიანე 138
 არტაკამასი 113
 არტაქსერქსე II (გამეფებამდე არსაკი) 15—17, 21, 63, 118, 123, 124
 არტემიდორე დალდისელი 140
 არტემიდა 125
 არტიმასი 113
 არტუხი 75, 124
 არხაგორე არგოსელი. 71
 ასტიაგი 117
 აქილეესი 123, 125

ბ

ბაბელონი, ე. 146
 ბელესუსი (სირიისა და ასირიის მმართველი) 123
 ბუშე ა. 29, 35, 36, 37, 39, 45, 139

გ

გეგეშიძე მ. 142
 გემოლი გ. 35, 59, 60
 გრილოსი 19

დ

დარიოს II 15, 16, 123
 დარიოს ჰისტასპი 28, 125, 134
 დეიოკე 117
 დელებეჟი ელ. 7
 დერნესი 113
 დიკონოვი ბ. 121
 დიოგენე ლაერტი 8
 დიოდორე სიცილიელი 8, 10, 129, 142
 დიონისე 128

ე

ედოქსე კნიდოსელი 140
 ეკრილოქე ლუსელი (ქსენოფონტის ძარისკაცი) 73
 ევსევო 119
 ევსტათე თესალონიკელი 128
 ენგელსი ფ. 144
 ენოს სტიფალიოსელი 81

ეპამინონდა 18
ეპიფანე 120
ერატოსენე 128
ესქინე აკარანელი (ბერძენი ოფი-
ფერი) 88
ფლოროსი 47

3

ვ-დინგტონი ვ. 146
ვალონი ვ. 136

თ

თემისტოკენი 20, 21
თეოკრიტე 128
თიბრონი 14, 18
თუციდიდე 9, 19

ი

ინგოროვუა პ. 126, 127, 132, 148

კ

კეფისოდორე 70, 72
კეფისოფონტე ათენელი 70
კიხსარი 117
კიროსი (აქემენიდების იმპერიის დამ-
მარსებელი) 117, 118
კიროს მცირე (სპარსელი უფლისწუ-
ლი) 9, 11, 13, 17, 21, 22, 27, 31,
63, 123, 124, 129, 135, 136, 146.
კისლინგი 37
კლეანორე ერქომენელი 88
კლოსტენე 118
კოლხოსი (კოლხების ეთნარქოსი) 128
კორიულა 19, 112, 114, 146
კრეზე 118
კრიტია 113
კუფტინი ბ. 28, 131

ლ.

ლამბერტი არქანჯელო 120
ლათინევი ე. 5

ლემან-ჰაუპტი გ. 28, 34, 40, 41, 148
ლიკიოსი 77, 84, 125
ლისანდრე 12, 15
ლორთქიფანიძე ოთ. 132
ლუკენბელი დ. 130
ლუციონი ი. 7

მ

მაიერი ედ. 25
მარინოვიჩი ლ. 7
მარქსი კ. 144
მატვეევი ს. 38
მაქსიმოვა მ. 5, 7, 22, 39, 45, 56, 122,
133, 137, 138, 139, 141, 143, 146,
მელიქიშვილი გ. 120, 121, 127, 130,
131, 137, 145, 148
მერიჯი პ. 145
მითრიდატე 113
მიქელაძე თ. 8, 23, 41, 55, 57, 58, 124,
—132, 134, 140, 142, 145, 146, 148
მნასეასი 128

ნ

ნიკია 9
ნიკოლოზ დამასკელი 140
ნოე 119

ო

ორბელიანი სულხან-საბა 27, 132
ორონტი 64, 75, 124, 147.
ოსტენი პ. 122

პ

პავსანია (სპარტის მეფე) 12
პარისატისი (დარიოს 11 მეუღლე) 15,
16, 123, 124
პატროკლე 122
პერიკლე 9
პეტრი ფლინდერს 28
პეტრუშევსკი 28

პისუთენე 123
პლატონი 13
პლინიუსი 140
პლუტარქი 8, 16, 17, 21, 119
პოლიბიოსი 19
პომპეუსი 136
პომპონიუს მელა 143

უ
უებელიოვი ს. 13

რ

რაინახი თ. 146
როგავა გ. 129
როპარი (ბაბილონის მმართველი) 113

ს

სევე (ევროპელი თრაქიელების მმართველი) 114
სელეუკოსი 115
სენანიძე ა. 129
სვიენესი (კილიკიის მმართველი) 113
სკილაკს კარიანდელი 46, 47, 48, 49, 140
სკიმნოს ქიოსელი 47, 48
სობოლევსკი ს. 7
სოლომონიკი 15
სოკრათი 11, 14, 15
სოფიანეტე სტიმფალიოსელი 97, 129, 139
სტატირა (არტაქსერქსე II მეუღლე) 15, 16, 123
სტეფანე ბიზანტიელი 139, 142
სტრაბონი 8, 46, 47, 48, 52, 133, 135, 136, 148
სტრატოკლეს კრეტელი (ბერძენი ოფიცერი) 74

ტ

ტარნი ვ. ვ. 15, 22
ტერიტუხმესი (სპარსელი, სატრაპი) 15, 16, 123
ტივლათფოლესერ I 130

ტიი (პაფლაგონიის მმართველი) 146
ტიმესიეთოსი 58, 97, 98, 141
ტირიბაზი (სპარსელი სატრაპი) 41, 79, 113, 125, 130, 131, 147
ტისაფერნი (სპარსელი სატრაპი) 14, 17, 75, 123, 124.
ტისიფონი (თესალის მეფის ალექსანდრეს ძმა) 10
ტოლმიდე (მაცნე ბერძენთა არმიოში) 94, 139,
ტომაშეკი 50

უ

ურუშაძე ა. 132
უშაკოვი პ. 129

ფ

ფარნაბაზი (ბითონიის მმართველი) 114
ფესტუსი 119
ფილესიოსი (ბერძენი სტრატეგოსი) 97
ფილოსტრატე 127
ფოგტი 134
ფროლოვი ე. 7, 11
ქეირისოფოსო. 11, 39, 66, 67, 73, 77, 80, 88, 96, 122.
ქენოფონტი 5—15, 17—39, 41, 42, 43, 45, 47, 48, 49, 52, 53, 54, 55, 56, 59, 63, 66, 67, 68, 70—73, 77, 83, 84, 86, 88, 90, 92, 93—96, 98, 99, 109, 113, 119, 122 — 127, 129—138, 140, 143—145, 147.

ყ

ყაუხჩიშვილი ს. 7, 129, 139, 140
ყაუხჩიშვილი თ. 142

ჩ

ჩიქობავა არნ. 135

ც

კეონია ალ. 5

ზაინდი ჯ. 137
 ხელმიცი პ. 40
 ხუდალოვი ვ. 133

ჯ

ჯავახიშვილი იე. 27, 34, 119, 120, 121,
 135, 138, 140, 145
 ჯანაშვილი მ. 126, 127
 ჯანაშია ს. 40, 46, 120, 127, 129, 132,
 145

ჰაკლი უ. 13
 ჰალიდე ვ. რ. 139
 ჰაჯატე მილეტელი 52, 140
 ჰეკატონიმი 59, 108, 146
 ჰეროდოტე 25, 26, 27, 29, 31, 32, 35,
 52, 134, 135, 140
 ჰექტორი 123, 125
 ჰიდარნესი (სპარსელი სატრაპების
 ტისაფერნეს და ტერიტუხმესის მამა)
 15, 123
 ჰიპოკრატე 142
 ჰომეროსი 122
 ჰოფმაისტერი 34, 40, 42, 43

სარომო სახელები

ა

არმენიელები 75
 არმენოხალიზი 138

ბ

ბერძნები 34, 37; 38—40, 43—45, 48,
 50, 51, 53, 55, 63, 118 (აქეველი
 ბერძნები), 122, 137, 138, 143, 144,
 146.

გ

გორდუენები 119

დ

დორიები 142
 დრილები 49, 50, 53, 54, 56, 57, 91,
 138, 139, 142.

ე

ელინები 33, 36, 37, 39, 40, 41,
 43, 45, 48, 63—110, 138, 141.

თ

თრაკიელები 114
 თუბალი 145

ი

იონელები 118

კ

კარდუხები 33, 34, 52, 53, 63—66, 70—
 79, 110, 114, 118—121, 130, 147
 კიმერიელები 136
 კოიტები 114
 კოლხები 43—45, 48—52, 87—91, 97,
 114, 128, 134 მთიელი კოლხები. 137.
 138 მთიელი კოლხები.
 კორდუენები 119

მ

მაკრონები 43, 44, 49, 85—87, 110, 114,
 134—138
 მარდები 75, 125
 მათიანები 124
 მიდიელები (მადები) 117
 მოსინიკები 30, 31, 49 — 58, 97—106,
 114, 134, 137, 139—143
 მუშუქები — 121

ნ

ნანები 135, 138
 სასპერიები იხ. ჰესპერიტები
 სკვითები 133

სკეითინები 42, 43, 52—57, 82, 85, 132,
133

ბ

ტბალი 145
ტაოზები 40, 41, 79—82, 110, 126, 128,
129—131, 147
ტიბარენები 50—52, 57, 106, 107, 114,
136, 145
ურარტელები 145.
ფასიანები (ფასის-არაქსისპირელი)
41, 52, 80, 113, 125—128, 131, 147,
148
ფასიანები(ფასის-როინისპირელი)
113
ფინიკელები 144

კ

კურთები 119

ხ

ხალდეები 75, 79, 110, 114, 125, 130,
ხალიბები 31, 40—43, 50, 52, 56, 57,
80, 81, 106, 114, 126. 128. 131, 132,
144, 147.
ხალიტუ 145

ჭ

ჭებტაკომეტები—133
ჭესპერიტები—41, 114, 124, 125, 128,
130, 131, 147, 148.

გეოგრაფიული სახელები

ა

ათენი 9, 15, 18, 19, 86, 118
აია-კოლხეთი 130
აკამფსისი (ქოროხი) 132
აკარნანია 142
ალაროდია 124
ალაშკერტის ველი 36
ამატი 38
ამიერკავკასია 56
ამიერ-ტაო 41
ამისი 46
არაბეთი 113
არაქსი (იხ. აგრეთვე ფასის-არაქსი)
127, 147
არესის კუნძული 47, 48
არმენია 25, 30, 35, 41 დასავლეთი
არმენია, 53, 64, 65, 74, 75, 79, 119
124, 125 დასავლეთი არმენია, 147
ასირია (ასურეთი) 113, 117
ატიკა 12
აქარა 121

ბ

ბაბილონი 17, 23, 33, 63, 107, 113, 117
ბაიბურთი 42

ბასიანი 40, 41, 126, 147
ბეოტია 18
ბითინია 114
ბითლის-სუ 34
ბოტონ-ჩაი (ისტორიული კენტრიტი)
34, 119, 123
ბულანიჯის ველი 35

გ

გენეტი 46, 47
გეიმნასი 42, 52, 54, 55, 83, 133
გირესუნი იხ. კერასუნტი
გორდიონი 121

დ

დაიანეი 129
დანა 55
დეირმენ დერე (პიქსიტი) 45, 135
დეკელეა 12
დელფოსი 14, 136
დერქანი 138
დიუხი 129

0

ეგესპოტამოსი 12
 ევბეა 142
 ევქსინის პონტო იხ. პონტო
 ეებატანა 33, 63, 117
 ელდა 18, 37, 63, 87, 98, 113
 ერაყი 117
 ერგანი მჭდენი 121
 ერზურუმი 130
 ეფრატი 34, 35, 38, 65 აღმოსავლეთ
 ეფრატი, 125

3

ვ. ლახორი 42
 ვატიკანი 36
 ვონა 46

ზ

ზიგანა ან ზიგანა-დალი 42—44, 50
 134

თ

თებე 18, 19
 თურმე-ჩაი 52
 თესალია 10, 142.
 თეხესი 42-44, 83, 134

ი

ი. სონია 46
 იასუნ-ბურნუ 46
 იონია 16, 33, 63, 118, 122
 ი. სოპოლისი 46, 47

კ

კაზიკლი-დალი 44, 45, 134, 136
 კაიაბეკი 36
 კაკამარი (კოროხი) 132
 კაპადოკია 16, 25, 55, 113, 123
 კარდუხების მთები 65, 118
 კარია 123

კარტვეან-დალი 35
 კელენისი 29, 55
 კენტრიტი 34, 39, 74, 119, 120, 123
 კერასუნტი 54-49, 52, 54, 97, 134,
 137—139
 კილიკია 25, 113

კინტრიში 34, 120
 კოლატ-დალი 44
 კოლოსი 55
 კოლხეთი (კოლხიდა) 32, 46—49, 56,
 90, 113, 127, 142, 147
 კორინთა 18
 კოტიორა 17, 23, 46, 47, 51, 52, 54,
 107, 108, 113, 137, 145, 146
 კუნაქსა 17

ლ

ლაკედემონი 122
 ლეკტრა 18
 ლიდია 16, 25, 33, 63, 113, 117, 118,
 123, 142,
 ლიკონია 113

მ

მანტინეა 19
 მარსის კუნძული 47
 მათიენა 25
 მაჩკა-დერე 44, 134, 135
 მელანტია (თანამედროვე მელენტ-
 ირმაკ-დერე) 47
 მეოტის ტბა 32
 მესუდიე 52
 მეტროპოლისი 54, 58, 100, 102, 142
 მილია 16, 33, 63, 113, 117
 მილეტი 118
 მურად-სუ 34, 125
 მცირე აზია 14, 23, 54, 117, 118, 142

ნ

ლიკონია 113
 ოლიმპია 18
 ორდუ 47, 51, 145
 ორჯონი 42

პ

პასინი 40
 პაფლაგონია 107, 109, 112, 114, 146
 პელოპონესი 11, 12, 14, 18
 პერგამონი 18
 პიქსიტი 44, 135

პონტო 37, 48, 90
პუგა 47

რ

რიონი 127, 147

ს

სამსუნი 46
სარღე 14, 15, 25, 29, 35, 118
სვისპირიტი 148
სინოპი 45, 49, 59, 97, 108, 136, 137,
146
სირია 16, 113
სიცილია 12
სკვიდისი 133
სკვითია 142
სკილუნტი 18
სპარსეთი 12, 15, 20, 22, 25, 27, 28,
30, 31, 57, 117, 118, 126, 130, 146
სპერი (მდინარე, იგივე ქოროხი) 132
სუზა 25, 33, 35, 63, 117
სპარტა 11—14, 18, 19, 124
სტამენია 46

ტ

ტავრი (პონტოსი) 42, 43, 133, 134
ტაო 129
ტევე იხ. თეხესი
ტელეზოასი 34
ტიგროსი 33, 34, 64, 65, 119, 124,
148
ტრაპეზუნტი (თანამედროვე ტრაპზო-
ნი) 42, 45—50, 52, 54, 55, 89, 109,
133, 134, 136, 137.

ფ

ფარნაკია 46, 47
ფასისი—არაქსი 39—41, 52, 79, 126,
129, 147
ფასისი-რიონი 32, 37, 49, 113, 128,
142, 146

ფასისი-ქოროხი 132
ფინიკია 113
ფოკეა 118
ფოლ-ბაზარზი 45, 46
ფრიგია 16, 25, 55, 113, 118, 121,
123, 142

ჭ

ქურთისტანი 34
ქურთისტანის შთიანეთი 118, 119

ყ

ყაგიზმანი 40
ყარაყოსი 35
ყარა-სუ 34

უ

შაეიზღვისპირეთი (აგრეთვე სამხრეთ-
აღმოსავლეთი შაეიზღვისპირეთი)
48, 53, 56, 57, 58, 59
შაეი ზღვა 37, 38, 42, 43, 48, 49, 52,
54, 63, 122, 134, 137, 146.
შინეკი 41
შუამდინარეთი 117

ჩ

ჩალტი-ბუტუნე 46
ჩატი 38

ც

წინა აზია 117, 134
წყალგველა 132

ძ

ქოროხი 41, 42, 52, 127, 129, 132,
133, 144, 147

ბ

ბანეტ-კალესი 46, 47
ხარშუტი (მდინარე და ხეობა) 50, 138
ხილა 117

ჯ
ჯივა-ბურუნი 46
ჯიზრე 34, 119
კ
პაღისი 144, 146
პამაღანი 117

პარპაზონის შთა 132
პარპასოსი (ქოროზი) 41, 42, 43, 52,
82, 132, 144
პასანყალა (ბასიანი) 40, 126, 147
პასუნა 35
პელესპონტო 12
პერაკლეს კონცხი 46
პერმონასა 46, 47

შემოღლებათა ბანაარბება

ВДИ Вестник Древней Истории
ИКОИРГО Известия кавказского отдела Императорского Русского Географического общества
ИРГО Известия Русского Географического Общества
УЗЛГУ СИН Ученые Записки Ленинградского Государственного Университета, серия исторических наук.
САН The Cambridge Ancient History
RE Pauly—Wissowa, Real-Encyclopadie der klassischen Altertumswissenschaft.
SC Scythica et Caucasia

